# სარბიელი

სპორტული გაზეთი — ოთხშაბათი 17 იანვარი 2001 №4 (1277) — ფასი 50 თეთრი



2 ჩემპიონი დაირაზმა

საესენგეოდ „ტორპედომ“ სამი ლოკომოტიველი დაიმატა

3 თამამი აზრები

სად ათამაშებდა ვახტანგ კოპალეიშვილი თემურ ქეცბაიას

6 და საქართველო?

ჩვენი ჩემპიონი ჩამოლაბორანტდა

8 გაარჩია, რომელ რეალში...




ისაო, ესაო და... მარტინ პალერმოს დღეს ვილიარეალში ელიან


11 უცნაური სისხლისღვრა ნიუ იორკში




მარკუს კემბიმ მეტოქეს მოუქნია და საკუთარ მწვრთნელს თავი გაუტეხა

# ფიფა დინამოს სასიკვდილო განაჩენს უმზადებს

## უშველის ვალაუვალ დინამოს ვალერი თავდადებული?



ღმერთმა ნუ ქნას, „დინამო“ წარსულად იქცეს

დღეიდან 25 დღე აითვალეთ და 11 თებერვალს, შესაძლოა, ქართული ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო რამ მოხდეს — დიდი შანსია, ფიფამ თბილისის „დინამო“ გაურკვეველი ვადით მოკვეთოს მისი და უეფას ეგიდით გამართული ყველანაირი შეჯიბრიდან, ბუნებრივია, საქართველოს ჩემპიონატიდანაც. თბილისის „დინამო“ ფეხბურთს რომ არ ჩამოშორდეს, საამისოდ ჯიბეგაფხეკილმა კლუბმა 11 თებერვლამდე 240 ათასი ამერიკული დოლარი და 5 ათასი შვეიცარიული ფრანკი უნდა იშოვოს. დოლარები „დინამოს“ თბილისის „მრეტებისა“ მართებს, გეხსომებათ, რისთვისაც, ფრანკები კი ფიფასი, ამ ორგანიზაციის უპატივცემულობისთვის.


იხილეთ მეორე გვერდი


# ეს იყიდის წითელ-ყვითელ ჩითებს!

## საქართველოს პენსიონერებო, ინატრეთ ბეკერის ნაცოლარი

ვიდრე ავსტრალიის ღია პირველობაზე სენსაციური არაფერი ხდება და ფავორიტებიც იოლად მიიწევენ წინ, საყოველთაო ყურადღებას ისეთი ამბები იპყრობს, როგორიც მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა განახლებულ-აჭრელებული სამოსია. მარი პირსის, ანა კურნიკოვას, უმცროსი დისა და სხვათაგან შესამჩნევი კონკურენციის მიუხედავად, ალკაზმულობის უჩვეულობა-ეფექტურობაში პირველობას ისევ ვინუს უილიამსი ინარჩუნებს.

ამასობაში მელბურნიდან ძალიან შორს, მოყინულ მიუნხენში ბარბარა ბეკერმა მეუღლეყოფილ ბორისს იმდენი ფული წაჰგლიჯა, მთელ საქართველოს გაუცემელ პენსიებს გასწვდებოდა...


იხილეთ მეცამეტე გვერდი




REUTERS

ვინუს უილიამსი: ტანი და სამოსი



მიშა ახალაძის ფოტო

ლოკომოტიველი სევასტი თოდუა ქუთაისის „ტორპედოს“ ესენგეს თასზე გაჰყვება

# ჩემპიონი დაირაზმა

## მოსკოვში ესენგეს თასზე: სილაგაძე, თოდუა და ქემოკლიძე ტორპედოში

**დღეს** თბილისში ჩამოვა და ერთი დღით სასტუმრო „მესახლვრეში“ დაბინავდება ქუთაისური „ტორპედო“. ერთი დღით იმიტომ, რომ ხვალ ქვეყნის ჩემპიონი მოსკოვს მიემგზავრება ესენგეს თასზე სათამაშოდ. ქუთაისელები რუსეთის დედაქალაქს 36 კაციანი შემადგენლობით ეწვევიან. „ტორპედო“ 28 ფეხბურთელით ჩავა მოსკოვს. მათ სიას აქვე გთავაზობთ.

*მეკარეები: ნიკა ტოგონიძე, ირაკლი ზოიძე, ზურაბ მამალაძე.*

*მცველები: გივი დიდავა, ვახტანგ ხვადაგიანი, ლევან სილაგაძე, რევაზ ქემოკლიძე, გოდერძი გოგოლაძე, სევასტი თოდუა, ზურაბ არჩვაძე, მიხეილ მახვილაძე, ჯონი შალამბერიძე, ჯაბა თავბერიძე, ბადრი ახვლედიანი.*

*ნახევარმცველები და თავდამსხმელები: ვალტერ გუჩუა, კახა კვეტენაძე,* მალხაზ ასათიანი, გიორგი გაბიდაური, შოთა ბაბუნაშვილი, კახა ჩხეტიანი, რომან ახალკაცი, ზურაბ იონანიძე, დავით ჯანაშია, მიხეილ აშვეთია, მიხეილ ბობოხიძე, გიორგი იმედაძე, პაატა გვირჯიშვილი, რევაზ კვერნაძე.

გუნდთან ერთად მოსკოვში დავით ყიფიანი (მთავარი მწვრთნელი), შედან ნონიკაშვილი (ვიცე-პრეზიდენტი), მურად ქუთათელაძე (გენერალური დირექტორი), ალექსანდრე შტელინი, გელა კიკალეიშვილი (მწვრთნელის თანაშემწეები), დავით მურღულია (ექიმი), თამაზ როინიშვილი და ავთანდილ მიქაბერიძეც (მასაჟისტები) წავლენ.

ალბათ, ბევრისთვის მოულოდნელია ფეხბურთელთა 28 კაციან სიაში ლოკომოტიველების ლევან სილაგაძის, სევასტი თოდუას და დინამოელი რევაზ ქემოკლიძის გამოჩენა. ამასთან დაკავშირებით „ტორპედოს“ მესვეურებმა მხოლოდ ის გვითხრეს, რომ ამ ფეხბურთელების გუნდში გადმოსვლის ბედი გადაწყვეტილი არ არის და ჯერჯერობით საერთაშორისო ტურნირში უკეთ გამოსვლის მიზნით დაიმატეს.



თემურ ჯაყელაძის ფოტო

შინ დარჩენილი ტორპედოელები: ვახტანგ თურმანიძე და ალექსანდრე შეყრილაძე

ვერ გეტყვით, ახალწვეულთა გამოა, თუ ისედაც გარდაუვალი იყო, ვახტანგ თურმანიძე, ალექსანდრე შეყრილაძე და ზაზა ვაჩიბერაძე 28-კაციან სიაშიც ვერ მოხვდნენ. ეს ტრიო 1993 წელს ერთად მივიდა „ტორპედოში“ და მას შემდეგ ამ კლუბის ღირსებას იცავდა.

მოსკოვისკენ დარაზმულთა შორის ასევე არ არიან ჯემალ ხერხაძე და გიორგი აბზიანიძე — მთავარი მწვრთნელის (უკვე მწვრთნელების) თანაშემწეები, სავარაუდოდ ისინი „ტორპედოს“ ფარმ კლუბ „ინტერს“ გაწვრთნიან.

**იუზა ქაციტაძე**

# მსაჯმაც უნდა ირბინოს

**საახალწლო-საშობაო** არდადეგების შემდეგ ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპისთვის სამზადისს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კორპუსიც შეუდგა.

ანატოლი მილჩენკოს შეგირდები 15 იანვრიდან ეროვნულ სტადიონზე ვარჯიშობენ. 11 საათზე შეიკრიბებიან, გაყინულ გასახდელში სავარჯიშო სამოსს გადაიცვამენ და „ეროვნულის“ სარბენ ბილიკებზე ჩამწკრივდებიან.

მოთელვის შემდეგ წრეზე სირბილს იწყებენ, გვარიანად დაიტვირთებიან, გაოფლიანდებიან და მერე ისევ გაყინული გასახდელი და ცივი წყალი ელით. რა თქმა უნდა, მეტად არასახარბიელო პირობებში ემზადებიან, მაგრამ სხვა გზა არ არის, ნორმატივების ჩაბარება აუცილებელია, თორემ...

შავოსნებისთვის სრულფასოვანი შეკრების მოწყობა ვერ მოხერხდა. მიზეზი უსახსრობა ყოფილა. ამიტომ მსაჯები, თბილისში მოემზადებიან, პარალელურად კი საკონტროლო მატჩებს მოემსახურებიან.

20 თებერვლიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მსაჯებს ოთხდღიან შეკრებას მოუწყობს. ნორმატივები ჩაბარდება, შავოსნებს თეორიულ ცოდნასაც შეუმოწმებენ და ოთხ დღეში მეთორმეტე ეროვნულიც განახლდება.

**დათო დანელია**

# ფიფა დინამოს სასიკვდილო განაჩენს უმზადებს

**შარშან,** 19 დეკემბერს, ფიფას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი და წერილი ერთად გამოუგზავნია. ფაქსს ფედერაციამდე არ მიუღწევია, წერილი კი ჩვენი ფოსტის გადამკიდე ქართული ფეხბურთის მოხელეთ მხოლოდ 12 იანვარს მიუღიათ. ფიფადან ამას იწერებოდნენ: ფაქსი კი გამოგიგზავნეთ, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, ამ წერილსაც ვურთავთ. ფიფას სადისციპლინო კომიტეტი გაცნობებთ, რომ თბილისის „დინამომ“ დღეიდან 30 დღის განმავლობაში თბილისის „მრეტებს“ 270 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს, ჩვენ კი უპატივცემულობისთვის 5 ათასი შვეიცარიული ფრანკი. წინააღმდეგ შემთხვევაში „დინამო“ 2001-2002 წლების სეზონის დაწყებიდან გაურკვეველი ვადით მოიკვეთება ყველანაირი შეჯიბრიდანო.

ამის საპასუხოდ ფედერაციამ ფიფას სადისციპლინო კომიტეტს აცნობა, ფაქსი არ მიგვიღია, წერილი კი ფოსტამ მხოლოდ 12 იანვარს ჩაგვაბარაო. აქედან გამომდინარე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას სთხოვა 30 დღიანი ვადის ათვლა 12 იანვრიდან დაიწყოს და თან „დინამოს“ 270 კი არა, 240 ათასი დოლარი აქვს გადასახდელიო. ფიფა ფედერაციას დაყაბულდა.

ხუთი დღე უკვე მიილია, 25 დარჩა. „დინამო“ კი, ყველას მოეხსენება, რა დღეშიც არის, რომელი 240 ათასი დოლარი, კლუბს პურის ფულიც უჭირს.

ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ამჟამად სწორედ შვეიცარიაშია და ამ საქმითაც არის დაკავებული. თბილისში ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარიაა და მოსალოდნელ სკანდალზეც სწორედ მან განგვიცხადა, თან დაამატა:

— „დინამო“ თუ ფულს ვერ გადაიხდის და ფიფა მას მოკვეთს, პირობას ვიძლევი, „დინამოს“ საქართველოს ჩემპიონატიდან გარიცხვის ბრძანებას ხელს არ მოვაწერ და თანამდებობას დავტოვებ. „დინამოს“ კლუბი სწორედ ჩემი ხელმოწერით შეიქმნა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს.

ჩოლარიამ ისიც გვითხრა, „დინამოს“ მოკვეთით არც „მრეტები“ უნდა იყოს დაინტერესებული, რადგან ასეთ შემთხვევაში „მრეტები“ კუთვნილ ფულს მაინც ვერ მიიღებსო.

და კიდევ: აქამდე ფიფას სადისციპლინო კომიტეტი ფეხბურთის ფედერაციის სახელზე გაგზავნილი ფაქსებით „დინამოს“ აფრთხილებდა, ფული გადაიხადეთ, თორემ სანქციები არ აგცდებათო. აქამდე ფიფამ „დინამო“ ერთხელ უკვე დასაჯა და ტრანსფერები აუკრძალა. ახლა კი... ახლა სხვა ვითარებაა, ამ ბოლო წერილზეც გამაფრთხილებელი აღარ ითქმის, ეს ულტიმატუმია, რომლის იქით ხსნის გზა აღარ ჩანს...

ერთი სიტყვით, საკითხავი, აი, ეს არის: რა ეშველება „დინამოს“?

ზემოთ ტრანსფერების აკრძალვა ვახსენეთ. შესაძლოა, „დინამომ“, რა თქმა უნდა, ფედერაციის დახმარებით, ფიფას სთხოვოს, ტრანსფერების უფლება მოგვეცითო, თანხმობის შემთხვევაში კი კლუბმა რამდენიმე ფეხბურთელი გაყიდოს და ამ ფულით 240 ათასი შეაგროვოს, პლუს 5 ათასი შვეიცარიული ფრანკიც.

**კობა ინასარიძე**



ჯაბა ირემაძის ფოტო

ვალერი ჩოლარია: უმალ გადავდგები, ვიდრე „დინამოს“ მოკვეთას ხელს მოვაწერ!

### ინგლისი

მესამე დივიზიონი
პლიმუთი 1:0 ლინკოლნი
ჩისტერფილდი 0:0 ჰარტლპული
ჰალი 0:1 ბლეკპული

### თასის მესამე ეტაპი

გადათამაშება
ნოტსი 1:1 უიმბლდონი
50-ე წუთზე ნისლის გამო შეწყდა
კრიუ 2:1 კარდიფი
გრიმსბი 1:3 უიკომბი
სკანთორპი — ბარნლი გადაიდო

# თამამი აზრები

## სად ათამაშებდა ვახტანგ კოპალეიშვილი თემურ ქეცბაიას

*ჭეშმარიტად რთული თამაშია ფეხბურთი და მეტად სათუთი მექანიზმია საფეხბურთო გუნდი, რომლის ორგანიზმი მხოლოდ სათამაშო რგოლებისგან როდი შედგება, მაგრამ საქმეს მინდორზე სწორედ ეს გადაჯაჭვული რგოლები აკეთებენ. თითოეულ მათგანს თავისი ფუნქცია აკისრია, ყველა ერთმანეთზე დამოკიდებული, მაგრამ შუახაზი მაინც გამორჩეულია, გუნდის ხერხემალია. ნახევარდაცვა ჩვენი ეროვნული ნაკრების ყველაზე საინტერესო და ძლიერ რგოლად ითვლება, წარმატებულად მოთამაშე ლეგიონერების ბირთვსაც შუახაზელები შეადგენენ, მაგრამ ყველაფერი რიგზეა და სწორად კეთდება? ისიც საკითხავია, როგორი ცვლა მოსდის ჩვენს სახელდაგდებულ ნახევარმცველებს, სამომავლოდ როგორი მალებით წამოიზრდება საქართველოს ეროვნული გუნდის ხერხემალი. ...ვახტანგ კოპალეიშვილი 80-იანი წლების მიჯნაზე იცავდა თბილისის „დინამოს" ღირსებას და საკმაოდ საინტერესო ნახევარმცველის ტიპსაც წარმოადგენდა თავისი ღონიერი შორეული დარტყმებით. მწვრთნელობასაც კარგად აუღო ალღო — საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა მისი ხელმძღვანელობით ხომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. დღესდღეობით კი ჩვენს რესპონდენტად არჩეული ვახტანგ კოპალეიშვილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცის თანაშემწეა.*



ვახტანგ კოპალეიშვილი

**— თამაშს იგებს ის, ვისაც უკეთესი ნახევარდაცვა ჰყავს — უკვე მოძველებული ხომ აღარ არის ეს სენტენცია, ფეხბურთი ბოლო ხანს მეტად სწრაფი ტემპით ვითარდება და სულ უფრო და უფრო ტოტალური ხდება?**

— არა, ეს ფრაზა მოძველებული არ არის, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია. თუნდაც ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა მოწინავე გუნდი ხუთი ნახევარმცველით თამაშობს, ამ რგოლის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს. კარგ ნახევარმცველს ყოველთვის მოეძებნება გუნდში ადგილი. ალბათ, გახსოვთ, როცა მე 18-წლამდელთა ნაკრებს ვწვრთნიდი, საკმაოდ შთამბეჭდავი ნახევარდაცვა გვყავდა, რაც დიდად განაპირობებდა ჩვენი გუნდის თამაშს. ლადო ბურდული, ზურაბ მენთეშაშვილი, დავით დილმელაშვილი, ლაშა ნოზაძე, ოლეგ გველესიანი, ზურაბ ხიზანიშვილი, გივი კვარაცხელია. ყველანაირად ვცდილობდი, ამ ნიჭიერი ნახევარმცველებისთვის გზა გამეხსნა, მაქსიმალურად გამომეყენებინა გუნდისთვის. ლაშა ჯაკობიასაც თავდასხმიდან უკან ვწევდი — რათა ნახევარდაცვა უფრო სოლიდური ყოფილიყო.

**— ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებში კი ნახევარდაცვა აშკარად მოიკოჭლებს. ყოველ შემთხვევაში, შესარჩევი ციკლის პირველ ორ თამაშში ლიტვასთან და იტალიასთან ასე იყო.**

— გუნდის შუა ხაზი ნამდვილად გასაძლიერებელია. მხოლოდ გივი კვარაცხელია გვყავდა ისეთი, რომელსაც სათანადო დონეზე შთამბეჭდავად თამაში ძალუძს.

**— ლიტვის შემდეგ იტალიასთან თამაშისას ძირითად შემადგენლობაში არ დააყენეთ სოსო დევიძე, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში, თავის გუნდ „მერანში" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, სამაგიეროდ, აქვსენტი გილაური გამოიყვანეთ, რომელიც ვერ ხვდებოდა „ლოკომოტივის" ძირითადში...**

— ეს ჩვენი, მწვრთნელთა თვალთახედვა იყო. გილაური პერსპექტიული ნახევარმცველია, სისწრაფეში თამაშით დევიძეზე უკეთ გამოიყურება და ამიტომაც დავაყენეთ იტალიასთან, თუმც უნდა ვაღიარო, რომ ამან არ გაგვიმართლა. სოსო დევიძე კი ჩვენთვის მეტად საჭირო, ენერგიული ფეხბურთელია და სამომავლოდ მისი გვეიმედება კიდეც, ის, ასე ვთქვათ, გუნდის საყრდენია.

**— ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ. სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ალექსანდრე რეხვიაშვილის კარგი თამაში...**

— მას მშვენივრად ვიცნობ. როგორც ჩანს, საკუთარ თავზე ბევრი იმუშავა და საკმაოდ პრაქტიკულ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. მას დიდი სისწრაფე არა აქვს, მაგრამ სწორ ფეხბურთს თამაშობს და ამით გადის ფონს. იტალიასთან მართლაც კარგად გამოიყურებოდა. იქაურმა პრესამაც სათანადო შეფასება მისცა. ნაკრების მწვრთნელთა რისკი გამართლებული აღმოჩნდა.

**— მოულოდნელობა, ოღონდ სულ სხვაგვარი იყო ალბათ ისიც, რომ ლევან კობიაშვილი მარცხენა მცველად გაამწესეს, თანაც შეტევაში ჩართვების გარეშე.**

— კობიაშვილი აშკარად უფრო შემტევი ტიპის ნახევარმცველია და ვთვლი, რომ მისი შეტევაში არგამოყენება არ არის სწორი. მართალია, ხანდახან „ფრაიბურგშიც" მარცხენა მცველად თამაშობს, მაგრამ ბუნდესლიგაში საუკეთესო მატჩები ხომ ნახევარმცველის პოზიციაზე აქვს ჩატარებული. ის უფრო ნახევარმცველია, ვიდრე მცველი.

**— აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია თემურ ქეცბაიას მარჯვენა ფლანგზე თამაშმაც. მან უდავოდ ჩინებულად ითამაშა ორივე მატჩი, მაგრამ მთელი ფლანგის გაკონტროლება, აქეთ-იქით სირბილი და გუნდის თამაშის წარმართვაც, ალბათ, მეტისმეტია მისი ასაკის ფეხბურთელისთვის.**

— არ მსურს, ვინმეს კომპეტენციაში შევიჭრა. პირადად მე კი ქეცბაიას თავდამსხმელების უკან გავამწესებდი, ან სულაც ფორვარდად. ის თუ მხოლოდ შეტევით ფუნქციებს შეასრულებს, გუნდისთვის უფრო ეფექტური იქნება. ლიტვასთან და იტალიასთან სანამ ძალა ეყო, კარგად ითამაშა.

**— არავის ეპარება ეჭვი გიორგი ქინქლაძის ტალანტში, მაგრამ ნუთუ მასსა და გოჩა ჯამარაულს შორის ისეთი დიდი სხვაობაა, ტრავმამოშუშებული ქინქლაძის გამოყვანა სჯობდეს სალსალამათი, ჩინებულ ფორმაში მყოფი ჯამარაულისას. ქინქლაძეს ხომ ნაოპერაციევი საზარდული ახლაც აწუხებს.**

— ორივენი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები და ჩვენში საუკეთესო გამთამაშებლები არიან. თქვენს კითხვაზე კი მიჭირს პირდაპირი პასუხის გაცემა — ეს უშუალოდ ნაკრების მწვრთნელების კომპეტენციაა, გუნდის სამზარეულოს საქმეა.

ქინქლაძე უფრო სწრაფია, სისწრაფეში აკეთებს ყველაფერს, ჯამარაული კი ცოტა ნელია, მაგრამ აზროვნებაში ხუთიანი ეკუთვნის. ჩემი აზრით, მათი ერთად გამოყენება სავსებით შესაძლებელია, თუმც ასეთ დროს გარდაუვალი გახდება ერთი საყრდენი ნახევარმცველით თამაში. ასეთ შემთხვევაში კი დაცვის ხაზს ფაქტობრივად ერთი შუახაზელი დაეხმარება.

**— ქინქლაძისგან ყველანი გაცილებით მეტს ველით. რატომ ხდება, რომ ის ვერა და ვერ გახდა ნაკრების ლიდერი, რატომ ვერ ახერხებს გუნდის თამაშის წარმართვას?**

— ნაკრებში მას აქვს გამორჩეულად ჩატარებული მატჩები, მაგრამ მეტიც შეუძლია. გამოკვეთილ ლიდერობას კი ხასიათის სიმტკიცე, უფრო სპორტული ხასიათი სჭირდება. ბავშვობიდან რომ მეტი ემუშავა ამ ასპექტზე, ალბათ, გასწვდებოდა კიდეც ნაკრების ლიდერობას — ასეთი რამეები ფეხბურთელის ჩამოყალიბებისას, ბავშვობიდან მოდის და შესაძლოა, მას მაშინ ხელი დააკლდა.




რატომ ვერ იქცა გიორგი ქინქლაძე საქართველოს ნაკრების ლიდერად?

**— ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ნახევარმცველებიდან ვის გამოარჩევდით?**

— გამოვყოფდი გივი კვარაცხელიას. ის თავის დროზე ვერ მოხვდა „დინამოს" ძირითადში, მაგრამ ამან ვერ დათრგუნა, რადგან ნაღდად სპორტული ხასიათის ბიჭია, თუმც ცოტა ზედმეტი წონის პრობლემა აწუხებს. გამოვარჩევდი ჯონი შალამბერიძესა და თენგიზ სიჭინავასაც.

საერთოდ, ახალი თაობიდან კი ზურაბ ხიზანიშვილს გამოვყოფდი. ვთვლი, რომ ნახევარმცველად თამაშით ის კიდევ უფრო პერსპექტიულია. მას და ოთარ ხიზანეიშვილს წყვილში საყრდენებადაც უთამაშიათ 18-წლამდელთა ნაკრებში და საკმაოდ კარგადაც. ნიჭიერი ნახევარმცველია ზურაბ მენთეშაშვილიც. კახი კალაძეზე კი გეტყვით, რომ მიუხედავად იმისა, რომ კიევის „დინამოში" ხანდახან ნახევარდაცვაში ათამაშებენ, შემოქმედებითი ტიპის ფეხბურთელი მაინც არ არის და მისი ადგილი უფრო დაცვაშია. მათ, რა თქმა უნდა, ლევან კობიაშვილიც უნდა მივუმატო.

**— ვინც თქვენ ჩამოთვალეთ, მათ შორის არავინაა პლეიმეიკერი...**

— დავით მუჯირი ის ფეხბურთელია, ვისაც ჩინებულად ძალუძს საფეხბურთო გუნდის თამაში ააგოს. ის ძალიან ნიჭიერია და ბრწყინვალე აზროვნება აქვს. ეგაა, სისწრაფე არ ყოფნის, მაგრამ თუ სწორად იმუშავებს საკუთარ თავზე, დიდი ფეხბურთის გზას დაადგება.

**— პლეიმეიკერებისთვის უმთავრეს ფაქტორად აზროვნებას მიიჩნევთ?**

— მარადონას წასვლის შემდეგ თანამედროვე ფეხბურთი დიდი ოსტატების სიღარიბეს განიცდის. ერთ-ერთი უმცირესთაგანი ზინედინ ზიდანია. ის ძალიან ტექნიკურია, კარგად მოძრაობს, მაგრამ მისი მთავარი ღირსება მაინც სწრაფი აზროვნებაა, ისევე როგორც რივალდოსი. სწორედ სწრაფი აზროვნებით გადის ფონს ფრანჩესკო ტოტი, რომელიც მაინცდამაინც არ გამოირჩევა ტექნიკით.

**— ზოგიერთი დიდი კლუბი თუ ნაკრები სულაც ტიპიური პლეიმეიკერის გარეშე თამაშობს...**

— მართალია. მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედი" ავიღოთ. ეს დიდი გუნდი სწორედ ნახევარმცველების ხარჯზეა ძლიერი. არ ჰყავს გამოკვეთილი გამთამაშებელი, მაგრამ როი კინი და პოლ სქოულზი ისე მოქმედებენ, რომ გუნდის თამაში მშვენივრადაა აწყობილი, რაშიც დიდ როლს მწვრთნელის ფაქტორი ასრულებს — ალექს ფერგიუსონი.

ავიღოთ მიუნხენის „ბაიერნიც". არ არის შტეფან ეფენბერგი ზიდანის დარი ფეხბურთელი, არც მისი დარი ტექნიკა თუ დრიბლინგი გააჩნია, მაგრამ თამაშის კულტურისა და ინტელექტის ხარჯზე „ბაიერნში" ნამდვილ ვარსკვლავად მოსჩანს. კარგი ფეხბურთელია მეჰმეთ შოლიც, მაგრამ ეფენბერგი მთავარია. აქაც მწვრთნელი განაპირობებს ბევრ რამეს — ოტმარ ჰიტცფელდი ზედმიწევნით სწორად იყენებს ეფენბერგს.

თითქმის იგივე სიტუაცია იყო მადრიდის „რეალში". რედონდო ტიპიური პლეიმეიკერი არ არის, მაგრამ გუნდის თამაშს სწორედ ის წარმართავდა.

**— ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს მორიგი გამოცდა რუმინელებთან ელით...**

— ძალიან რთული მატჩები იქნება. ვთვლი, რომ რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრები ეროვნულიზე უკეთესია — ჩვენ უფრო ძლიერი მეტოქე გველის. ფირზე ვნახე რუმინეთის ახალგაზრდული ნაკრების მატჩი იტალიელ თანატოლებთან, რაც ამის თქმის საშუალებას მაძლევს. ორი წაგებული მატჩის შემდეგ შანსები კი შეგვიმცირდა, მაგრამ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ. რუმინელებს ალბათ „შევარდენის" სტადიონზე ვუმასპინძლებთ — პატარა მოედანზე თამაში ხელს გვაძლევს. მეტოქეს კარგად ვიცნობ, რადგან მის ბირთვს ის ყოფილი 18-წლამდელები შეადგენენ, რომელთაც ოთხი წლის წინ ვეთამაშეთ. არ წავაგებთ.

**დავით თაგართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამო იგებს და ელის

**უკეთესი** მომავლის იმედით შეიკრიბნენ გუშინ დილმის ბაზაზე რევაზ არველაძის შეგირდები. თითოეული მათგანი გრძნობს, რომ გაურკვევლობაში იმყოფება, ბუნდოვანია კლუბის მომავალი, ისევე როგორც გუნდიდან წამსვლელთა და დამრჩენთა ვინაობა. კლუბში დღეს ორმოცამდე ფეხბურთელი კი ემზადება, მაგრამ შესაძლოა ამის ნახევარიც ვერ შეუხვდეს ეროვნული ჩემპიონატის განახლებას არველაძის გუნდში... და მაინც საწვრთნელი პროცესი გრძელდება, ამის დასტურად „დინამომ" გუშინ მეორე საკონტროლო მატჩი გამართა დილმის ბაზაზე რუსთავის „გორდასთან". გეხსომებათ, პირველი მატჩი თბილისელებმა გორის „დილასთან" გამართეს და მშრალი ანგარიშით — 4:0 გაიმარჯვეს. პირველი მატჩის მსგავსად, დინამოელებმა გუშინაც ოთხი გოლი გაუტანეს მეტოქეს, თუმც სამი გაუშვეს და საბოლოო ჯამში გამარჯვებაც დაიბევეს — 4:3.

ცივ ამინდში გუნდებს ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ, თავგამოდებით გაისარჯნენ და მატჩიც უხვგოლიანი გამოდგა. გამარჯვებულთაგან გოლები მიკუჩაძემ, გოგოლაძემ, ვაშაკიძემ და იაგორაშვილმა გაიტანეს. „გორდადან" კი არმაზ ჯელაძემ ივარგა. მან ჰეთ თრიქი შეასრულა.

აქვე გუშინდელი მატჩის მონაწილე გუნდების სასტარტო შემადგენლობებსაც გაგაცნობთ:

*დინამო: გრიშიკაშვილი, არჩვაძე, ი. ვაშაკიძე, კანდელაკი, სიჭინავა, პ. ჯინჭარაძე, ზამთარაძე, დათვაძე, ბურდული, გ. ვ. მიქაძე, მიკუჩაძე*

*გორდა: ნიკურაძე, გაბელაია, ბურნაძე, ლაშა სილაგაძე, კედელაშვილი, ა. ბუკია, ალადაშვილი, თ. მეტრეველი, ზ. ლაბაძე, ჯელაძე, მიშველიძე*

მომდევნო საკონტროლო მატჩს „დინამო" 20 იანვარს „ვიტ ჯორჯიასთან" გამართავს.

**ბაატა ძვანტალიანი**



მურმან გოგოლაძე

# სიონის მოურჩენელი იარები

**საგაზაფხულო** ეტაპისთვის სამზადისს განაგრძობს ბოლნისური „სიონის" მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე თბილისში ამზადებს გუნდს, თანაც საკონტროლო მატჩებსაც მართავენ.

გუშინ „ისნის" სტადიონზე „სიონი" თბილისის „ვიტ ჯორჯიას" დაუპირისპირდა. ალეკო გოგობერიშვილისა და კახა წუწუნავას გოლებს შალვა ისიანმა ერთით უპასუხა და საბოლოოდ ვეტერინარებმა 2:1 იმარჯვეს.

სპარტაკ არჩვაძის განკარგულებაში 25-მდე ფეხბურთელია. ძველებს რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშეც დამატებია, ძირითადად ბოლნისური საფეხბურთო სკოლის აღზრდილები.

მწვრთნელებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, ვის დაიტოვებენ, მაგრამ ახლა მათ სულ სხვა საფიქრალი აქვთ. ტრავმებისგან ჯერაც არ განკურნებულან დაცვის ბურჯი და კაპიტანი არჩილ შაკიაშვილი და ვასილ მაისურაძე

შეგახსენებთ რომ, შაკიაშვილმა რამდენიმე თვის წინ მენისკის ოპერაცია გაიკეთა. თითქმის ყველაფერი კარგად იყო, არჩილმა ნაახალწლევს ვარჯიშიც განაახლა, მაგრამ მუხლმა ისევ შეაწუხა და კაპიტანი ისევ ისვენებს.

ვასილ მაისურაძემ კუნთი რამდენიმე თვის წინ დაიჭიმა და ტრავმის მოშუშებას არ დაადგა საშველი. მაისურაძეს ვარჯიში ჯერ არ განუახლებია.

გუშინ „ისანზე" ვერც ნახევარმცველ მურმან გოგოლაძეს მოვკარით თვალი. მურმანს ვარჯიში კი დაუწყია, მაგრამ მერე თავი გაუნებებია.

რამ ააყრევინა გოგოლაძეს ფეხბურთზე და „სიონზე" გული, ჯერჯერობით ჩვენთვისაც უცნობია, თუმც ფაქტი ერთია, თუ მურმანმა ვარჯიშები არ გააგრძელა, მაშინ „სიონს" ნახევარდაცვაში სოლიდური ძალა დააკლდება.

**დათო დანელია**

# ვის ირჩევს მახარაძე?

**საიტალიო** სამზადისშია თბილისური „ვიტ ჯორჯია". ვიცე-ჩემპიონები აპენინებზე თვის ბოლოს მიემგზავრებიან 17-დღიან შეკრებაზე. მანამდე კი, თემურ მახარაძეს დედაქალაქშიც შეკრებაზე ჰყავს გუნდი.

სადღეისოდ „ვიტ ჯორჯიაში" 25 ფეხბურთელია. ალბათ, იტალიაში ოცდახუთივე გაემგზავრება და მწვრთნელებიც მერე გაარკვევენ წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობას.

უკლებლივ ყველა ვეტერინარი, რომლებიც შემოდგომაზე „ვიტ ჯორჯიაში" ირიცხებოდნენ გუნდშია. ამათ დავუმატოთ სამი თსუ-ელი, რევაზ გოცირიძე, კახა წუწუნავა და გიორგი ადამია.

„ვიტ ჯორჯიაში" ვარჯიშობს რუსთავის „ხალიბის" ახალგაზრდა მოთამაშე, თვრამეტწლამდელთა ნაკრების წევრი დავით ზაზაშვილი. ბათუმელი დავით ჩოხელი და „ვალენსია 83"-ის ფორვარდი გიორგი ფეიქრიშვილი.

ამჟამად ოთხი მეკარეა თემურ მახარაძის განკარგულებაში. მირზა მერლანი, სერგო ჭურაძე, დავით მამარდაშვილი და ზვიად სტურუა. სტურუას კლუბის თავკაცები თსუ-ში ანათხოვრებენ, ხოლო დანარჩენთა ბედი იტალიური შეკრების შემდეგ გადაწყდება. მახარაძე ორ საუკეთესოს დაიტოვებს.

ბოლოს ვეტერინარული კლუბის ყველაზე სერიოზულ შენაძენზე მოგახსენებთ. თითქმის თვე იქნება რაც „ვიტ ჯორჯიაში" ალეკო გოგობერიშვილი და დიმიტრი არსოშვილი ვარჯიშობენ. გოგობერიშვილი მახაჩყალის „ანჟიში" ირიცხებოდა, თუმც მოედანზე იშვიათად ჩნდებოდა.

არსოშვილი მოლდოვურ „შერიფში" ორი წლის წინ გადავიდა თბილისური „ლოკომოტივიდან". თამაში არ დასცალდა, პირველივე ვარჯიშზე მძიმე ტრავმა მიიღო. ტრამვირებულივე გადაბარგდა ტერნოპოლის „ნივაში", ახლა „ვიტ ჯორჯიაშია",. ოღონდ სრულიად ჯანმრთელი.

გოგობერიშვილისა და არსოშვილის შემატებით „ვიტ ჯორჯია" საგრძნობლად გაძლიერდება.

**მამუკა ძვანტალიანი**

რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# კობამ კი გაიტანა, მაგრამ...

## ბადრი კვარაცხელიამ მეზობლები გადაგვირია



ბადრი კოპალიანის ფოტო

კობა წიტაიშვილი ისრაელის ჩემპიონატის მეგოლეებში გაერია

**იანვარია** და ამ თვეს ყველა თავისებურად იყენებს. ერთნი შეკრებაზე არიან და საკონტროლო მატჩებს მართავენ, მეორენი ტურნირებში მონაწილეობენ, მესამენი კი გახურებულ ჩემპიონატებში ღვრიან ოფლს.

თვის დასაწყისში ჩემპიონატები მხოლოდ ბრიტანეთსა და ესპანეთში გრძელდებოდა. ჩვენთვის კი მართლაც რომ გამორჩეული ამბავი მოხდა: 7 იანვარს პრიმერადივიზიონის მეჩვიდმეტე ტურში, ესპანეთის მთავარ ლიგაში პირველმა ქართველმა, გიორგი დემეტრაძემ ითამაშა. დეკემბერში კიევის „დინამოდან" 5 მილიონ დოლარად ნაყიდი თბილისელი თავდამსხმელი მინდორზე ოსკარ დე პაულას მაგიერ 55-ე წუთზე გამოჩნდა, ერთი-ორჯერ საჯარიმოს სიახლოვესაც მიიღო ბურთი, მაგრამ ხეირიანად თამაშში ჩართულიც არ იყო, რომ კუნთი დაეჭიმა და იძულებული გახდა სათადარიგოთა სკამზე დამჯდარიყო.

ამ დღეს „სოსიედადში" დაბრუნდა ცნობილი უელსელი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი. ბასკური გუნდი ახლა ერთობ მძიმე მდგომარეობაშია, ცხრილში ბოლო ადგილზეა და თამაშიც არ მისდის. სანსებასტიანელები ახალი მწვრთნელისა და თავდამსხმელის იმედზე არიან. სანუგეშო კი ჯერ არაფერი აქვთ. ის მატჩი „სარაგოსასთან" 1:1 დამთავრდა, გასულ უქმეებზე კი ბასკურ დერბიში დემეტრაძის გუნდი ბილბაოს „ატლეტიკთან" 0:2 დამარცხდა, თუმცა ქართველს არ უთამაშია.

ინგლისში ამ ბოლო ორ კვირაში სამი ტური და ასოციაციის თასის მესამე რაუნდი გაიმართა. ჩვენებურთა სამივე გუნდი შემდგომ ეტაპზე გავიდა, თუმცა მინდორზე მხოლოდ გიორგი ქინქლაძე იყო. „დერბიმ" შინ პირველდივიზიონელ „ვესტ ბრომვიჩს" 3:2 მოუგო. დერბელთა ოფიციალურ ვებგვერდს თუ დავესესხებით, გამოვა, რომ გიოს კარგად უთამაშია და რამდენიმე სახიფათო მომენტიც მისი გონივრული პასებით შექმნილა.

ორი გოლი კრისტიმ გაიტანა, ერთიც ერანიომ. ახლა „დერბი" პირველდივიზიონელსვე „ბლექბერნს" შეხვდება. რატი ალექსიძის „ჩელსიც" ქვედალიგელ „ჯილინგემთან" გაარკვევს ურთიერთობას, ხოლო თემურ ქეცბაიას „ვულვერჰემპტონი" „გრიმსბისა" და „უიკომბს" შორის გამარჯვებულთან. ამათი ამბავი წუხელ უნდა გარკვეულიყო.

ჩემპიონატში კი „ვულვზმა" ცოტა სული მოითქვა. ბოლო სამ მატჩში ორი მოიგო, ერთი ფრედ დაამთავრა და მეთორმეტე ადგილზე აცოცდა. „პორტსმუტთან" შეხვედრაში მინდორზე ქეცბაიაც გამოჩნდა. მაგრამ თემურმა ტრავმა ბოლომდე ვერა და ვერ მოიშუშა.

ჩვენი გერმანელები ტრადიციულ საშობაო დარბაზის ტურნირებში მონაწილეობენ.

არჩილ არველაძის „კიოლნი" ჯერ რიზას სტუმრობდა, სადაც ნახევარფინალამდე მიაღწია და იქ „ჰანზასთან" დამარცხდა. მესამე ადგილისთვის მატჩში კიოლნელებმა „ვალდჰოფს" 5:1 მოუგეს, ფინალში კი „ჰანზამ" „კოტბუსს" 5:2 სძლია.

მერე არველაძის გუნდმა დორტმუნდში გადაინაცვლა და „ვესტფალენჰალეში" ოდენ მეოთხედფინალს უწია — „კოტბუსთან" პენალტებით (3:4) წააგო. ტურნირი კი „უნტერჰახინგმა" მოიგო, ფინალში ასევე პენალტებით „ვერდერი" 5:4 დაამარცხა.

ამავე დღეებში „კიოლნი" ობერლიგის ბინადარ „ვუპერტალს" ესტუმრა და 2 ათასი მაყურებლის თვალწინ ამხანაგურად 4:1 მოუგო. ჩვენებურს არ გაუტანია.

დღეს არჩილის გუნდი საკონტროლო მატჩს გამართავს ჰოლანდიური კერკრადეს „როდასთან".

„ფრაიბურგმა" შტუტგარტის „ჰალენპოკალში", ანუ დარბაზის ფეხბურთში მიიღო მონაწილეობა და მეოთხედფინალში გავარდა, თუმცა ყველაზე ტექნიკური გუნდის ეპითეტი კი დაიმსახურა.

პირველ მატჩში „მაინცთან" ფრაიბურგელებმა 2:0 მოიგეს. მეორე იაშვილმა შეაგდო. „მიუნხენთან" ფიცხელი ბრძოლა გაიმართა. თავიდან „ლომები" იგებდნენ, მაგრამ კობიაშვილმა გაათანაბრა, საბოლოო წერტილი კი ისევ იაშვილმა დასვა 5:4.

მეოთხედფინალში ფინკეს გუნდს „უნტერჰახინგმა" 3:2 აჯობა, მაგრამ უგოლოდ ქართველები არც ამჯერად დარჩენილან. 0:1-ზე ცქიტიშვილმა გაათანაბრა. ტურნირში კი იმავე „უნტერჰახინგმა" იმარჯვა. ფინალში „მაინცი" დაამარცხა.

ეს ყველაფერი 6-7 იანვარს მოხდა. მერე კი „ფრაიბურგი" ტრადიციულად პორტუგალიაში გაემგზავრა შეკრებაზე. იქ ერთი საკონტროლო მატჩიც გამართა და დაბალდივიზიონელ „ალბუფეირასთან" 0:2 წააგო. ცოტა უცნაური კია, შარშან ამავე გუნდს „ფრაიბურგმა" ერთ თამაშში 31(!) ბურთი გაუტანა. დღეს ფინკეს ბიჭები ჰოლანდიურ „ფეიენოორდს" გაეჯიბრებიან.

ისრაელში კობა წიტაიშვილის „ირონის" დიდი ამბები გადახდა. ჯერ იყო და, შინ ფეთახ თიკვას „მაკაბის" 2:1 მოუგო. ალონ ოფირის გოლს სტუმარმა რაფი გილელმა უპასუხა, მაგრამ მე-80 წუთზე ქართველი ვერავინ შეაჩერა და კობამაც გამარჯვებისა გაიტანა. ებრაული პრესის მტკიცებით, ეს იყო ტურის ყველაზე სანახაობრივი მატჩი. „ირონი" ჩინებულად თამაშობდა და სამი ქულაც დამსახურებულად მიითვალა.

მერე კი, მერე ქებამ აწყინათ თუ რა, იანვრის დასაწყისში თელ ავივს ესტუმრნენ, ორ მატჩში 13 ბურთი გაუშვეს და შინ თავლაფდასხმულები დაბრუნდნენ. აბა, როგორია, ჯერ „ჰაპოელთან" 0:3 წააგეს, ხოლო ერთ კვირაში „მაკაბისთან" 1:10 შერცხვნენ. თურმე ისრაელის ჩემპიონატში ასეთი დიდი ანგარიში ათ წელიწადზე მეტია აღარ ყოფილა. ჩვენთვის კი საინტერესო ისაა, რომ ერთადერთი საპასუხო წიტაიშვილმა გაიტანა.

ახლა კობას 8 გოლი მოუგროვდა და ბომბარდირებში რიხიანად გაერია. მთავარს, ფეთახთიკველ მოტი კაკონის 14 ბურთი აქვს გატანილი, ნეთანიელ იციკ ზოარსა და ჰაიფის მაკაბელ რაფი კოენს 9-9, მერე კი ერთით ნაკლებით ქართველი და ნეთანიელი ლირონ ვილნერი მოდიან.

ისრაელის ჩემპიონატში 12 გუნდი თამაშობს. სამწრიანი ტურნირის შემდეგ პლეი ოფები დაიწყება, 1-6 გუნდები საპრიზო ადგილებს გაითამაშებენ, ხოლო 7-12 ადგილოსნები ორ ისეთს გამოავლენენ, ვისაც უმაღლესი ლიგის დატოვება მოუწევს. ახლა „ირონი" მეცხრე ადგილზეა და საპრიზოს მაძიებელთა შორის, ალბათ, ვერ მოხვდება, მაგრამ არც უნდა გავარდეს — ბოლო ორს „აშდოდსა" და „ცაფრირიმს" ხავმოდ უსწრებს.

20-ში „ირონი" თელ ავივის „ბნეი იეჰუდას" მასპინძლობს და ამით მეორე წრეს დაამთავრებს, თუმცა მესამე შეუსვენებლივ, 27 იანვარს დაიწყება.

კიევის „დინამომ" ამ ორშაბათს პოლტავის „ვორსკლასთან" ორი საწვრთნელი მატჩი ჩაატარა. ჯერ თავის ბაზაზე, კონჩა ზასპაში 2:0 მოუგო, შემდეგ კი „დინამოს" სტადიონზე 7:2 გაანადგურა.

პირველი შეხვედრა ლობანოვსკის გუნდმა მეორე შემადგენლობით ითამაშა, მეორეში კი შერეულით. კახა კალაძე მეორეს მეორე ტაიმში გამოჩნდა მინდორზე.

გუშინ კიეველებმა მოსკოვის თანამეგობრობის ტურნირზე წამსვლელნიც გამოაცხადეს. კალაძე, ცხადია, მათ შორისაა. სათუოა ტრავმირებული გუსინის გამგზავრება. აგრეთვე განაცხადში არ არიან მეკარე შოვკოვსკი, მცველი დმიტრულინი და ნახევარმცველი კარდაში. ისინი 18-29 იანვარს უკრაინის ნაკრების შეკრებაზე მიიწვიეს.

ესენგეს ტურნირისთვის მოლდოვის ჩემპიონი „ზიმბრუც" ემზადება. გუშინწინ კიშინიოველები სანკტ პეტერბურგში „ზენიტს" 1:1 ეთამაშნენ. დაწყებიდან ნახევარი საათი გასულიყო, როცა მიტერევის ნაცვლად მინდორზე ლევან გვაზავა შევიდა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ბერკო ლადო ახალაიათი შეცვალეს. ჩვენი რუსი კოლეგების ინფორმაციით, „ზიმბრუმ" და მისმა ქართველებმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

დაბოლოს, საინტერნეტო გამოკითხვის შედეგად, „შამქირისა" და აზერბაიჯანის ნაკრების თავდამსხმელი ბადრი კვარაცხელია ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ვებგვერდში წერია: „კვარაცხელია თავის დროზე თბილისის „დინამოში", ძმები არველაძეების მხარდამხარ თამაშობდა, მერე ორჯერ მოიგო აზერბაიჯანის ჩემპიონობა, 1998-ში „ქიაფაზთან", ხოლო შარშან „შამქირთან" ერთად. რიგის „სკონტოსთან" მისმა ჰეთ თრიქმა კი გასულ ზაფხულს აზერბაიჯანული კლუბი პირველად გაიყვანა ევროთასების შემდგომ ეტაპზე".

მოკლედ, ბადრიმ ჩვენი მეზობლები გადარია.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **ინგლისი** | | | | | |
| | | | პრემიერლიგა | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | საუთჰემპტონი 0:1 | 26 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 1 | 16 |
| | დერბი | შ | ევერტონი 1:0 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 1 | 16 |
| | დერბი | ს | მიდლსბრო 0:4 | 28 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 1 | 17 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | ვესტ ჰემი | | გადაიდო | 2 | 0 | 8 |
| | ჩელსი | შ | ასტონ ვილა 1:0 | 0 | | 2 | 0 | 8 |
| | ჩელსი | ს | არსენალი 1:1 | 0 | | 2 | 0 | 9 |
| | | | პირველი დივიზიონი | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | სტოკპორტი 3:2 | 0 | | 12 | 3 | 12 |
| | ვულვზი | ს | ბარნლი 2:1 | 0 | | 12 | 3 | 12 |
| | ვულვზი | შ | პორტსმუტი 1:1 | 20 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 3 | 12 |
| | | | ასოციაციის თასის ოცდამეთორმეტედფინალი | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ვესტ ბრომვიჩი 3:2 | 90 | | 1 | 0 | |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | პიტერბორო 5:0 | 0 | | 0 | 0 | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | ნოტინგემი 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | |
| | | | **შოტლანდია** | | | | | |
| | | | პრემიერლიგა | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | დანფერმლაინი | | გადაიდო | 20 | 1 | 6 |
| | დანდი | ს | ჰიბერნიანი 0:3 | 90 | | 21 | 1 | 6 |
| | | | **ესპანეთი** | | | | | |
| | | | პრიმერადივიზიონი | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | შ | სარაგოსა 1:1 | 20 | შეცვლაზე ითამაშა, შეცვალეს | 1 | 0 | 20 |
| | სოსიედადი | შ | ბილბაო 0:2 | 0 | | 1 | 0 | 20 |
| | | | **ისრაელი** | | | | | |
| | | | უმაღლესი ლიგა | | | | | |
| კობა ნიტაიშვილი | ი. რიშონი | შ | მაკ. ფეთახ თიკვა 2:1 | 90 | 1 გოლი | 13 | 7 | 9 |
| | ი. რიშონი | ს | ჰაპ. თელ ავივი 0:3 | 90 | | 14 | 7 | 9 |
| | ი. რიშონი | ს | მაკ. თელ ავივი 1:10 | 90 | 1 გოლი | 15 | 8 | 9 |
| | | | **საბერძნეთი** | | | | | |
| | | | უმაღლესი ლიგა | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | შ | პანიონისი 2:2 | 0 | | 7 | 0 | 12 |
| | იანინა | ს | არისი 0:1 | 0 | | 7 | 0 | 12 |
| | იანინა | შ | ოფი 1:0 | 0 | | 7 | 0 | 12 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# და საქართველო?
## უეფამ მომავალი სეზონისთვის რეიტინგი გამოაქვეყნა

**ორშაბათს** შვეიცარიულ ნიონში უეფას ბოსებმა კალკულატორები მოიმარჯვეს, ევროსარბიელზე ქვეყანათა მონაგარი დაიანგარიშეს და ქვემოთ მოცემული რეიტინგი შეადგინეს — 2001/2002 წლების სეზონში ქვეყნებს ჩემპიონთა ლიგაში და უეფას თასზე სწორედ ამ ცხრილში მოცემული რაოდენობის გუნდები ეყოლებათ.

წინა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში სამი ესპანური გუნდის გასვლამ პირინეელები იმითაც აზეირა, რომ ესპანეთი რეიტინგის თავში მოექცა. აქამდე ევროპულ საკლუბო ფეხბურთს იტალია ფლაგმანობდა და ახლა მეორეა.

ეს ორი ქვეყანა და მათთან ერთად გერმანია ლიგაში ორ-ორ გუნდს ავტომატურად გაიყვანენ და ორ-ორსაც მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე წარადგენენ.

სამ-სამი გუნდი ეყოლებათ საფრანგეთს, ინგლისს და ჰოლანდიას და მათგან ორს კვალიფიკაციის გავლა არ მოუწევს.

ლიგაში მოხვდებიან რუსეთის, ჩეხეთისა და საბერძნეთის ჩემპიონებიც, იქაური მეორეადგილოსნები კი მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე იბრძოლებენ. აღსანიშნავია, რომ ცხრა საუკეთესო ქვეყანას შორის აქამდე პორტუგალია იყო და ეს უფლება მას ჩეხეთმა ჩამოართვა. ამით პორტუგალიელებმა ლიგაში თავიანთი ჩემპიონის ავტომატურად გაყვანის შესაძლებლობა დაკარგეს, თუმცა სიტუაცია შესაძლოა შეიცვალოს — ეს წლევანდელი ლიგის ფინალის შედეგზე იქნება დამოკიდებული. თუ 23 მაისს მილანის „სან სიროზე" თასს ის გუნდი აღმართავს, რომელიც ამ რეიტინგის თანახმად ისედაც ხვდება მომავალ გათამაშებაში, მეთექვსმეტე ვაკანტურ ადგილს პორტუგალიის ჩემპიონი დაიკავებს.

საკმაოდ დიდი ნახტომი გააკეთა შოტლანდიამ და წინა რეიტინგთან შედარებით ექვსი საფეხურით წაიწია წინ. ეს ნიშნავს, რომ სქოთთა საუკეთესო გუნდი მეორის ნაცვლად მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმება ტურნირში.

და საქართველო? ჩვენ ქვემოთ გადაგვაგდეს და ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებულს პირველი ეტაპიდან მოუწევს ბრძოლა. აბა, ჩვენი შედეგების შემყურე სხვას რას ველოდით?

**გიორგი დარჯანია**

## 2001-2002 წლების ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის გათამაშების ფორმატი

### ჩემპიონთა ლიგა / უეფას თასი

| ჯგუფი | მესამე შესარჩევი | მეორე შესარჩევი | პირველი შესარჩევი | ქვეყანა | პირველი ეტაპი | შესარჩევი ეტაპი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ 2 | 3 4 | | | ესპანეთი | თ 5 6 | |
| ჩ 2 | 3 4 | | | იტალია | თ 5 6 | |
| ჩ 2 | 3 4 | | | გერმანია | თ 5 6 | |
| ჩ 2 | 3 | | | საფრანგეთი | თ 4 5 | |
| ჩ 2 | 3 | | | ინგლისი | თ 4 5 | |
| ჩ 2 | 3 | | | ჰოლანდია | თ 4 5 | |
| ჩ | 2 | | | რუსეთი | თ 3 4 5 | |
| ჩ | 2 | | | ჩეხეთი | თ 3 4 5 | |
| ჩ | 2 | | | საბერძნეთი | თ | 3 |
| | ჩ | 2 | | პორტუგალია | თ | 3 |
| | ჩ | 2 | | თურქეთი | თ | 3 |
| | ჩ | 2 | | უკრაინა | თ | 3 |
| | ჩ | 2 | | ნორვეგია | თ | 3 |
| | ჩ | 2 | | შვეიცარია | თ | 3 |
| | ჩ | 2 | | შოტლანდია | თ | 3 |
| | | ჩ | | ავსტრია | თ | 2 3 |
| | | ჩ | | ბელგია | | თ 2 3 |
| | | ჩ | | დანია | | თ 2 3 |
| | | ჩ | | პოლონეთი | | თ 2 3 |
| | | ჩ | | რუმინეთი | | თ 2 3 |
| | | ჩ | | ხორვატია | | თ 2 3 |
| | | ჩ | | შვედეთი | | თ 2 |
| | | ჩ | | უნგრეთი | | თ 2 |
| | | ჩ | | ისრაელი | | თ 2 |
| | | ჩ | | სლოვაკეთი | | თ 2 |
| | | | ჩ | სლოვენია | | თ 2 |
| | | | ჩ | კვიპროსი | | თ 2 |
| | | | ჩ | იუგოსლავია | | თ 2 |
| | | | ჩ | ბულგარეთი | | თ 2 |
| | | | ჩ | **საქართველო** | | თ 2 |
| | | | ჩ | ლატვია | | თ 2 |
| | | | ჩ | ფინეთი | | თ 2 |
| | | | ჩ | ბელარუსი | | თ 2 |
| | | | ჩ | მოლდოვა | | თ 2 |
| | | | ჩ | ისლანდია | | თ 2 |
| | | | ჩ | მაკედონია | | თ 2 |
| | | | ჩ | ლიტვა | | თ 2 |
| | | | ჩ | ესტონეთი | | თ 2 |
| | | | ჩ | უელსი | | თ 2 |
| | | | ჩ | სომხეთი | | თ 2 |
| | | | ჩ | ირლანდია | | თ 2 |
| | | | ჩ | მალტა | | თ 2 |
| | | | ჩ | ჩრდ. ირლანდია | | თ 2 |
| | | | ჩ | ფარერები | | თ 2 |
| | | | ჩ | ლუქსემბურგი | | თ 2 |
| | | | ჩ | აზერბაიჯანი | | თ 2 |
| | | | | ლიხტენშტაინი | | თ |
| | | | ჩ | ალბანეთი | | თ 2 |
| | | | ჩ | ბოსნია | | თ 2 |
| | | | | ანდორა | | ჩ |
| | | | | სან მარინო | | ჩ |

*აღნიშვნა: ჩ — ქვეყნის ჩემპიონი; 2 — მეორე ადგილი; 3 — მესამე ადგილი; 4 — მეოთხე ადგილი; 5 — მეხუთე ადგილი; 6 — მეექვსე ადგილი; თ — ქვეყნის თასის მფლობელი*


კრისტიან ვიერი

# ვიერი აღარ გაიქცევა

**კვირას** მილანის „სან სიროს" სტადიონზე „ინტერი" — „პარმას" მატჩის 70-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა მასპინძელთა თავდამსხმელმა კრისტიან ვიერიმ გოლი გაიტანა და თავისი გუნდი წაგებას გადაარჩინა. გოლის გატანა ვიერის ემოციურად არ გამოუხატავს — ტრიბუნებზე მსხდომმა ქომაგებმა ძალიან გაიხარეს, ვიერი კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, შებრუნდა და ცენტრისკენ ნელ-ნელა წავიდა.

„მე გულშემატკივრებთან ერთად საგანგებოდ არ გავიზიარე სიხარული. მომავალშიც ასე მოვიქცევი, „სან სიროზე" გატანილ ბურთებს ზუსტად ისე აღვნიშნავ, როგორც „პარმასთან" — გულისტკივილით თქვა ერთ დროს მსოფლიოს უძვირესმა ფეხბურთელმა იტალიურ გაზეთებთან საუბარში.

ვიერის განაწყენების მიზეზი სწორედ „სან სიროს" ტრიბუნებზე მსხდომი ის ქომაგები იყვნენ, რომლებიც 70-ე წუთზე სიხარულისგან კინაღამ გადაირივნენ და იმ წუთში „ინტერის" ტანმაღალი ფორვარდი ათასი ეპითეტით შეამკეს. მანამდე კი...

ბოლო დროა, კრისტიან ვიერისა და „ინტერის" გულშემატკივრებს შორის ურთიერთობა მკვეთრად გაუარესდა. იტალიელ ვარსკვლავს, მოგეხსენებათ, უმძიმესი ტრავმა ჰქონდა და ფეხბურთს ათთვიანი შესვენების შემდეგ, გასული წლის მიწურულსღა დაუბრუნდა. „ინტერის" ტიფოზებმა რამდენიმე მატჩი აცალეს, მერე კი, რომ შეატყვეს, მათი გმირი ძველებურად ველარ ბრწყინავდა, უსტვინეს. ბოლო შეხვედრებში ვიერის ყოველი მოძრაობისას ქომაგთა სტვენა და ლანძღვა ჩაესმოდა ყურში, ჰოდა, რატომაც აუცრუებია გული, გასაგებია.

ამ სიტუაციით უმალ დაინტერესდა ორი იტალიური გრანდი — რომის „ლაციო" და ტურინის „იუვენტუსი". მღვრიე წყალში თევზის დაჭერის სურვილით ბადეც გადააგდეს, ეგებ ვიერი ამოჰყვესო. ამ კლუბების წარმომადგენლები ვიერის დაუკავშირდნენ, რატომაც, თავადაც მიხვდებით.

ემანდ მთავარი იმედი არ დავკარგოთო, გუშინ „ინტერის" ტექნიკური დირექტორი, წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი გაბრიელე ორიალი გამოვიდა და ქომაგების წინააღმდეგ გაილაშქრა.

ისე, გულშემატკივართა უკმაყოფილება ერთის მხრივ გასაგებია. „ინტერი", რომელიც ვარსკვლავებითაა გაჭედილი, სერია A-ში მხოლოდ მეთორმეტე ადგილზეა, ევროტურნირებიდანაც გავარდა, თუმცა გაუგებარია, რას ემართლებიან ვიერის — ათთვიანი უთამაშებლობის მერე ასეთი ჩავარდნა მოსალოდნელიც იყო.

გულშემატკივართა აღშფოთების ჩაცხრობა ორიალიმ სცადა: „ვიერი დიდი ფეხბურთელი და თანაგუნდელებისთვის მისაბაძი პიროვნებაა. კრისტიანი ყოველთვის პირველი მოდის ვარჯიშზე და ბოლო მიდის. მე უფრო მგონია, რომ ქომაგები მისმა თამაშმა კი არა, შეხვედრის შედეგმა განარისხა".

ორშაბათს ერთი საგულისხმო რამ ვიერის აგენტმა სერჯო ბერტიმაც თქვა: „ახლახან „იუვესა" და „ლაციოს" წარმომადგენლები შემეხმიანნენ და კრისტიანზე სიტყვა ჩამომიგდეს. მოლაპარაკებები დავიწყოთო, შემომთავაზეს".

აგენტის ნათქვამს პასუხი თავად ვიერიმ გასცა. „არ გეგონოთ, რომ ტიფოზებთან უთანხმოების გამო გუნდიდან წავალ. „ინტერის" დატოვებას არ ვაპირებ, უბრალოდ, ქომაგთა საქციელის გამო ჩემი გულისწუხილი გამოვთქვი" — განაცხადა თავდამსხმელმა და ისიც დააყოლა, რომ უახლოეს მომავალში გოლის გატანისას გახარებული არ გაიქცევა და არც მაისურას წამოიფარებს თავზე.

**ვანო ოქროპირიძე**

# საქმე შინაურულად გაარჩიეს

**გასულ** შაბათს „დეპორტივო" — „ვალენსიას" მატჩის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალ გზაზე ჩხუბი ატყდა. საინტერესო ისაა, რომ ერთმანეთს თანაგუნდელებმა დასცხეს. ტელევიზორშიც გამოჩნდა, როგორ გაიწია ჯალმინიამ ვიქტორ სანჩესზე.

ჩხუბის მიზეზი ის გახდა, რომ ბრაზილიელმა ხუთი წლით უმცროსი ვიქტორისგან ჭკუის დარიგება იუკადრისა. არადა, ვიქტორს ბევრი არაფერი უთქვამს. მატჩის მიწურულს ჯალმინია და ვალენსიელი დავიდ ალბელდა შეკამათდნენ და ვიქტორი თავის მეგობარს ამშვიდებდა. დავწყნარდები თუ არა, ჩემი საქმეაო, გაცხარდა ჯალმინია და ვიქტორს მუშტი უთავაზა.

ეს შემთხვევა არც მატჩის არბიტრ ხავიერ ტურიენსო ალვარესს გამოეპარა და შეხვედრის ოქმში ჩაწერა.

მოჩხუბრებს ინციდენტის თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, მათ მაგივრად თანაგუნდელებმა ილაპარაკეს. „დეპორტივოს" პორტუგალიელმა მცველმა


ჯალმინიამ ძმაკაცი გალახა

მარინო ელდერმა თქვა, მერე რა მოხდა, კინკლაობა ყველა კლუბში ხდებაო. ვალტერ პანდიანიმ კი დაუმატა, გასახდელში ყველაფერი გავარკვიეთ და გულში წყენა აღარავის დარჩენიაო.

# მოგებისას ფეხბურთელი, წაგებისას რანიერი



კლაუდიო რანიერი

**ლონდონის** „ჩელსის“ იტალიელმა თავკაცმა კლაუდიო რანიერიმ ახლახან ერთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: ამიერიდან „ჩელსის“ ყოველი მოგებული და ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე რანიერი თავად აღარ მივა. იგი საგანგებოდ შეარჩევს ფეხბურთელებს და ჟურნალისტებთან სასაუბროდ მათ გაუშვებს, ხოლო მარცხის შემთხვევაში იტალიელი სპეციალისტი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას არ აპირებს და პრესკონფერენციაზეც თავად გამოცხადდება.

თავის გადაწყვეტილებას რანიერი ასე ხსნის: „მოგებულ მატჩებზე ფეხბურთელებმა თავად უნდა ისაუბრონ, რადგან გამარჯვება სწორედ მათი დამსახურებაა. მე კი მათ ადგილს მაშინ დავიკავებ, როცა „ჩელსი“ დამარცხდება — გუნდი რომ აგებს, ეს ხომ მწვრთნელის ბრალია“.

თუ ლონდონურ კლუბის დღევანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ რანიერის საკმაოდ ხშირად მოუწევს პრესკონფერენციებზე მისვლა. დღეისათვის „ჩელსი“ პრემიერლიგის ცხრილში მეცხრე საფეხურზეა, 22 თამაშიდან რვა მოგება, ამდენივე ფრე და 7 წაგება აქვს. აღსანიშნავია, რომ ქართველი რატი ალექსიძის გუნდმა მიმდინარე სეზონში სტუმრად გამართული თერთმეტი მატჩიდან ერთიც ვერ მოიგო.

რანიერიმ მიღებული გადაწყვეტილება თავისებურად კი ახსნა, მაგრამ როგორც ინგლისური მედია ვარაუდობს, მიზეზი მაინც სხვაა, კერძოდ, ინგლისური ენის არცოდნა. ბრიტანელ ჟურნალისტებთან საუბრისას მწვრთნელი უმეტესწილად თარჯიმანს იხმარს ხოლმე, ...ლო ერთ-ერთი ტელეკომპანიისთვის მიცემულ ამასწინანდელ ინტერვიუს იუმორისტულ გადაცემებშიც კი ხშირად უჩვენებენ. მიზეზი მარტივია — რანიერის ჟურნალისტის შეკითხვები არ ესმოდა და არაადეკვატურ პასუხებს იძლეოდა.

**ვანო ოქროპირიძე**

# ერიკსონს აშაყირებენ
## ყველა კიგანი კიგანი როდია





რუუდ გულიტი და სვენ გორან ერიკსონი

ინგლისის ნაკრების მწვრთნელად სვენ გორან ერიკსონის დანიშვნა ის თემაა, რომელზეც გაუთავებლად ლაპარაკობენ, რაკიღა უამრავმა საფეხბურთო მოღვაწემ კომენტარის გაკეთება საჭიროდ ჩათვალა.

სხვებს არც „ჩელსისა“ და „ნიუკასლის“ ყოფილი თავკაცი რუუდ გულიტი ჩამორჩა და თქვა, დიდად თანავუგრძნობ ერიკსონსო. გულიტი საკითხს სხვა კუთხით უდგება — მნიშვნელობა არა აქვს, ნაკრებს ინგლისელი ჩაიბარებს თუ უცხოელი, მთავარი ისაა, რომ ინგლისში მწვრთნელობა ძალიან რთული და უმადური სამუშაოა და ერიკსონიც სწორედ ამიტომ მეცოდებაო.

რუუდ გულიტს ერთი ჩვეულება აქვს: რაზეც არ უნდა ილაპარაკოს, ბოლოს ჯანუკა ვიალის ლანძღვით ამთავრებს. ამის არაერთი მაგალითი ყოფილა. ახლაც ასე მოხდა — ვიალი 1996 წელს ჩემთან წავიყვანე, ვათამაშებდი და როცა ერთი ორჯერ სათადარიგოთა სკამზე დავსვი, ინტრიგები დახლართა და ჩემს ადგილს დაეპატრონაო. „სამართლიანობამ მაინც იმარჯვა — კმაყოფილებით აღნიშნავს გულიტი — ვიალი ისეთივე ქსელში გაება, როგორშიც თავის დროზე მე გამხვია. ეს ადასტურებს, რომ ხმლით მოსული კაცი ხმლითვე მოკვდება“.

სამაგიეროდ, ჰოლანდიელი ქებას არ იშურებს ბობი რობსონის მიმართ, თუმცა აქაც საკუთარ ღვაწლს აღნიშნავს, რობსონმა ჩემი მიყვანილი ხალხით გააკეთა „ნიუკასლიო“. ბოლოს გულიტმა ისიც დაუმატა, ინგლისში მუშაობის სურვილი არ მაქვს და საერთოდ, სამშობლოში ყოფნას არაფერი სჯობს, 12 თუ 13 წელი უცხოეთში ვიცხოვრე და მომბეზრდაო.

...ბოდიშს ვიხდით, ერიკსონზე უნდა გვესაუბრა და გულიტმა გადაგვახვევინა. ახლა შვედსაც მივუბრუნდეთ.

ერთ-ერთმა ლონდონურმა რადიომ ერიკსონის გაშაყირება განიზრახა და მსმენელი გულიანად აცინა. მავანმა რადიოჟურნალისტმა ნაკრების მწვრთნელს შინ დაურეკა და უთხრა, კევინ კიგანი ვარო. მთელი საუბარი რადიოში პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. მოკითხვის შემდეგ ერიკსონმა „კიგანი“ რესტორანში დაპატიჟა, დავსხდეთ და ვისაუბროთო. „კიგანს“, სამწუხაროდ, არ ეცალა და ჰკითხა, შენი აზრი მაინტერესებს, ნაკრებში რის შეცვლას აპირებ, აი, თუნდაც კაპიტნად ვინ გეყოლებაო. გულუბრყვილო ერიკსონმა მოსაუბრეს ყველაფერი გადმოულაგა, ხოლო კაპიტანზე უთხრა, ბექემი იქნებაო.

მერე „კიგანმა“ უთხრა, „ასტონ ვილას“ მეკარე დევიდ ჯეიმსს მიაქციე ყურადღება, ძალიან ძლიერია, მაგრამ სატანისტია, ჯვარი არ უყვარს და დრაკულას უწოდებენ, შენ კი რომში გიცხოვრია, პაპს იცნობ და ეგებ სთხოვო, ჯეიმსისგან დემონები განდევნოსო.

ხუმრობა, ცხადია, გაცხადდა.

სვენ გორან ერიკსონი შეგნებული კაცია და იუმორს გაგებით შეხვდა.

**გიორგი დარჯანია**



ლოთარ მათეუსი სებასტიან დაისლერს: აზრზე და „ბაიერნში“ მოდი

# ლოთარბრძენი

**გერმანული** ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ ლოთარ მათეუსმა, რომელმაც აქტიური კარიერა გასული წლის ნოემბერში დაასრულა, თანამემამულე ახალგაზრდა ფეხბურთელებს გონიერებისკენ მოუწოდა.

ამ ზამთარს, სატრანსფერო სეზონის გახსნის შემდეგ, გერმანიის უპირველესმა კლუბმა მიუნხენის „ბაიერნმა“ სამ ნიჭიერ და ახალგაზრდა მოთამაშეს მიმართა მომხიბვლელი წინადადებით, თუმცა სამივესგან უარი მიიღო. ბერლინის „ჰერტას“ ნახევარმცველმა სებასტიან დაისლერმა, ლევერკუზენელმა მიხაიელ ბალაკმა და კიოლნელმა კრისტიან ტიმმა „ბაიერნში“ წასვლას თავიანთ კლუბებში დარჩენა არჩიეს. თანაც სამივემ ერთი და იგივე მოტივით იუარა სუპერკლუბში გადასვლა: იქ დიდი კონკურენციაა და უმეტესად სათადარიგოობა მოგვიწევს, ბავარიელთა სათადარიგო სკამზე ჯდომას კი ჩვენივე კლუბებში ძირითად შემადგენლობაში ყოფნა გვირჩევნიაო.

მათეუსიც ამ ამბავმა შეაშფოთა და ხმაც ამოაღებინა. მან ახალგაზრდებს კარგ კლუბებში გადასვლა ურჩია, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი პროფესიული ზრდა შეწყდება და ტალანტიც გაქრება, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში იმავე დონეზე ითამაშებთ, როგორც ახლაო. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონის რისხვა განსაკუთრებით ჰერტელ სებასტიან დაისლერს დაატყდა, რომელსაც გერმანიაში ამომავალ ვარსკვლავს უწოდებენ.

„ძალიან დიდი შეცდომას უშვებენ ეს ახალგაზრდები. ყველაზე მეტად დაისლერის მიკვირს. მას „ჰერტაში“ როგორც ცხენს, ისე ეპყრობიან, ხშირად ტრავმა რომ აწუხებს, მაშინაც კი ათამაშებენ. მალე ფეხები ძველებურად აღარ დაემორჩილება. დაისლერს დასასვენებლად დრო საერთოდ აღარ რჩება, რაც მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. მჯერა, რომ იგი საბოლოოდ სწორ არჩევანს გააკეთებს. ვიცი, რომ საზღვარგარეთ მიუწევს გული, მაგრამ მანამდე უმჯობესი იქნება, თუ თავისი ქვეყნის საუკეთესო გუნდში ითამაშებს. იგი პროფესიონალია და არ შეიძლება, ეს არ ესმოდეს. იგივეს ვამბობ ტიმისა და სხვათა გასაგონადაც“ — თქვა მათეუსმა, რომელიც, შეიძლება ითქვას, „ბაიერნის“ კაცად ითვლება. მას კარიერის დიდი ნაწილი სწორედ ამ კლუბში გაუტარებია, ბავარიელთა პრეზიდენტ ფრანც ბეკენბაუერთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა აკავშირებს, ჰოდა...

ისე, დაისლერის ამომავალ ვარსკვლავობაზე უკვე სამი წელია, ლაპარაკობენ. მაშინ იგი ჯერ კიდევ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ წევრი იყო. გულახდილად რომ ვთქვათ, 20 წლის ფეხბურთელს მას შემდეგ დიდი პროგრესი არც განუცდია.

მიხაელ ბალაკი 1999 წლამდე „კაიზერსლაუტერნში“ თამაშობდა და ჯარიმების ძლიერად დარტყმით თუ იწონებდა თავს. მერე კრისტოფ დაუმმა „ლევერკუზენში“ მიიწვია და ბალაკის კარიერაში ალმავლობის ხანაც დადგა. გა-



მიხაელ ბალაკი

ნსაკუთრებით წლეულს, მადრიდის „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩებში გამოიჩინა თავი და აგერ „სანტიაგო ბერნაბეუზეც“ ეპატიჟებიან, თუმცა ბალაკი არც „რეალში“ წასვლას ჩქარობს.

კრისტიან ტიმი კი ორი თვეა, რაც ბუნდესლიგის ბობოლებს თვალში მოუვიდათ. არჩილ არველაძის თანაგუნდელი გასულ სეზონში მეორე ბუნდესლიგაშიც ერთ რიგით მოთამაშედ ითვლებოდა, ბოლო დროს კი საგრძნობლად მოუმატა და აგერ, ისე „გათავხედდა“, „ბაიერნს“ უარი შეჰკადრა და „კიოლნთან“ კონტრაქტი 2004 წლამდე გააგრძელა. იმ დროს ტიმი 25 წლის იქნება, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, ახლანდელ კლუბში ხელშეკრულების ბოლომდე დარჩეს, მასზე „ბაიერნის“ გარდა „დორტმუნდი“, „ლევერკუზენი“, „შალკე“, „ჰერტა“ და „ჰამბურგი“ ნადირობენ. ისიც, ალბათ, გაითვალისწინებს მათეუსის ბრძნულ რჩევებს და „კიოლნზე“ უკეთეს რომელიმე კლუბში გადავა.

**ვანო ოქროპირიძე**

# უეფამ დაიხია

„პსვ ეინდჰოვენმა“ ამას წინათ სასამართლოში სარჩელი შეიტანა უეფას წინააღმდეგ, რაკი არ დაეთანხმა სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას ჰოლანდიის ჩემპიონის ოცდაათი ათასი შვეიცარიული ფრანკით (18350 დოლარი) დაჯარიმების შესახებ. უეფამ პსვ 8 ნოემბერს ჩემპიონთა ლიგაში „ანდერლეხტთან“ მატჩში ქომაგთა ულირსი საქციელის გამო დააჯარიმა. იმ შეხვედრის დროს ეინდჰოვენელი ქომაგები რასისტულ შეძახილებით აშინებდნენ მეტოქე გუნდს.

გუშინწინ ჰოლანდიელებმა სარჩელი უკანვე გამოიტანეს, რადგან უეფამ მოწყალება მოიღო და პსვ-ს ჯარიმა ათი ათასი ფრანკით შეუმცირა.

უეფამ ავსტრიული „ტიროლის“ კაპიტან მიხაელ ბაუერსაც გაუნახევრა სასჯელი, რომელსაც ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა. ბაუერმა სასჯელი 26 ოქტომბერს უეფას თასზე „შტუტგარტთან“ მატჩის დროს მსაჯის შეურაცხყოფისთვის დაიმსახურა — როცა ავსტრიელთა კაპიტანმა მსაჯს ხელში მისთვის გამზადებული ყვითელი ბარათი დაუნახა, მიეჭრა და წაართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარტინ პალერმო ესპანეთში მიდის

# პალერმოს უცნაური ტრანსფერი

**ესპანეთსა** და იტალიაში კლუბი არ დარჩენილა, მისთვის მარტინ პალერმოს შეძენის სურვილი არ მიეწერათ. ევროპელთა ამბავიც ცნობილია — თუ სამხრეთამერიკელს თვალი დაადგეს, აუცილებლად ხელშიც ჩაიგდებენ ხოლმე. სწორედ ამიტომ არგენტინელ ვარსკვლავ მარტინ პალერმოს „ბოკა ხუნიორსში“ დიდხანს დარჩენას აღარ უწინასწარმეტყველებდნენ და ხმები მისი გადასვლის შესახებ, განსაკუთრებით ტოკიოში „რეალის“ დამარცხების შემდეგ, გახშირდა.

მარტინ პალერმო გადავიდა, მაგრამ არა რომელიმე დიდ გუნდში, არამედ მოკრძალებულ „ვილიარეალში“.

ორშაბათს კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, პალერმოს ვილიარეალში ოთხშაბათს ველით, ყველა დეტალი უკვე შეთანხმებულია და ოდენ საბოლოო ხელმოწერაა დარჩენილიო. თუ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია საჭირო საბუთების მომზადებას არ დააყოვნებს, პალერმო უკვე ამ კვირას „ესპანიოლის“ წინააღმდეგ ითამაშებს. არგენტინელის კონტრაქტი ოთხწლინახევრიანია, ფინანსურ მხარეზე კი არაფერი თქმულა.

„ვილიარეალის“ სატრანსფერო პოლიტიკა ამით არ ამოიწურა, მან „ბოკადან“ ნახევარმცველი გუსტავო ბაროს ჩელოტოც გადაიბირა. ეს ფეხბურთელი ვილიარეალში პალერმოზე ერთი დღით გვიან ჩავა.

„ვილიარეალში“ აქამდე ოთხი არგენტინელი თამაშობდა: მცველი რუდოლფო არუაბარენა, ნახევარმცველები დიეგო კანია და ვალტერ გაიტანი და თავდამსხმელი ბრუნო მარიონი. ოღონდ პალერმოსა და ჩელოტოს ოთხივე მათგანი ვერ დახვდება, რადგან ვალტერ გაიტანი ესპანელებმა „ბოკაში“ გაუშვეს.

ასე რომ, „ვილიარეალი“ პრიმერადივიზიონის ყველაზე არგენტინული გუნდი გახდება. ოთხ-ოთხი არგენტინელი ჰყავთ „დეპორტივოსა“ და „ესპანიოლს“.

## ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიური** „გრემიოს“ თავდამსხმელი რონალდინიო შესაძლოა მაინც გადავიდეს ფრანგულ პსჟ-ში. ამ კლუბებს შორის მოლაპარაკებები ცოტა ხნის წინ წარუმატებლად დასრულდა, ტრანსფერიც თითქოს ჩაიშალა, მაგრამ ფრანგებმა ყველაფერი თავიდან დაიწყეს. თანაც ამჯერად საქმე პირდაპირ ფეხბურთელთან დაიჭირეს, რომელსაც „გრემიოსთან“ კონტრაქტი 15 თებერვალს უსრულდება. პსჟ-ც 21 წლის რონალდინიოს გადასვლის შემთხვევაში თვეში 250 ათას დოლარს დაჰპირდა, რაც ორჯერ აღემატება იმ თანხას, რომელსაც თავდამსხმელი „გრემიოსგან“ ახალი ხელშეკრულების სანაცვლოდ ითხოვს. პსჟ-ს წინადადების შემდეგ რონალდინიომ თქვა: „გრემიოში“ 16 წლისა მოვედი. ახლა უკვე დიდი ვარ და მინდა, მომავალზე და ოჯახზე ვიფიქრო“.

**გერმანულმა „მიუნხენ 1860“-მა ამ დღეებში ბელგიელ დიდიე დეედენთან გააფორმა კონტრაქტი, ოღონდ ბრიუსელის „ანდერლეხტის“ 28 წლის მცველი თავისი ახალი გუნდის საკუთრება 1 ივლისიდან გახდება, მანამდე კი კვლავაც სამშობლოში ითამაშებს. დეედენმა მიუნხენელებთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში 4,5 მილიონ გერმანულ მარკას მიიღებს.**

**განელმა** თავდამსხმელმა ოტო ადომ დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ხელშეკრულება გააგრძელა. ახალი კონტრაქტის მიხედვით, ადო გერმანულ კლუბში 2004 წლამდე დარჩება. 25 წლის ფეხბურთელს გუნდთან უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი დორტმუნდელთა თავკაცმა მათიას ზამერმა შესთავაზა, რომელიც პირველ წრეში განელის თამაშით ძალიან კმაყოფილი დარჩენილა.

**ინგლისურმა „არსენალმა“ ბერლინის „ჰერტას“ ვეტერან მცველ მარკო რემერში 17 მილიონი მარკა შესთავაზა. ფეხბურთელის შეძენა იტალიურ „ფიორენტინასაც“ სურს, მაგრამ ლონდონელებმა უფრო კონკრეტული წინადადებით მიმართეს და მოლაპარაკებებიც ალბათ შედეგიანად დასრულდება. თუმცა მეთოფეებს რემერი მომავალ სეზონიდან დაეხმარება, მანამდე კი ფეხბურთელის გაყიდვაზე ბერლინელები უარს ამბობენ.**

**ესპანურმა** „ბარსელონამ“ სამუელ კუფურის შეძენა მოიწადინა, თუმცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მიუნხენის „ბაიერნი“ შეთავაზებულმა 18 მილიონმა დოლარმა ვერ მოხიბლა: განელი მცველი ჩვენ გვჭირდება და თან გაცილებით ძვირი გვიღირსო. „ასე ხელაღებით უარს არ ვიტყოდი. მგონი, ღირდა ასეთ წინადადებაზე დაფიქრება“ — აღნიშნა თავად კუფურმა, რაზეც მიუნხენელთა თავკაცმა ოტმარ ჰიცფილდმა კატეგორიულად მიუგო, ამ ტრანსფერზე არც კი იოცნებოო. კუფურს „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2003 წლის ივნისამდე აქვს.

**გერმანელ მეკარე ბოდო ილგნერს მადრიდის „რეალმა“ სხვა გუნდში გადასვლა შესთავაზა, მაგრამ 33 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა გოლკიპერმა წინადადება შორს დაიჭირა. მადრიდელთა პირველ მეკარედ ახლა იკერ კასილიასი ითვლება, მეორე კი სესარ სანჩესია. „რეალმაც“, მესამე მეკარეობას როგორ გაკადრებთო, მაგრამ ილგნერმა წასვლა იუარა. მიზეზი მარტივია: კონტრაქტის მიხედვით, გერმანელი წელიწადში 3,2 მილიონ მარკას იჯიბავს, სხვა გუნდში გადასვლის შემთხვევაში კი ამის მეათედსაც ველარ მიიღებს.**

# კმარა მარტო თასები, სკუდეტოს დროა

**„პარმას“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — არიგო საკი, ბოლო დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო სპეციალისტი. ალბერტო მალესანის ადგილზე სწორედ „მილანისა“ და იტალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი მიიწვიეს. არადა, საკის წელიწადზე მეტია, გუნდი არ გაუწვრთნია. ბოლოს იგი მადრიდის „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობდა, მერე კი ტელემიმომხილველადღა იწვევდნენ. ახლა საკიზე ნაკრებში მისი ყოფილი შეგირდი და „პარმას“ მცველი ფაბიო კანავარო საუბრობს.**



ფაბიო კანავარო

— საკის მოსვლა სასიხარულოა. კარგად ვიცნობ, იტალიის ნაკრებში სადებიუტო მატჩი სწორედ მისი მწვრთნელობის დროს ჩავატარე. „პარმას“ ხელმძღვანელობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, არჩევანი საკიზე რომ შეაჩერა. ახალ მწვრთნელთან შეხვედრისთანავე გუნდის ბევრი მოთამაშე მიხვდა, რომ იგი მხოლოდ უმაღლესი მიზნის მისაღწევად იბრძოლებს. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ალბერტო მალესანის წასვლა საწყენი იყო, იგი „პარმასთვის“ ბოლომდე იხარჯებოდა.

**— უმაღლეს მიზანში, ალბათ, სკუდეტოს გულისხმობთ. არადა, ძნელია ჩემპიონობა, როცა გუნდის წამყვანი მოთამაშეები უფრო მაღალი დონის კლუბებში გადასვლაზე ოცნებობენ.**

— როცა ფეხბურთელს რაიმეს მოგება სურს და იცის, რომ მის კლუბსაც იგივე ამბიცია აქვს, იგი ამ გუნდში დარჩება. როგორც კი ამბიცია ქრება, მოთამაშეც ფიქრობს, რომ მისი წასვლის დრო მოვიდა. ვიმედოვნებ, რომ „პარმაში“ დიდხანს ვითამაშებ, რადგან ეს ჩინებული კლუბია, თუმცა ოდესმე, კარიერის ბოლო წლებში, ეგებ „ნაპოლიში“ გადავიდე.

**— ამბიცია ხომ არც არიგო საკის აკლია.**

— უამბიციო არც მალესანი ყოფილა, მაგრამ საკისგან განსხვავებით მან აქამდე მხოლოდ თასები მოიგო, ჩემპიონის ტიტული კი ვერ მოიპოვა. ახლა „პარმა“ თასზე იმდენად არ ფიქრობს, რამდენადაც სკუდეტოზე. ახალი მწვრთნელი კი ამ მხრივ ნამდვილად დაიტრაბახებს — საკმარისია, „მილანი“ ვახსენოთ.

**— შუა სეზონში „პარმას“ მწვრთნელი არასდროს შეუცვლია. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ამ თვალსაზრისით ცოტა უცნაურია.**

— კლუბის მეპატრონეები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ გუნდში რაიმე სერიოზული ცვლილება სეზონის ბოლოს მომხდარიყო, თუმცა ეს წელი გამონაკლისია. ხელმძღვანელობასაც გული წყდება, რომ მალესანი გაუშვა, მაგრამ გუნდს რაღაც ახალი სჭირდებოდა. ვთვლი, რომ მათი გადაწყვეტილება მართებული იყო.

**— პირველივე ვარჯიშის შემდეგ საკიმ ყველა მოთამაშე შეკრიბა და საათზე მეტხანს ისაუბრა. მათ შორის თქვენც იყავით. რაზე ილაპარაკეთ?**

— ერთმანეთს ჩვენი აზრები გავუზიარეთ. უფრო მეტად გუნდის ახლანდელ მდგომარეობაზე და პრობლემებზე ვიმსჯელეთ. თუმცა ერთ საათში ნამდვილად ვერაფერს გადაწყვეტ, უბრალოდ, საკი გვეჩვევა და ეს საუბარიც ამიტომ შედგა.

**— დაცვის ხაზზე საკი მალესანიზე მეტ ყურადღებას ამახვილებს...**

— ვფიქრობ, ტაქტიკურად დაცვაში ბევრი არაფერი შეიცვლება. თუ მეტოქე ერთი ფორვარდით დაგვიპირისპირდება, ფლანგის მცველებს მეტი საშუალება მიეცემათ, ნახევარდაცვას დაეხმარონ, ხოლო თუ ორი თავდამსხმელი შემოგვიტევს, ფლანგებიდან უფრო მეტად ცენტრალურ მცველებს შეეშველებიან. საკი უფრო ცარიელი სივრცეების სწრაფად ამოკეტვას მოითხოვს, რათა მეტოქეს დიდი გასაქანი არ მივცეთ.

**— საკის ასისტენტობას კარმინანი, ჯანატა და პინი გაუწევენ. როგორ ფიქრობთ, ეს ბევრ სიახლეს შემოიტანს?**

— ჯერჯერობით ძირეულ სიახლეებზე ვერაფერს ვიტყვი. უბრალოდ, ყველა ასისტენტს თავისი ფუნქცია დაეკისრება და შედარებით წვრილმანი საკითხების მოგვარება დაევალება. სამი ასისტენტი ცოტა უჩვეულოა, თუმცა ამას დადებითი მხარეც აქვს.

**— საკისთან ერთად ნაკრებშიც გიმუშავიათ. ხომ არ შეიცვალა იგი?**

— მან არაერთი ფსიქოლოგიური სტრესი გადაიტანა და ეს ადამიანს ცვლის. ვამჩნევ, რომ მაშინდელთან შედარებით ოდნავ ფრთხილობს. მართალია, ისეთივე პრინციპულია, მაგრამ ხვდება, რომ მცირეოდენი შეცდომის შემთხვევაშიც კი შესაძლოა კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდეს თავს და ისევე შეიძულონ, როგორც შეიყვარეს. ჩემთან მიმართებაში კი უფრო თავისუფალია.

**— მაგრამ პარმაში იგი უყვართ, პირველივე ვარჯიშს ათასზე მეტი გულშემატკივარი დაესწრო.**

— უყვართ. იმიტომ, რომ ძლიერი სპეციალისტია, ნაკრებთან ერთადაც კარგ შედეგებს მიაღწია და „მილანსაც“ მრავალი ჯილდო მოაგებინა. პარმელებს ყველაფერი კარგად ახსოვთ.

**— ცნობილია, რომ საკი თავის გუნდებს დიდი დატვირთვით ავარჯიშებს. ფეხბურთელები ამას როგორ შეეგუებიან?**

— ეს საკითხავი არცაა. „პარმაში“ პროფესიონალები არიან და ყველამ იცის, რომ უშრომლად ვერაფერს მიაღწევ, ამიტომ არავინ წუწუნებს.

**თარგმნა ნიკა შუბლაძემ**

# განქორწინება იტალიურად

**რომში** „ლაციო“ და „რომა“, ტურინში „იუვენტუსი“ და „ტორინო“, მილანში „მილანი“ და „ინტერი“ საზიარო სტადიონებზე თამაშობენ.

ახლახან „ლაციომ“ გაყრაზე ჩამოაგდო სიტყვა და განიზრახა, საკუთარი სტადიონი ჰქონოდა. არქიტექტორი შეარჩიეს, კაცი, რომელიც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ბერლინის „ოლიმპიაშტადიონის“ რეკონსტრუქციის გეგმასაც აკეთებს. „ლაციოს“ ახალი სტადიონი „ამსტერდამ არენას“ ემსგავსება და 50 ათას მაყურებელს დაიტევს. კლუბის წარმომადგენლის თქმით, თუ რამე ხელისშემშლელი ფაქტორი არ გამოჩნდა, 2003-2004 წლების სეზონისთვის სამუშაოები დასრულდება.

50-ათასიანი სტადიონი იტალიის ჩემპიონატისთვის სავსებით საკმარისია, რადგან 80-ათასიან ოლიმპიურ სტადიონს გულშემატკივრები ვერ ავსებენ — „ლაციოს“ მატჩებზე საშუალო დასწრება 45 ათასი კაცია.

სხვაგვარადაა „რომას“ საქმე. ამ კლუბს იტალიაში ყველაზე მეტი სეზონური აბონემენტის მფლობელი ჰყავს და მის თამაშებზე 60 ათასი მაყურებელი ჩვეულებრივი ამბავია. „რომას“ ხელმძღვანელობა ამბობს, რომ ოლიმპიური სტადიონიდან წასვლას არ ფიქრობენ. პირიქით, ადგილობრივი მმართველობისგან სტადიონის გამოსყიდვას შეეცდებიან. ახლა „რომა“ დედაქალაქის ხელისუფალთ იჯარის საფასურს უხდის.

და კიდევ, მომავალ ტურში ლაციოელები ტრადიციულ ცისფერ მაისურებს ჩაიცმევენ. ბოლოს ხანს ისინი თეთრი მაისურებით თამაშობდნენ, რადგან ამ ფერის ფორმა ერთი საუკუნის წინ ეცვათ და იუბილეს აღსანიშნავად გაიხსენეს.

# ხუან გასპარის ოცნება: კაპელო ბარსელონაში

**აქამდე** ასე იყო: „ბარსელონას“ დირექტორატი და ფანები ლორენს სერა ფერერის მოხსნას მოითხოვდნენ და ეს თუ ვერ მოხერხდა, მწვრთნელი პრეზიდენტს უნდა უმადლოდეს — ხუან გასპარი მას კბილებით იცავდა.

გასპარმა ფერერზე გუშინაც ილაპარაკა და მის სიტყვებში რამდენადმე განსხვავებული პოზიცია გამოიკვეთა. „ზუსტად შემიძლია ვთქვა, რომ სანამ პრეზიდენტი ვარ, სერა ფერერი კლუბში იმუშავებს, მწვრთნელად თუ არა, ტექნიკურ დირექტორად მაინც — ამბობს გასპარი — რაც შეეხება მწვრთნელობას, ეს შედეგებზეა დამოკიდებული და წინასწარ რაიმეს თქმა მიჭირს. ყველაფერი სეზონის ბოლოს გამოჩნდება და ამ საკითხსაც მაშინ გადავწყვეტთ“.

პრეზიდენტი შედეგებზე საუბრობს და ეს საკითხი გავარჩიოთ. „ბარსა“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, ესპანეთის ჩემპიონობის მოპოვებაც ერთობ საეჭვოა, ჰოდა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, „ბარსელონა“ ახალ სეზონს ახალი მწვრთნელით შეხვდება. ხუან გასპარმა ისიც თქვა, სერა ფერერს კლუბი ისე უყვარს, კარგი ვარიანტი თუ გამოჩნდა, თვითონ იტყვის, ესა და ეს კაცი დავნიშნოთ მწვრთნელად, საქმეს ჩემზე უკეთ გააკეთებსო.

ბოლო ხანებში ესპანური გაზეთები ამტკიცებენ, გასპარი ფაბიო კაპელოს გადაბირებას ცდილობსო. გავიხსენოთ, რომ კაპელოს „მილანმა“ 1994 წელს ლიგის ფინალში „ბარსელონას“ 4:0 მოუგო და ახლა მისი „რომა“ უეფას თასზე კატალონიელთა პოტენციური მეტოქეა.

ჟურნალისტებს ამის მტკიცების საფუძველი თავად გასპარმა მისცა, რომელმაც თქვა: „არასდროს დამიმალავს, რომ ფაბიო კაპელოს „ბარსაში“ ხილვა მსურს, თუმც ამჟამად ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას, ეს მომავლის საქმეა“.

ახლა ლორენს სერა ფერერის მოსაზრება მოვისმინოთ კაპელოს კანდიდატურის თაობაზე. აკი გასპარი თავად ამბობს, ფერერი ღირსეულ მემკვიდრეს სიხარულით შეხვდებაო. ფერერი კი აცხადებს: „1997 წელს „ბარსას“ მწვრთნელის პოსტზე კაპელოსა და ვან გაალის კანდიდატურები იხილებოდა. მაშინ ჰოლანდიელი ამჯობინეს. გასპარი იმ დროს ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ და მანაც ვან გაალს დაუჭირა მხარი“.

ვეჭვობთ, ლორენს სერა ფერერი ფაბიო კაპელოს მისვლის პერსპექტივით აღფრთოვანებული იყოს. ისე, კაპელომ და „რომამაც“ ხომ უნდა თქვან თავიანთი სიტყვა?

**გიორგი დარჯანია**



ხუან გასპარი ბოლო დროს სხვანაირად ალაპარაკდა

## კოპა ამერიკა 2001
### კოლუმბია 11-29 ივლისი

ზაფხულში კოლუმბიის მოედნებზე მორიგი „კოპა ამერიკა“ ჩატარდება. სამხრეთამერიკელებმა ახლახან ტურნირში მონაწილე 12 გუნდი სამ ჯგუფში გაანაწილეს. რომელია „სიკვდილის ჯგუფი“ და რომელი სუსტი, ამის განსჯა თქვენთვის მოგვინდვია. იმას კი გეტყვით, რომ „კოპა ამერიკაზე“ დებიუტი ექნება კანადას — ის C ჯგუფში გაამწესეს.

ერთიც, ორი მეოთხედფინალური მატჩი არმენიაში ჩატარდება. სომხეთში არა — კოლუმბიის დასავლეთით მდებარე ქალაქში.

| | | |
|---|---|---|
| **A ჯგუფი** | | |
| **კოლუმბია, ჩილე, ეკვადორი, ვენესუელა** | | |
| 11.07 | ბარანკილია | ეკვადორი — ჩილე |
| | ბარანკილია | კოლუმბია — ვენესუელა |
| 14.07 | ბარანკილია | ჩილე — ვენესუელა |
| | ბარანკილია | კოლუმბია — ეკვადორი |
| 17.07 | ბარანკილია | ეკვადორი — ვენესუელა |
| | ბარანკილია | კოლუმბია — ჩილე |
| **B ჯგუფი** | | |
| **ბრაზილია, პარაგვაი, პერუ, მექსიკა** | | |
| 12.07 | კალი | პერუ — პარაგვაი |
| | კალი | ბრაზილია — მექსიკა |
| 15.07 | კალი | პარაგვაი — მექსიკა |
| | კალი | ბრაზილია — პერუ |
| 18.07 | კალი | პერუ — მექსიკა |
| | კალი | ბრაზილია — პარაგვაი |
| **C ჯგუფი** | | |
| **არგენტინა, ურუგვაი, ბოლივია, კანადა** | | |
| 13.07 | მედელინი | ბოლივია — ურუგვაი |
| | მედელინი | არგენტინა — კანადა |
| 16.07 | მედელინი | ურუგვაი — კანადა |
| | მედელინი | არგენტინა — ბოლივია |
| 19.07 | მედელინი | ბოლივია — კანადა |
| | მედელინი | არგენტინა — ურუგვაი |
| **მეოთხედფინალი** | | |
| 22.07 | პერეირა | A2 — B2 |
| | არმენია | C1 — AB3 |
| 23.07 | არმენია | A1 — BC3 |
| | მანიზალესი | B1 — C2 |
| **ნახევარფინალი** | | |
| 25.07 | პერეირა | I წყვილის გამარჯვებული — II წყვილის გამარჯვებული |
| 26.07 | მანიზალესი | III წყვილის გამარჯვებული — IV წყვილის გამარჯვებული |

*მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი გაიმართება 29 ივლისს ბოგოტაში*



## თურქეთი

# ულქერის პარკეტზე ფაჩულიამ ითამაშა

XIII ტური

**ალთაი — დარუშაფაკა 65:98, ქარშიაქა — ეფესი 96:102, ქომბასანი — ბუიუქ კოლეჯი 98:93, მაიდენოსი — ტროი 77:86, ფენერბაჰჩე — ბეშიქთაში 77:73, გალათასარაი — ტელეკომი 86:93**

**ულქერი 126:79 ანტბირლიკი**

**ულქერი: ლოლისი (13), ერდოგანი (17), ჰენდლოგტენი (29), ფაჩულია (11), გოლიოვიჩი (17), გიულერი, აჩიკი (5), გონლუმი (16), ილდირიმი (6), სარიჯა (12)**
**ანტბირლიკი: ვეისელოღლუ (15), ერსოზი (19), ექმენი (3), ვალტერსი (7), ჩარლზი (8), ილიევსკი (14), მუმჩუოღლარი (6), ოზქანი (7)**

თურქეთის ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტური სტამბოლის „ულქერისთვის“ სავარჯიშო გამოდგა. ახალგაზრდულმა „ანტბირლიკმა“ ვერაფერი დაუპირისპირა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს და უსახელოდ დამარცხდა. ყველაფერი პირველივე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც „ულქერმა“ 30:5 მოიგო.

სტამბოლელთა რიგებში 12 წუთი ითამაშა საქართველოს ნაკრების 16 წლის ფორვარდ-ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ. მართალია, მატჩი იოლი იყო, მაგრამ ჩვენებური ყმაწვილკაცის კარგი თამაში მაინც აღსანიშნავია. ზაზამ 11 ქულა დააგროვა (ხუთიდან ოთხი ორქულიანი და ოთხიდან სამი საჯარიმო ჩააგდო), 3 მოხსნა და ორ-ორი ჩაჭრა-პასიც გააკეთა.

ასევე იოლად მოიგო მეორე ლიდერმა, სტამბოლის „დარუშაფაკამ“. იგი სტუმრად ეთამაშა „ალთაის“ და მეტოქეს მხოლოდ პირველ ტაიმში მისცა ბრძოლის საშუალება. სტამბოლის „ეფესმა“ დამატებით დროში გატეხა იზმირის „ქარშიაქა“, ხოლო ქონიის „ქომბასანს“ ანკარის „ბუიუქ კოლეჯის“ დასამარცხებლად ორი დამატებითი დრო დასჭირდა.

ტურის მთავარი მატჩი კი სტამბოლში გაიმართა. იქაურ დერბიში „ფენერბაჰჩემ“ ცხრილში მეზობელ „ბეშიქთაშს“ უმასპინძლა. თამაშამდე გუნდების გულშემატკივრებმა ერთმანეთს დასცხეს და შეხვედრა 45 წუთით გვიან დაიწყო. თავიდან „ფენერბაჰჩე“ დაწინაურდა და ტაიმი ექვსი ქულით მოიგო (36:30). მესამე მეოთხედში ბეშიქთაშელმა იგორ მეშჩერიაკოვმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი თავისიანები წინ გაიყვანა. „ბეშიქთაშმა“ უპირატესობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა — „ფენერბაჰჩემ“ მკაცრ დაცვას მიმართა და მეტოქეს ბურთის ჩაგდება გაუძნელა. ფენერბაჰჩელებმა მოიგეს და ქულებით „ბეშიქთაშს“, „ტროის“ და „ეფესს“ გაუსწორდნენ. თუმცა, „ეფესმა“ ერთი მატჩით ნაკლები ითამაშა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დარუშაფაკა | 13 | 11 | 2 | 1065:966 | 24 |
| ულქერი | 13 | 11 | 2 | 1155:967 | 24 |
| ტელეკომი | 13 | 10 | 3 | 1099:971 | 23 |
| ეფესი | 12 | 9 | 3 | 1007:926 | 21 |
| ტროი | 13 | 8 | 5 | 1128:1091 | 21 |
| ბეშიქთაში | 13 | 8 | 5 | 1118:1051 | 21 |
| ფენერბაჰჩე | 13 | 8 | 5 | 1018:974 | 21 |
| ქომბასანი | 13 | 6 | 7 | 1037:1122 | 19 |
| ქარშიაქა | 13 | 5 | 8 | 1126:1136 | 18 |
| მაიდენოსი | 13 | 4 | 9 | 993:1034 | 17 |
| ანტბირლიკი | 13 | 3 | 10 | 1030:1255 | 16 |
| გალათასარაი | 13 | 3 | 10 | 994:1061 | 16 |
| ბუიუქ კოლეჯი | 13 | 2 | 11 | 1040:1115 | 15 |
| ალთაი | 12 | 2 | 10 | 898:1039 | 14 |

## სლოვენია

# უმცროსი ძმის სინდრომი

XV ტური

**ჰელიოსი — ზაგორიე 83:78, კემოპლასტი — ტრიგლავი 86:84, კრაშკი ზიდარი — სავინსკი 91:64, პივოვარნა — როგლა 91:88, ლოკა კავა — კრკა 77:101**

**ოლიმპია 96:46 სლოვანი**

**ოლიმპია: ველში (13), გოლემაცი (12), უდრიჰი (8), ბეჩიროვიჩი (6), მილდრიჩი (5), ბრეჟეცი (15), ჯორდანი (9), კოტნიკი (5), არსიჩი (17), ჟუკაუსკასი (6)**
**სლოვანი: ნოვაკი (6), ლაკოვიჩი (3), გრბეშიჩი, უგრეხელიძე (15), ჯურკოვიჩი (3), კოვაჩი, პავიჩი (3), კოკალი (10), ცქიტიშვილი (6)**

რა დაემართა ლიუბლიანის „სლოვანს“? ალბათ „უმცროსი ძმის სინდრომი“ ან რამე მსგავსი უბედურება შეეყარა. სხვაგვარად როგორ ავხსნათ ეს საზარელი მარცხი? „სლოვანი“ მესამე ადგილზეა, „ოლიმპია“ — მეორეზე. განა შეიძლება, მეორე და მესამე გუნდებს შორის ამხელა სხვაობა იყოს? ცხადია, არა. თანაც, „სლოვანი“ არცთუ უნიათოდ ეთამაშება ჩემპიონატის ლიდერ „კრკას“, რომლის დამარცხებას „ოლიმპია“ ამ ბოლო დროს ვერ ახერხებს.

ოფიციალურად არა, მაგრამ ფორმალურად „სლოვანი“ „ოლიმპიას“ ფარმკლუბია. მოთამაშეთა დიდი უმრავლესობა „ოლიმპიას“ კუთვნილებაა და „სლოვანშია“ განათხოვრებული (მათ შორის ვლადიმერ ბოისაც). ჩანს, „ოლიმპიას“ ავტორიტეტი დამთრგუნველად მოქმედებს ახალგაზრდა სლოვანელებზე და აგერ შედეგიც — 50-ქულიანი მარცხი.

თამაში მხოლოდ საწყის ოთხ წუთში მიმდინარეობდა. „სლოვანი“ 12:8 იგებდა, როცა „ოლიმპია“ გააქტიურდა და ერთი მონაკვეთი 30:6 მოიგო. შეხვედრამ აზრი დაკარგა და მაყურებელი, რომელმაც პირთამდე შეავსო „ჰალა ტივოლი“, გაწბილებული დარჩა. სხვათა შორის, მატჩს ლიუბლიანის სკოლების 3 ათასი მოსწავლე ესწრებოდა.

„სლოვანის“ ქართველთაგან ვლადიმერ ბოისას არ უთამაშია. დავით უგრეხელიძემ 30 წუთი გაატარა მოედანზე. მან ექვსიდან ოთხი ორქულიანი და თორმეტიდან შვიდი საჯარიმო ჩააგდო, 5 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი გააკეთა, ბოლოს კი ხუთი პერსონალურით გავარდა. ნიკა ცქიტიშვილმა 22 წუთი ითამაშა. სროლა მთლად კარგად არ წაუვიდა (ექვსიდან ორი ორქულიანი და ორიდან ორი საჯარიმო ჩააგდო), ფარზე ორი ბურთი დაისაკუთრა და ოთხი პერსონალური მიიღო.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კრკა | 15 | 15 | 0 | 1314:1079 | 30 |
| ოლიმპია | 15 | 14 | 1 | 1393:980 | 29 |
| პივოვარნა | 15 | 10 | 5 | 1340:1229 | 25 |
| სლოვანი | 15 | 10 | 5 | 1204:1149 | 25 |
| კრაშკი ზიდარი | 15 | 9 | 6 | 1173:1190 | 24 |
| როგლა | 15 | 6 | 9 | 1243:1295 | 21 |
| კემოპლასტი | 15 | 5 | 10 | 1319:1359 | 20 |
| ჰელიოსი | 15 | 5 | 10 | 1194:1269 | 20 |
| ტრიგლავი | 15 | 5 | 10 | 1138:1231 | 20 |
| სავინსკი | 15 | 5 | 10 | 1207:1352 | 20 |
| ზაგორიე | 15 | 3 | 12 | 1165:1340 | 18 |
| ლოკა კავა | 15 | 3 | 12 | 1147:1364 | 18 |


**იყიდება ან ქირავდება**

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით



ტელ: 60-21-23


## საფრანგეთი



AFP ფოტო

პო ორტეზი — ვილერბანი. პოელი
მიკაელ პიეტრუსი (ბურთით) და პეტერ ჰოფმანი

# კალათბურთი გუნდური თამაშია

XII ტური

**დიჟონი — ევრე 85:65, ანტიბი — ნანსი 80:67, ბურგი — რასინგი 83:71, შოლე — გრაველინი 84:73, ბეზანსონი — შალონი 58:74, ლე მანი — ლე ავრი 89:86, პო ორტეზი — მონპელიე გადაიდო, სტრასბური — ვილერბანი გადაიდო**

XIII ტური

**გრაველინი — ბურგი 86:77, ლე ავრი — ანტიბი 87:78, მონპელიე — დიჟონი 75:88, რასინგი — პო ორტეზი 69:70, ვილერბანი — ლე მანი 85:82, სტრასბური — ბეზანსონი 100:63, ნანსი — ევრე 81:74, შალონი — შოლე 74:65**

XIV ტური

**დიჟონი — რასინგი 64:75, ანტიბი — მონპელიე 103:80, ბურგი — ლე ავრი 91:69, შოლე — ნანსი 112:96, ევრე — შალონი 67:89, ბეზანსონი — გრაველინი 70:94, ლე მანი — სტრასბური 69:73**

**პო ორტეზი 72:74 ვილერბანი**

**პო ორტეზი: ფოტუ (7), მაკკალოფი (14), მ. პიეტრუსი (1), დიუბო (11), ესტელერი (7), დ. გადუ (7), ფ. პიეტრუსი (2), მაზინგი (2), მურეშანი (14), ლოუსონი (7)**
**ვილერბანი: სკიარა (9), პლუვი (5), პაშუტინი (12), ჰოფმანი (3), ბლომი (7), ედვარდსი (14), ფრიგუ (10), ბილბა (9), ლონგი (5)**

**საფრანგეთის** ჩემპიონატში, სანამ „სარბიელი“ საშობაო-საახალწლო არდადეგებზე იყო, სამი ტური ჩატარდა, თუმცა ლიდერმა მხოლოდ ორჯერ ითამაშა. „ვილერბანმა“ ჯერ „ლე მანი“ დაამარცხა, მერე კი პოში იმარჯვა და დაუმარცხებლად განაგრძობს წინსვლას. მეთორმეტე ტურში კი „მწვანეების“ სტრასბურში გასამართი მატჩი გადაიდო.

წინა ტურში (მე-13) მოწინავე დუეტის ჯახის გარდა კიდევ ერთი შეხვედრა იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. პარიზში „რასინგმა“ „პო ორტეზს“ უმასპინძლა და პირველი ტაიმი ძალიან ცუდად ჩაატარა. შედეგად სტუმრები 21 ქულით (51:30) დაწინაურდნენ. თუმცა თავიანთი ქომაგები შემდეგ ძლიერ ანერვიულეს, რადგან მესამე და მეოთხე ათწუთეულშებში მხოლოდ 19 ქულის მოგროვება მოახერხეს და წაგებას ბეწვზე გადაურჩნენ — 70:69.

ამ უქმეებზე კი ცენტრალური მატჩი უდავოდ პოში გაიმართა. „ვილერბანმა“ კვლავ მოიგო და, ფაქტობრივად, რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულის ვინაობა ვადამდე კარგა ხნით ადრე გაარკვია. ძნელი წარმოსადგენია, მას რომელიმე გუნდი დაეწიოს, იმდენად სტაბილურად და ძლიერად გამოდიან ვილერბანელები შინაურ სარბიელზე. არადა, მასპინძლები ერთი პირობა 18 ქულითაც იყვნენ წინ, მაგრამ პარიზული მატჩივით დათმეს პოზიციები მეორე ტაიმში, რაც „რასინგზე“ უფრო ძლიერმა მეტოქემ არ აპატია.

სუპერლიგაში ბოლო დროს მოხშირებულ წარუმატებლობების ფონზე სტუმართა კაპიტანი ლორან სკიარა მაინც საკმაოდ იმედიანი ჩანდა. „ახალი გუნდი დაიბადა. როცა ერთად თამაში გვინდა, ეს მშვენიერი სპორტ[illegible] ფონს გასვლას ინდივიდუალიზმის ხარჯზე ვცდილობდით. კალათბურთი კი გუნდური თამაშია და როცა ამას სრულიად გავიაზრებთ ხოლმე, ჩვენი დამარცხება ძალიან ძნელია“ — თქვა „ვილერბანისა“ და საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებელმა მატჩის შემდეგ.

თავიდან ბეარნელებმა იძალეს. მათი ქომაგების მიერ გუნდის საუკუნის საუკეთესო მოთამაშედ არჩეულმა დიდიე გადუმ პირველ ნახევარში აიწყვიტა. მას კარგად აუბეს მხარი ლეგიონერებმა, რუმინელმა გეორგე მურეშანმა და ამერიკელმა ჯერი მაკკალოფმა, რის შედეგადაც მე-15 წუთისთვის „პო ორტეზი“ 40:22 დაწინაურდა.

ვილერბანელთა დამრიგებელმა გრეგორ ბენიომ ამ დროს მეტად აგრესიულ ზონურ დაცვას მიმართა, რამაც სასურველი ნაყოფი მალე გამოიღო და პოელები ისე აირივნენ, რომ მეორე ტაიმში საჯარიმოთა სამი მეოთხედი ვერ გამოიყენეს. „თამაშის ხასიათი მეორე ნახევარში მთლიანად შეიცვალა. კაცურად გავისარჯეთ და მოვიგეთ კიდეც“ — განაცხადა გამარჯვებულთა თავკაცმა.

მისმა მეტოქე კოლეგამ, კლოდ ბერჟომ კი ეს თქვა: „როცა ზონურ დაცვაზე გადავიდნენ, საშუალო და შორი მანძილებიდან სროლის საშუალება თითქმის მოგვესპო, თანაც მაკკალოფმაც უაზრო დრიბლინგები დაიწყო. თუმცა მოგება მაინც შეგვეძლო, 17 საჯარიმო რომ არ გაგვეცუდებინა“.

გათამაშების ცხრილში მესამე პოზიცია „შალონმა“ გაიმყარა, რომლის ზედიზედ მეექვსე მსხვერპლი „ევრე“ გახდა. ბრეტონელებს ჩემპიონატის ჭაკლაზე ცუდი დაცვა ჰყავთ და ახლა გასაძლიერებლად ისრაელიდან ამერიკელი ჯეიმს ბლეკველის ჩამოყვანა [illegible] ნუზრახავთ, რომელიც ადრე „ანტიბისა“ და „შოლეს“ ღირსებას იცავდა.

„შალონივით“ ექვსი მიყოლებითი გამარჯვება დაუგროვდა „სტრასბურს“. მან „ლე მანს“ აჯობა, რომელიც კარგი სტარტის შემდეგ გადაიღალა.

ყველა შეჯიბრის გათვალისწინებით ზედიზედ ექვსჯერ დამარცხებულმა „რასინგმა“ გამარჯვების სიტკბო გასულ სამშაბათს საპორტას თასზე ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ გაიხსენა და იუგოსლაველებს „დიჟონიც“ იოლად მიაყოლა. დანარჩენ მატჩებში კი ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

**გაგი გურული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 13 | 13 | 0 | 1082:914 | 26 |
| ლე მანი | 14 | 10 | 4 | 1210:1138 | 24 |
| შალონი | 14 | 10 | 4 | 1008:964 | 24 |
| პო ორტეზი | 13 | 9 | 4 | 1067:981 | 22 |
| ანტიბი | 14 | 8 | 6 | 1140:1104 | 22 |
| რასინგი | 14 | 8 | 6 | 1069:1033 | 22 |
| ნანსი | 14 | 8 | 6 | 1120:1093 | 22 |
| სტრასბური | 13 | 8 | 5 | 1065:951 | 21 |
| შოლე | 14 | 7 | 7 | 1110:1087 | 21 |
| დიჟონი | 13 | 7 | 6 | 1020:912 | 20 |
| გრაველინი | 13 | 6 | 7 | 1075:1085 | 19 |
| ბურგი | 14 | 4 | 10 | 1090:1169 | 18 |
| ევრე | 14 | 3 | 11 | 1087:1205 | 17 |
| ბეზანსონი | 14 | 3 | 11 | 1030:1197 | 17 |
| ლე ავრი | 14 | 3 | 11 | 1007:1181 | 17 |
| მონპელიე | 13 | 2 | 11 | 1055:1214 | 15 |

## საბერძნეთი

X ტური

**ოლიმპიაკოსი — ირაკლიონი 100:66, პერისტერი — პანიონიოსი 78:76, მილონი — არისი 88:83, აეკ — პანათინაიკოსი 80:67, ირაკლისი — პაოკ 87:83, ნიარ ისტი — დაფნი 80:76, მაკედონიკოსი — მარუსი 80:95**

XI ტური

**არისი — ოლიმპიაკოსი 54:55, პანიონიოსი — მაკედონიკოსი 87:59, პაოკ — აეკ 75:82, დაფნი — ირაკლისი 84:77, პანათინაიკოსი — მილონი 84:58, მარუსი — ნიარ ისტი 95:85, ირაკლიონი — პერისტერი 76:78**

XII ტური

**პერისტერი — არისი 94:63, მილონი — პაოკ 86:101, აეკ — დაფნი 90:61, ირაკლისი — მარუსი 99:85, ნიარ ისტი — მაკედონიკოსი 93:79, ირაკლიონი — პანიონიოსი 67:84**

**ოლიმპიაკოსი 86:78 პანათინაიკოსი**

**ოლიმპიაკოსი: ფუკჩევიჩი (5), პაპანიკოლაუ (15), ეკონომუ (8), რიზაშე (3), ტომიჩი (12), დე მიგელი, ფემერლინგი (2), რაჯა (24), რივერსი (14)**
**პანათინაიკოსი: ალვერტისი ძმის სინდრომიერტისი (10), კალაიძისი (4), როჯერსი, ფოცისი (12), ჯენტილე (3), ბოდიროგა (20), მიდლტონი (8), რებრაჩა (20), ბერკი (1)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პერისტერი | 12 | 12 | 0 | 958:848 | 24 |
| ოლიმპიაკოსი | 12 | 11 | 1 | 1032:867 | 23 |
| აეკ | 12 | 10 | 2 | 981:860 | 22 |
| პანათინაიკოსი | 12 | 9 | 3 | 994:883 | 21 |
| პანიონიოსი | 12 | 8 | 4 | 1030:919 | 20 |
| პაოკ | 12 | 7 | 5 | 928:902 | 19 |
| ირაკლისი | 12 | 6 | 6 | 1016:1012 | 18 |
| მარუსი | 12 | 5 | 7 | 1026:1035 | 17 |
| ნიარ ისტი | 12 | 4 | 8 | 946:981 | 16 |
| ირაკლიონი | 12 | 3 | 9 | 971:1081 | 15 |
| დაფნი | 12 | 3 | 9 | 941:984 | 15 |
| მილონი | 12 | 3 | 9 | 988:1126 | 15 |
| არისი | 12 | 3 | 9 | 905:1004 | 15 |
| მაკედონიკოსი | 12 | 0 | 12 | 905:1118 | 12 |



მილონი — პაოკ. ჟორჟ სიგალასი მილონელ ვარიპატისს გაურბის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

XII ტური

ფორტიტუდო — აეროპორტი 80:81, ბენეტონი — სნაიდერო 82:84, მიულერი — ადეკო 92:95, რეჯანა — სკავოლინი 79:94, ტრიესტი — სიენა 88:82, ვარეზე — მონტეკატინი 91:82, რიმინი — აველინო 87:68, კანტუ — კინდერი 67:97, კორდივარი — იმოლა 94:69

XIII ტური

კინდერი — რიმინი 101:87, რეჯანა — ვარეზე 78:82, სიენა — მიულერი 74:77, ადეკო — ტრიესტი 86:81, მონტეკატინი — ბენეტონი 77:78, სკავოლინი — აველინო 86:67, აეროპორტი — კორდივარი 78:80, იმოლა — კანტუ 91:84, სნაიდერო — ფორტიტუდო 76:72

XIV ტური

მიულერი — აეროპორტი 87:90, ტრიესტი — სნაიდერო 80:83, ადეკო — ვარეზე 109:91, რიმინი — სიენა 84:104, კანტუ — სკავოლინი 71:82, აველინო — იმოლა 97:88, ფორტიტუდო — მონტეკატინი 85:62, ბენეტონი — რეჯანა 94:70, კორდივარი — კინდერი 67:83

XV ტური

რიმინი — კორდივარი 96:104, კინდერი — ბენეტონი 79:77, რეჯანა — ფორტიტუდო 89:94, სიენა — აველინო 78:71, მონტეკატინი — კანტუ 72:76, აეროპორტი — ადეკო 89:75, იმოლა — სკავოლინი 76:102, ვარეზე — ტრიესტი 95:75, სნაიდერო — მიულერი 90:93

XVI ტური

იმოლა — აეროპორტი 89:82, ფორტიტუდო — ტრიესტი 82:64, ბენეტონი — ვარეზე 97:78, მიულერი — რიმინი 96:79, ადეკო — კინდერი 82:89, სკავოლინი — სნაიდერო 92:86, კანტუ — სიენა 67:73, კორდივარი — რეჯანა 86:104, აველინო — მონტეკატინი 96:87

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 16 | 15 | 1 | 1424:1168 | 31 |
| ფორტიტუდო | 16 | 13 | 3 | 1304:1136 | 29 |
| სკავოლინი | 16 | 12 | 4 | 1424:1267 | 28 |
| მიულერი | 16 | 10 | 6 | 1478:1436 | 26 |
| კორდივარი | 16 | 10 | 6 | 1336:1306 | 26 |
| აეროპორტი | 16 | 10 | 6 | 1332:1315 | 26 |
| ბენეტონი | 16 | 9 | 7 | 1338:1267 | 25 |
| სიენა | 16 | 9 | 7 | 1288:1249 | 25 |
| სნაიდერო | 16 | 8 | 8 | 1335:1327 | 24 |
| აველინო | 16 | 8 | 8 | 1327:1347 | 24 |
| მონტეკატინი | 16 | 7 | 9 | 1298:1351 | 23 |
| რიმინი | 16 | 6 | 10 | 1369:1434 | 22 |
| იმოლა | 16 | 6 | 10 | 1346:1489 | 22 |
| ტრიესტი | 16 | 5 | 11 | 1302:1370 | 21 |
| ვარეზე | 16 | 5 | 11 | 1383:1481 | 21 |
| ადეკო | 16 | 5 | 11 | 1301:1422 | 21 |
| რეჯანა | 16 | 4 | 12 | 1293:1385 | 20 |
| კანტუ | 16 | 2 | 14 | 1239:1367 | 18 |

## ესპანეთი

XIII ტური

კანარიასი — ხირონა 85:77, ფუენლაბრადა — ტაუ 81:79, უნიკახა — პამესა 88:70, კანტაბრია — კოსტაბლანკა 81:74, რეალი — ბრეოგანი 95:68, კახა სან ფერნანდო — ესტუდიანტესი 88:89, ხიხონი — ფორუმი 72:76, ხუვენტუდი — ბარსელონა 75:94, კასერესი — ორენსე 78:72

XIV ტური

ხირონა — ორენსე 87:72, ბარსელონა — კასერესი 93:75, ფორუმი — ხუვენტუდი 102:86, ესტუდიანტესი — ხიხონი 88:81, ბრეოგანი — კახა სან ფერნანდო 70:77, კოსტაბლანკა — რეალი 73:85, პამესა — კანტაბრია 99:78, ტაუ — უნიკახა 79:76, კანარიასი — ფუენლაბრადა 85:86

XV ტური

ფუენლაბრადა — ხირონა 88:68, უნიკახა — კანარიასი 99:72, კანტაბრია — ტაუ 64:97, რეალი — პამესა 73:71, კახა სან ფერნანდო — კოსტაბლანკა 91:83, ხიხონი — ბრეოგანი 75:68, ხუვენტუდი — ესტუდიანტესი 72:88, კასერესი — ფორუმი 76:71, ორენსე — ბარსელონა 63:86

XVI ტური

ხირონა — ბარსელონა 76:87, ფორუმი — ორენსე 77:80, ესტუდიანტესი — კასერესი 83:85, ბრეოგანი — ხუვენტუდი 111:92, კოსტაბლანკა — ხიხონი 92:87, პამესა — კახა სან ფერნანდო 77:71, ტაუ — რეალი 65:78, კანარიასი — კანტაბრია 75:67, ფუენლაბრადა — უნიკახა 88:70

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 16 | 14 | 2 | 1451:1210 | 30 |
| რეალი | 16 | 13 | 3 | 1305:1178 | 29 |
| პამესა | 16 | 12 | 4 | 1354:1246 | 28 |
| ტაუ | 16 | 11 | 5 | 1399:1206 | 27 |
| უნიკახა | 16 | 11 | 5 | 1396:1223 | 27 |
| ფუენლაბრადა | 16 | 10 | 6 | 1363:1266 | 26 |
| ფორუმი | 16 | 8 | 8 | 1308:1298 | 24 |
| სან ფერნანდო | 16 | 8 | 8 | 1250:1258 | 24 |
| ესტუდიანტესი | 16 | 8 | 8 | 1314:1338 | 24 |
| კასერესი | 16 | 8 | 8 | 1181:1228 | 24 |
| ბრეოგანი | 16 | 7 | 9 | 1298:1331 | 23 |
| კანარიასი | 16 | 6 | 10 | 1202:1354 | 22 |
| ხუვენტუდი | 16 | 5 | 11 | 1274:1362 | 21 |
| ხირონა | 16 | 5 | 11 | 1214:1308 | 21 |
| ორენსე | 16 | 5 | 11 | 1219:1323 | 21 |
| კანტაბრია | 16 | 5 | 11 | 1179:1337 | 21 |
| ხიხონი | 16 | 4 | 12 | 1251:1347 | 20 |
| კოსტაბლანკა | 16 | 4 | 12 | 1201:1346 | 20 |

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მეტოქისთვის მოქნეული დამრიგებელს მოხვდა



REUTERS ნიუ იორკიდან



ჯეფ ვან განდი შეგირდ მარკუს კემბის (№23) დაშოშმინებას ცდილობდა, მაგრამ გალახული და იატაკზე გართხმული აღმოჩნდა



15 იანვარი

### ატლანტა 78:84 ნიუ ჯერსი

**ატლანტა: ტერი (32), ნაითი (8), მაკლეოდი (8), რაიტი (2), მუტომბო (11 ქულა, 22 მოხსნა, 5 დაფარება); ჰენდერსონი (8), გლოვერი (6), მელონი (3), მოტოლა**
**ნიუ ჯერსი: მარბერი (14), ჰარისი (9), ჯექსონი (6), ვან ჰორნი (24), მარტინი (10); ნიუმენი (19), ვილიამსი (2), დუგლასი**

ვლადიმერ სტეფანიას გუნდმა „ნიუ ჯერსი ნეთსმა" როგორც იქნა, შეწყვიტა უილბლო სერია და ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ ატლანტაში გამარჯვება იზეიმა. „ბადეთა" მწვრთნელმა ბაირონ სკოტმა „ატლანტასთან" შეხვედრაში მხოლოდ რვა კალათბურთელი ათამაშა, მათ შორის არც ერთი ცენტრი და ჩვენებურმაც მთელი შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ვერ დავიჩემებთ, რომ ამის გამო, მაგრამ უცენტროდ „ნიუ ჯერსიმ" მეტოქეს ფარი დაუთმო. თუმც ეს „ბადეთ" ნაკლებად უნდა აღელვებდეთ. რაც მთავარია, თამაში მოიგეს, გამარჯვებები კი „ნიუ ჯერსის" ციდან არ უცვივა.

„ნეთსის" ლიდერი სტივენ მარბერი დღითი დღე უკან მიდის. მან ეს შეხვედრაც ჩააგდო, 17 სროლიდან 13 გააფუჭა, ოდენ 14 ქულას მოუყარა თავი და რომ არა ვეტერანი სათადარიგო ჯონ ნიუმენი, „ნიუ ჯერსი" მორიგ მარცხს გამოჰკრავდა ხელს.

სტუმრებმა ცუდად დაიწყეს. მარბერი ინერტულად ირჯებოდა მოედნის ორივე ნახევარზე, რითაც ისარგებლა მასპინძელთა გამთამაშებელმა ჯეისონ ტერიმ და მეტოქის კალათის რბევას მიჰყო ხელი, თან ისე, რომ სტუმრები პირველივე მეოთხედს საშინლად წააგებდნენ, კეიტ ვან ჰორნს რომ არ ევაჟკაცა. მან დაჯაბნა მეურვე ლორენცენ რაიტი და თავისი გუნდის საწყისი 17 ქულიდან 15 თავად მოინაგრა. თუმც მარტო რას გახდებოდა და „ნიუ ჯერსიმ" პირველი ტაიმი რვა ქულის სხვაობით, 46:38 დათმო.

რვა ქულა არც ისე დიდი უპირატესობაა, გუნდი ეიფორიაში ჩააგდოს, „ატლანტას" კი თავი ქუდში ეგონა და ამისთვის დაისაჯა. სტუმრებმა მობილიზება მოახერხეს, დაცვა გაამკაცრეს და თანდათან დაუახლოვდნენ მეტოქეს, ბოლო მეოთხედი ხომ ლამის კოშმარად ექცათ მასპინძლებს. ამ თორმეტწუთეულის პირველ რვა წუთში თამაშიდან ბურთი ვერ ჩააგდეს, სტუმართა შეტევებს კი ჯონ ნიუმენი აგვირგვინებდა წარმატებით. მან ყველა მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო და „ქორებს" გამარჯვების იმედი გადაუწურა. როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, შეხვედრის გმირ ნიუმენს არც ამჯერად მოაკლდა ქება, მან კი თავი შორს დაიჭირა, რამდენიმე ბურთი ჩავაგდე, დიდი ამბავი, ამას 14 წელია, ვაკეთებო.

„ნიუ ჯერსი" მომდევნო შეხვედრას 17 იანვარს შინ „ვაშინგტონთან" გამართავს, რომელსაც ბოლო შვიდი თამაშია, არ მოუგია და ატლანტიკის დივიზიონის ცხრილის ფსკერზე მყარად დაფუძნებულა, ანუ „ნიუ ჯერსიზე" ერთი საფეხურით ქვევით.

### ნიუ იორკი 104:82 სან ანტონიო

**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (31), რაისი (20), სპრიუელი (19)**
**სან ანტონიო: დანკანი (14 ქულა, 10 მოხსნა), დანიელსი (14)**

### ვაშინგტონი 95:101 მილუოკი

**ვაშინგტონი: ჰოვარდი (27), ჰამილტონი (22)**
**მილუოკი: რობინსონი (22), ალენი (20), ჰანტერი (20)**

### ფილადელფია 84:79 შარლოტი

**ფილადელფია: აივერსონი (35), ლინჩი (17 ქულა, 16 მოხსნა), კუკოჩი (17)**
**შარლოტი: კემპბელი (18 ქულა, 11 მოხსნა)**

### დალასი 105:116 საკრამენტო

**დალასი: ნოვიცკი (28 ქულა, 11 მოხსნა), ფინლი (24), ეისლი (23)**
**საკრამენტო: ვებერი (34 ქულა, 12 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (19), ვილიამსი (19)**

### მინესოტა 102:107 ბოსტონი

**მინესოტა: გარნეტი (23)**
**ბოსტონი: პირსი (42), უოლკერი (20 ქულა, 12 მოხსნა)**

### გოლდენ სტეიტი 101:107 კლივლენდი

**გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (26 ქულა, 10 მოხსნა)**
**კლივლენდი: ვეზერსპუნი (22 ქულა, 11 მოხსნა), მიურეი (19)**

### ინდიანა 89:74 კლიპერსი

**ინდიანა: როუზი (20)**
**კლიპერსი: ოდომი (22 ქულა, 12 მოხსნა), მილზი (19 ქულა, 13 მოხსნა)**

### ორლანდო 113:104 ჩიკაგო

**ორლანდო: არმსტრონგი (32), მაკგრეიდი (28)**
**ჩიკაგო: მერსერი (27), ბრენდი (22)**

### ლეიკერსი 113:112 ვანკუვერი

(ძირითადი დრო 100:100)

**ლეიკერსი: ონილი (31 ქულა, 15 მოხსნა), ბრაიანტი (26 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი)**
**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (32 ქულა, 12 მოხსნა)**

### დენვერი 122:111 სიეტლი

**დენვერი: ლენარდი (30), ვან ექსელი (27)**
**სიეტლი: პეიტონი (28 ქულა, 11 პასი), ლუისი (22), პატერსონი (19)**

### იუტა 116:104 ჰიუსტონი

(ძირითადი დრო 96:96)

**იუტა: მელოუნი (29 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი), მარშალი (28 ქულა, 22 მოხსნა), სტარქსი (19), სტოქტონი (18)**
**ჰიუსტონი: ანდერსონი (26), ფრენსისი (21)**

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნბა-ს შავკანიან მოთამაშეთა ნახევარს თუ არა, მეოთხედს მაინც შავბნელი წარსული აქვს, მაშინ გასაკვირიც არაა, რომ ლამის დღე არ ჩაივლის ისე, ვთქვათ, ენტონი მეისონი ვერნონ მაქსველს არ ეჩხუბოს და სახე არ გაულამაზოს, ანდა, ალენ აივერსონმა მწვრთნელს, ან მსაჯს (რა მნიშვნელობა აქვს) ვირი არ უწოდოს და საცემად არ გაიწიოს. ჩხუბი და აყალმაყალი განსაკუთრებით „ნიუ იორკ" ნიქსის" თამაშებს ახასიათებს, თან ისეთი, ძნელად რომ იშლება მეხსიერებიდან. ისიც, რაც ამ ორშაბათს ცნობილ „მედისონ სკვერ გარდენში" მოხდა, მხილველთ დიდხანს არ დაავიწყდება. „ნიქსი" „სან ანტონიო სფურზს" ხვდებოდა. შეხვედრის ბოლო წუთები მიმდინარეობდა, როცა სტუმარმა დენი ფერიმ ფარქვეშ ბურთისთვის ბრძოლისას ნიუიორკელ მარკუს კემბის იდაყვი სახეში ისეთი ძალით ხეთქა, რომ იგი, წარბგახეთქილი, ნოკდაუნში აღმოჩნდა და თვალი სისხლით აევსო. გამწარებული ნიუიორკელი სწრაფად წამოიჭრა ფეხზე, ფერის მიეჭრა და ხელი ისეთი ძალით მოუქნია, სანანტოიონელს რომ მოხვედროდა, კარგი დღე არ დაადგებოდა. კემბის მოქნეულს უკვალოდ არ ჩაუვლია: მან ხელი და თავი მეტოქის ნაცვლად თავის დამრიგებელს ჯეფ ვან განდის მოარტყა, რომელიც გადარეული შეგირდის დაშოშმინებას ლამობდა.

ცხადია, კემბი თამაშიდან გააგდეს, ფერი გააპარეს, ვან განდი კი გაიტანეს. საცოდავი მწვრთნელის მოსულიერებას საკმაო დრო დასჭირდა, მის სახეს კი უახლოეს მომავალში 12-15 ნაკერი დაამშვენებს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ნამატჩევს ვან განდი ხუმრობის ხასიათზეც გახლდათ. ყველაზე მეტი კი მოხვდა, მაგრამ ყველაზე იოლად გადაიტანა ეს ამბავი — მარკუსმა ის გააკეთა, რაზეც ჩემი შეგირდები კარგა ხანია ოცნებობენო.

აი, კემბი კი კარგა ხანს ვერ დაწყნარდა. შეხვედრის შემდეგ იგი „სან ანტონიოს" გასახდელ ოთახთან ჩაუსაფრდა ფერის და მხოლოდ მას შემდეგ გაეცალა იქაურობას, როცა „ნიქსის" პრეზიდენტი, დეივ ჩიკეტსი, გენერალური მენეჯერი სკოტ ლეიდენი, თანაგუნდელი ლარი ჯონსონი (მას გუნდში დიდი ავტორიტეტი აქვს) და კიდევ ბევრი სხვა არ ჩაერია საქმეში. იქაურობას კი გაეცალა, მაგრამ შორს კი არ წასულა, დარბაზს გარეთ „სან ანტონიოს" ავტობუსთან დაუდარაჯდა მტერს და იქიდან ძლივს მოაცვლევინეს ფეხი. ფერი კი ძლიერი დაცვის თანხლებით გამოვიდა დარბაზიდან, ემანდ მაგ გადარეულს არსად გადავაწყდეო.

„ნიუ იორკსა" და „სან ანტონიოს" ერთმანეთში ტკბილი ურთიერთობა რა ხანია, არა აქვს. 1999 წელს „სფურზმა" ნბა-ს ფინალში დაამარცხა „ნიქსი" და ლამის მტრად გადაიკიდა. ამ შეხვედრაშიც დაწყებიდან ტრიალებდა დენთის სუნი, რომელიც თითქოს მას შემდეგ გაიფანტა, რაც ცხადი გახდა, „ნიუ იორკი" მოიგებდა, მაგრამ წაგებით განაწყენებულმა დენი ფერიმ იდაყვი მოიქნია და მასპინძლებმა ეს თამაში დამაჯერებლად რომ მოიგეს, ამაში ცენტრ მარკუს კემბის ლომის წილი უდევს. იგი ტკიპასავით მიეწება „სფურზის" ერთ-ერთ ლიდერს დევიდ რობინსონს და ლამის ხელი არ გაანძრევინა. ერთ დროს ნბა-ს უძლიერესი ცენტრი კარგა ხანია, ასე არავის დაუჩაგრავს. კემბიმ რობინსონს ხუთჯერ (!) დაუფარა, თერთმეტი სროლიდან მხოლოდ ერთი ჩააგდებინა და სულ ორ ქულას დააჯერა, თან ისე, რომ პერსონალური არ მიუღია. ვერც „ადმირალის" თანაგუნდელებმა იყოჩაღეს და ექსჩემპიონი წასაგებად გაიწირა.

ამ ინციდენტმა ორშაბათის ყველა სხვა თამაში დაჩრდილა, მაგრამ მაინც ვოქვათ, რომ ჩემპიონმა „ლეიკერსმა" შინ ოვერტაიმში ძლივსძლიობით და შემთხვევით მოუგო დასავლეთში უსუსტეს გუნდს „ვანკუვერს". შემთხვევით, რადგან ოვერტაიმის ბოლო წამზე მასპინძელმა შაკილ ონილმა ყველასდა გასაოცრად ჩააგდო და თავისიანებს გამარჯვება აზეიმა. ასეთი რამ ონილს ალბათ ცხოვრებაში არ გაუკეთებია. არადა, ტელეეკრანებზე კადრის გამეორების შემდეგ აშკარად ჩანდა, რომ ონილმა ბურთი ხელიდან მაშინ გაუშვა, როცა დრო ამოწურული იყო. ამასვე ამტკიცებდნენ ვანკუვერელები, თუმც სამართალი ვერ იპოვეს და გამარჯვება „ლეიკერსს" ჩაეთვალა.

**ირაკლი ფირუზვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისი. II დივიზიონი

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 001 | სტოკი-ბრენტფორდი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. თასის მე-3 ეტაპი. გადათამაშება

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 009 | კრისტალ პალასი-სანდერლენდი | 3,4 | 3,2 | 1,9 |
| 23.45 | 010 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 24.00 | 011 | ქუინზ პარკი-ლუტონი | 1,35 | 4,0 | 6,5 |

### ესპანეთი თასის 1/8 ფინალი. II მატჩები

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 012 | სარაგოსა-მურსია<br>I მატჩი: 3-2 | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 23.15 | 013 | ბილბაო-რასინგი<br>0-2 | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 014 | რაიო ვალეკანო-ატლეტიკო<br>2-2 | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 015 | მალიორკა-ტენერიფე<br>2-0 | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 24.00 | 016 | ესპანიოლი-ესტრემადურა<br>1-1 | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 00.30 | 017 | სელტა-ლეგანესი<br>2-1 | 1,25 | 4,4 | 8,0 |

### პორტუგალია. თასის 1/8 ფინალი

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 019 | პენაფიელი-ბოავიშტა | 4,7 | 3,3 | 1,5 |
| 01.00 | 020 | ბენფიკა-პორტუ | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 01.00 | 021 | ფარენსე-მარიტიმუ | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### ბელგია. თასის 1/8 ფინალი

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 022 | ანდერლეხტი-გენტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

### საბერძნეთი. თასის 1/8 ფინალი. I მატჩები

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 023 | ირაკლისი-იანინა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 18.00 | 024 | ქსანთი-იონიკოსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 18.00 | 025 | პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 5,0 | 3,4 | 1,5 |
| 22.00 | 026 | არისი-პაოკ | 2,3 | 3,0 | 2,9 |

### კალათბურთი

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 805 | ფილადელფია-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 806 | შარლოტი-დალასი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 04.30 | 807 | ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 808 | იუტა-მინესოტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 05.30 | 809 | სან ანტონიო-ტორონტო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 06.00 | 810 | დენვერი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 811 | საკრამენტო-ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 812 | სიეტლი-ფინიქსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

18 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 813 | ინდიანა-ატლანტა | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 814 | დალასი-ორლანდო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.00 | 815 | პორტლენდი-მაიამი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.30 | 816 | ჩიკაგო-დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.30 | 817 | გოლდენ სტეიტი-ჰიუსტონი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 07.30 | 818 | კლიპერსი-ბოსტონი | 1,6 | 12,0 | 1,8 |

### კალათბურთი. სუპროლიგა

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 819 | ვილერბანი-სიენა | 1,5 | 12,0 | 2,0 |

18 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 820 | ეფესი-კრკა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 21.00 | 821 | ცსკა-ცეპტერი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 21.00 | 822 | პლანია-მაკაბი | 4,0 | 12,0 | 1,1 |
| 21.00 | 823 | რაანანა-ლიეტუვოს რიტასი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 21.00 | 824 | პარტიზანი-ირაკლისი | 1,35 | 12,0 | 2,8 |
| 23.30 | 825 | პანათინაიკოსი-სპლიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 826 | ოსტენდე-ბაიერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 827 | სკავოლინი-პო ორტეზი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 828 | ალბა-ულქერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

### კალათბურთი. ევროლიგა

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 829 | პეტერბურგი-კინდერი | 2,8 | 12,0 | 1,2 |
| 23.30 | 830 | ზადარი-ჟალგირისი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 831 | ლუგანო-ესტუდიანტესი | 2,8 | 12,0 | 1,2 |
| 23.30 | 832 | ფორტიტუდო-პერისტერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 833 | აეკ-ტაუ | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 834 | შარლერუა-ციბონა | 2,8 | 12,0 | 1,2 |

18 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 835 | ოვარენსე-ბენეტონი | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 23.30 | 836 | რეალი-ოლიმპია | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 837 | ჰაპოელი-ოლიმპიაკოსი | 2,8 | 12,0 | 1,2 |
| 23.30 | 838 | სკაილაინერსი-ბარსელონა | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 23.30 | 839 | ლონდონი-პაოკ | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 23.30 | 840 | ბუდუჩნოსტი-მიულერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |

### ჰოკეი

17 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 909 | ტორონტო-ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,0 | 2,7 |
| 04.30 | 910 | ატლანტა-ანაჰაიმი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 05.00 | 911 | მინესოტა-კოლუმბუსი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 05.30 | 912 | ჩიკაგო-ფლორიდა | 1,55 | 4,0 | 3,2 |
| 05.30 | 913 | დალასი-ნეშვილი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 06.00 | 914 | ფინიქსი-პიტსბურგი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.30 | 915 | სან ხოსე-კალგარი | 1,5 | 4,0 | 3,4 |

18 იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 916 | ოტავა-ვაშინგტონი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.00 | 917 | რეინჯერსი-ტორონტო | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 04.00 | 918 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.00 | 919 | კაროლინა-ბოსტონი | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 04.30 | 920 | მონრეალი-ტამპა ბეი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 05.00 | 921 | სენტ ლუისი-ედმონტონი | 1,45 | 4,0 | 3,8 |
| 06.00 | 922 | კოლორადო-ვანკუვერი | 1,5 | 4,0 | 3,4 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინუსის ტანი, რიბოკის ზანი




**გასული** სეზონის ბოლოს ვინუს უილიამსმა ქალთა სპორტის ისტორიაში უმდიდრეს, 40-მილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ფირმა „რიბოკთან". ამხელა თანხას ტყუილუბრალოდ არ იძლევიან, ჰოდა, შავ ვენერასაც ავსტრალიის ღია პირველობაზე თავისი სპონსორის სადიდებელი არაერთი სიახლის საკუთარ სხეულზე გამოფენა მოუხდა.

თავისი ალკაზმულობის აღწერა თავად ვინუსმაც კი ვერ მოახერხა ხეირიანად, ამიტომ მეეჭვება, ფოტოსურათის გარეშე შეგიქმნათ წარმოდგენა ამ საჩოგბურთო საოცრებაზე. ყოველ შემთხვევაში, ბიუსტის ზედა ნაწილის გამოჩენის მიზნით (?) ორ ნაწილად გაყოფილმა მაისურამ, პაწაწინა ქვედაკაბამ, ნახევარკეპმა და ყელზე შემოჭერილმა გაურკვეველი დანიშნულებისა და წარმოშობის ნაჭერმა (?) ავსტრალიელ მაყურებლებზე ჯეროვანი შთაბეჭდილება მოახდინა, ისევე, როგორიც ოთხმა ანომალური ზომის ოქროს საყურემ.

თავად ვინუსს ყოველივე ამის ტარება გულზე მაინცდამაინც არ ეხატებოდა, რევოლუციური მაისურაც მუდმივად ხელს უშლიდა თამაშში და შესწორებას მოითხოვდა, თუმცა, ბუნებრივია, პრესკონფერენციაზე უილიამსმა ყველაფერი იუარა.

უიმბლდონის, აშშ-ის ღია პირველობისა და სიდნეის ოლიმპიური ჩემპიონი შარშანდელი ოქტომბრის შემდეგ ერთეულებში პირველად თამაშობდა, თუმცა კლასიფიკაციით 152-ე მარია ხოსე მარტინესთან, რომელიც დიდი სლემის ტურნირზე პირველად თამაშობდა, წესით, დიდად არ უნდა გასჭირვებოდა. 18 წლის ესპანელისთვის, ალბათ, ისიც მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ მრისხანე მეტოქეს არ შეუშინდა და მეორე სეტის მოგებაც კი მოახერხა.

ვინუსმა თავხედობისთვის მარტინესს სწრაფად გადაუხადა სამაგიერო და გადამწყვეტი ხელი მშრალად მოიგო, მთელი მატჩი კი — 6:3, 2:6, 6:0: „შეხვედრამდე მასზე არაფერი ვიცოდი, გაკვირვებული დავრჩი, ისეთი სტაბილური ჩოგბურთელი გამოდგა. ძალიან კარგი, რომ პირველივე წრეში მცირე გამოცდის ჩაბარება მომიხდა."

ბოლო ხანს ვინუსს ძირითადად სულ სხვაგვარ გამოცდებთან აქვს საქმე — ფლორიდაში ხელოვნების სკოლაში დიზაინერის კურსებზე ჯახირობს და პროფესიულ სპორტის სწავლასთან შეთავსება ძალიანაც უჭირს: „ფაქტობრივად, ძილი დავიწყებული მქონდა, შარშან 11 კვირის მანძილზე ზომბი გავხდი. ძალიან კი გამიჭირდა, მაგრამ სწავლის მიტოვება არ მინდოდა და გავუძელი, თანაც მალე მოვრჩები კიდეც. განათლების მიღებას დიდი მნიშვნელობა აქვს."



კარლოს მოია

უფროს უილიამსს შარშან წლის ბოლოს ანემიის მსუბუქი ფორმაც აღმოუჩინეს ექიმებმა, თუმცა ახლა თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობს და წლეულსაც ისეთივე წარმატებების მიღწევას გეგმავს: „ადრე არასწორად ვიკვებებოდი, ახლა კი თავს უკეთ ვუვლი და ვიტამინების საჭირო რაოდენობას ვიღებ. იყო მომენტი, ყველაფერი მღლიდა. სკოლაში მანქანით ვერ მივდიოდი, მეშინოდა, საჭესთან არ ჩამძინებოდა და დავმტვრეულიყავი, ამიტომ მძღოლის დაქირავებაც კი მომიხდა... მეგონა, სერიოზულად ვიყავი ავად, თუმცა ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა."

დაახლოებით მსგავსი პრობლემები, ოღონდ სწორედ ამჟამად, კაცებში მსოფლიოს პირველ ჩოგან გუსტავო კუერტენსაც აწუხებს: „ავსტრალიაში რიგიანი თამაში ყოველთვის მიჭირს, რადგან ეს სეზონის დასაწყისია. აქ ყველაფერი თავდაყირაა ჩემთვის — როცა მღვიძავს, მინდა, მეძინოს, როცა მძინავს, მინდა, ვთამაშობდე."

„გუგას" მელბურნში აქამდე ოთხჯერ უასპარეზია, მაგრამ მეორე წრეს არასოდეს გაცილებია. ჩია, მაგრამ მეტად აგრესიულად მოთამაშე არგენტინელის, გასტონ გაუდიოს დასამარცხებლად კუერტენს თითქმის სამსაათნახევარი დასჭირდა, ერთხელ კი კინაღამ ფეხი დაიშავა და კორტზე ექიმსაც უხმო.

„არაფერია, თამაშში ხელს არ მიშლის — აღნიშნა „გუგამ", როცა 7:5, 6:7 (6:8), 6:3, 7:5 მოიგო — დეკემბრის შემდეგ ეს ჩემთვის პირველი მატჩი იყო, ასე რომ, უკმაყოფილო არ ვარ. მსოფლიოს პირველ ჩოგნობას გარკვეული უარყოფითი მხარეებიც მოჰყვება თან, შენს დამარცხებას ყველა ორმაგად ცდილობს, თუმც არა მგონია, ამ უარყოფითმა ოდესმე დადებითი გადაწონოს."

პირველ წრეში ყველაზე დიდ ინტერესს მსოფლიოს ორი ყოფილი პირველი ჩოგნის — მარსელო რიოსისა და კარლოს მოიას ორთაბრძოლა იწვევდა, მაგრამ აქედან ხეირიანი არაფერი გამოსულა: ესპანელის უპირატესობა თავიდან ბოლომდე აშკარა იყო — 6:3, 6:3, 6:2.

მხრის უმძიმესი ტრავმის შემდეგ 1998 წლის როლან გაროსის ჩემპიონი და 1997-ის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი მოია ამჟამად კლასიფიკაციით მხოლოდ 41-ეა და კარიერას, ფაქტობრივად, თავიდან იწყებს: „არ ვიცი, ამას მეორედ მოსვლა შეიძლება ეწოდოს თუ არა, მაგრამ ასე მგონია, მართლაც ნულიდან ვიწყებ ყველაფერს. იმედია, ამიერიდან არანაკლებს მივაღწევ, მე მხოლოდ 24 წლის ვარ და წინ კიდევ ბევრი კარგი სეზონი მაქვს."

სტიმულად მოიას შარშან დევისის თასის ფინალის გამოტოვება გამოადგა. ცუდი შედეგების გამო ერთ დროს გუნდის ლიდერი ესპანელთა ნაკრებშიც კი ვერ მოხვდა: „იმ მატჩის ცქერა უბრალო მაყურებელთა შორის ჩემთვის ძალიან მძიმე იყო, ადრე ხომ მთავარი მოქმედი პირი ვიყავი. ამან გამიჩინა სურვილი, მეტი ენერგიით, მონდომებით მევარჯიშა და ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ ჩემზე ხელის ჩაქნევა ნაადრევი იყო."

**პირველი წრე. ქალები: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია)** — კატალინ მაროზი (უნგრეთი) 6:1, 6:1; **ამელი მორესმო (13, საფრანგეთი)** — აი სუგიამა (იაპონია) 6:3, 6:3; **პაოლა სუარესი (არგენტინა)** — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:2, 6:1; **ემი ფრეზერი (16, აშშ)** — ლორანს ანდრეტო (საფრანგეთი) 7:5, 6:4; **ივა მაიოლი (ხორვატია)** — კრისტინა ბრანდი (აშშ) 6:2, 7:6 (9:7); **სერენა უილიამსი (6, აშშ)** — ჯანეტ ლი (ტაივანი) 6:1, 6:4; **მარი პირსი (7, საფრანგეთი)** — სილვია პლიშკე (ავსტრია) 6:1, 6:3; **ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია)** — პატი შნიდერი (შვეიცარია) 4:6, 6:1, 6:3; **ამანდა კუტცერი (10, სამხრეთ აფრიკა)** — სონია ჯეიასლანი (კანადა) 6:2, 6:4; **მარლინ ვაინგარტნერი (გერმანია)** — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:3, 6:4; **ვინუს უილიამსი (3, აშშ)** — მარია ხოსე მარტინესი (ესპანეთი) 6:3, 2:6, 6:0; **დაია ბედანოვა (ჩეხეთი)** — ბრაიან სტიუარტი (ავსტრალია) 7:5, 4:6, 7:5; **ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი)** — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 7:6 (7:2), 7:5; **ელენა დემენტიევა (9, რუსეთი)** — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:4, 6:3.

**კაცები: გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია)** — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 7:5, 6:7 (6:8), 6:3, 7:5; **გრეგ რუზეცკი (ინგლისი)** — მარკოს ონდრუშკა (სამხრეთ აფრიკა) 3:6, 6:3, 7:6 (7:3), 6:2; **კარლოს მოია (ესპანეთი)** — მარსელო რიოსი (ჩილე) 6:3, 6:3, 6:2; **ფრანკო სკილარი (11, არგენტინა)** — დევიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 6:4, 6:2; **არნო კლემანი (15, საფრანგეთი)** — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:3, 6:2, 7:5; **ფაბრის სანტორო (საფრანგეთი)** — მაიკლ ჩანგი (აშშ) 7:5, 4:6, 6:3, 6:4; **სებასტიან გროჟანი (16, საფრანგეთი)** — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 6:0, 7:6 (8:6), 6:4; **ანდრეი მედვედევი (უკრაინა)** — ნიკოლა მაიუ (საფრანგეთი) 6:2, 6:4, 2:6, 4:6, 6:4; **ნიკოლას კიფერი (გერმანია)** — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 6:3, 7:5, 6:2; **ტომი ჰაასი (გერმანია)** — ნიკოლას მასიუ (ჩილე) 6:3, 6:1, 6:1; **ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი)** — იენს კნიპშილდი (გერმანია) 6:1, 6:4, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიცარია)** — არნო დი პასკუალი (საფრანგეთი) 6:4, 4:6, 6:1, 7:5; **უეინ ფერერა (10, სამხრეთ აფრიკა)** — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:3, 7:5, 6:4; **მაგნუს ნორმანი (4, შვედეთი)** — სტეფან უე (საფრანგეთი) 1:6, 7:5, 6:1, 7:6 (7:5); **ლეიტონ ჰიუიტი (7, ავსტრალია)** — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:5, 4:6, 2:6, 6:3, 6:3.

**ავთანდილ სვანიძე**



გუსტავო კუერტენი

## სხვადასხვა

**უიმბლდონის** ყოფილი ჩემპიონი პატ კეში ავსტრალიის ღია პირველობაზე, ალბათ, ყველაზე ნაკლებად პოპულარული პიროვნებაა, ყოველ შემთხვევაში, მშვენიერი სქესის კოლეგებს შორის მაინც. მიზეზი რამდენიმე დღის წინ ერთ ბრიტანულ გაზეთში გამოქვეყნებული ინტერვიუა, რომელშიც ავსტრალიელი ამტკიცებს, რომ ქალ ჩოგბურთელთა უმეტესობა მსუქანი და ფიზიკურად ცუდად გამოიყურება, ლინდსი დევენპორტს კი საერთოდ ბადროს მტყორცნელობა უფრო შეეფერებაო.

რეაქციას არ დაუგვიანია. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა განაცხადა, რომ ის კეშს პატივს საერთოდ არ სცემდა, დევენპორტმა პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა, ლეიტონ ჰიუიტმა კი თანამემამულეს „ლაყბობის მოყვარული" უწოდა.

კეში ამჟამად ინგლისელი გრეგ რუზეცკის მწვრთნელია და თავადაც მელბურნში იმყოფება, ამიტომ ამდენი მომდურავის გაჩენა არაფრად ეჭაშნიკა. ავსტრალიელმა ამავე სახელწოდების გაზეთში („ავსტრალიელი") სამშაბათს რაღაც ბოდიშის მოხდის მაგვარი სცადა, თუმცა რამდენად წარმატებულად, თავად იმსჯელეთ.

„ჩემი სიტყვები კონტექსტიდან ამოიღეს და ასე ცუდად იმიტომ ჟღერს. მე ვთქვი, ქალ ჩოგბურთელებს განსხვავებული გარეგნობა და ფიზიკური ვარჯიშისადმი განსხვავებული მიდგომა აქვთ-მეთქი. ლინდსი დევენპორტი ბადროს მტყორცნელს მართლა წააგავს, მაგრამ მის ნიჭში ეჭვი არასოდეს შემპარვია. იმედია, ის არ გაბრაზდება, რადგან ჩემი მიზანი ეს სულაც არ ყოფილა".

პატ, უყურე ხოლმე „სტიმოროლის" რეკლამას!

* * *


ბეკერმა შვილებს ცოლი ანაცვალა

**ბეკერების** განქორწინების საგა დასრულდა: ორშაბათს მიუნხენის სასამართლომ 33 წლის უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი და მისი 34 წლის შავკანიანი მეუღლე ბარბარა ოფიციალურად გაყრილად გამოაცხადა.

ამას წინ მაიამიში განქორწინების კონტრაქტზე ორივე მხრის ხელმოწერა უძღოდა. ერთთვიანი შეხლა-შემოხლის შემდეგ, გერმანული „ბილდის" ცნობით, ბორის ბეკერი დათანხმდა, ბარბარასთვის 14,4 მილიონი დოლარი გადაეხადა, რაც თითქმის ხუთჯერ აღემატება ქორწინების ხელშეკრულებაში დასახელებულ თანხას. ყოფილ მომღერალსა და მსახიობს ასევე შეუძლია, საცხოვრებლად აირჩიოს მაიამიში მდებარე მდიდრული სახლი ან მიუნხენში მდებარე ვილა. სამაგიეროდ, წყვილის ორ ვაჟზე — 6 წლის ნოასა და 1 წლის ელიასზე მარტო დედა კი არა, ბორისიც იზრუნებს თანაბარი უფლებით.

გერმანული კანონებით, განქორწინებამდე წყვილი ერთი წლის მანძილზე ცალ-ცალკე უნდა ცხოვრობდეს, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში მათთვის უსიამოვნებათა თავიდან ასაცილებლად გამონაკლისიც დაიშვება. მიუნხენის საოჯახო სასამართლომაც ბეკერები ამ „განსაკუთრებული შემთხვევის" მიზეზით დააშორა ვადაზე ადრე.

„ისინი ყველა სადავო საკითხზე შეთანხმდნენ. მისტერ ბეკერი და ბავშვები მაქსიმალურად ნაკლებად დაზარალდნენ" — განაცხადა „ბუმ-ბუმ„ ბორის ადვოკატმა რობერტ კოლმანმა, თუმცა საკონტრაქტო თანხას „ჟურნალისტთა მიერ მეტისმეტად გადაჭარბებული" უწოდა.

რაოდენ მოულოდნელადაც უნდა ჟღერდეს, ბეკერების განქორწინებით ყველაზე მეტად, ალბათ, ფირმა „კოკა-კოლა" დაზარალდა. უალკოჰოლო სასმელების გიგანტმა სკანდალური პროცესის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ბარბარასთან სარეკლამო ხელშეკრულება დადო. სარეკლამო რგოლები გერმანული ტელევიზიით თებერვალში უნდა გადაეცათ, თუმცა ბორისის გარეშე ქალბატონი ფელტუსის (ბარბარას ნამდვილი გვარია) პოპულარობამ კატასტროფულად იკლო და სავსებით შესაძლებელია, რეკლამებმა დღის სინათლე ველარც იხილონ.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, თავის მხრივ, „მერსედესთან" და AOL-თანაა დაკავშირებული კონტრაქტით, თუმცა ამ ფირმებისთვის ბეკერის საოჯახო სტატუსს გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

* * *

**1994 წლიდან** პირველად, ავსტრალიის ღია პირველობაზე ქალები და კაცები თანაბარი რაოდენობის საპრიზოებს მიიღებენ (1995-ში თანაბრად მხოლოდ ჩემპიონები დასაჩუქრდნენ, ყველა სხვა წრეში მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ნაკლები ფული ერგოთ).

წლეულს გამარჯვებულთა წილი 473385 დოლარი იქნება, ფინალისტთა — 238400. პირველ წრეში დამარცხებულებს კი 7290 მწვანით მოუწევთ დაკმაყოფილება. სწორედ ამ თანხის სიმცირე გახდა ამერიკელი ვეტერანის ჯეფ ტარანგოს აღშფოთების მიზეზი.

32 წლის შარისთავი ტარანგო სულაც არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ჩოგბურთში ისეც ზედმეტი ფული ტრიალებს. ამჟამად მოთამაშეები დიდი სლემის ტურნირების საერთო შემოსავლიდან მხოლოდ 10 პროცენტს იყოფენ, მაგრამ თუ ეს მაჩვენებელი NBA-სა და ბეისბოლის დარად 50 პროცენტამდე გაიზრდება, პირველ წრეში დამარცხებულები უკვე 34200 დოლარს მიიღებენ, ჩემპიონები კი სადღაც 2-3 მილიონის ფარგლებში.

„ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ კეთილი უნდა ინებოს და ჩოგბურთელებს შემოსავალი გაუნაწილოს. გაზრდილი საპრიზოების შემთხვევაში ბევრი მოთამაშე შეძლებდა მწვრთნელის დაქირავებას, უკეთ მომზადებას, რაც ჩოგბურთის პოპულარობასაც წაადგებოდა" — აღნიშნა ამერიკელმა, რომელსაც სტენფორდის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და ეტყობა, მათემატიკა ჯერაც კარგად ახსოვს.

თავად ტარანგოს მსგავსი ცვლილება დიახაც რომ წაადგებოდა — 1988 წელს, კარიერის დასაწყისიდან დღემდე ის 24-ჯერ გავარდა დიდი სლემის ტურნირების პირველივე წრეში.

* * *

**დებმა** უილიამსებმა ქალთა ჩოგბურთში კუნთების დაბერვის გარდა ჭყეტელა ფერების, ორიგინალური სამოსისა და სპონსორ ფირმათა საქმეებში ჩარევის მოდაც დაამკვიდრეს.

ვინუსი და სერენა მჭიდროდ თანამშრომლობენ, შესაბამისად, „რიბოკთან" და „პუმასთან" და სადიზაინერო კურსებზე შეძენილ ცოდნას საკუთარი საჩოგბურთო ალკაზმულობის შესაქმნელად იყენებენ. ხასხასა წითელ-ყვითელისა და ტანზე შემოჭერილი კაბა-მაისურების მოდა მათგან სხვებმაც გადაიღეს.

უილიამსებს არ ჩამორჩეო და „ნაიკმა" ავსტრალიის ღია პირველობისთვის თავის მთავარ დამრტყმელ ძალას — მარი პირსს მშვენიერი თეთრ-წითელი კაბა მოარგო, ანა კურნიკოვამ „ადიდასის" მუშაკებთან ერთად ყვითელი მაისურა შექმნა და გამოამზეურა. იმავე ფირმამ მეტად უცნაურ, სხვადასხვა სიგრძის სახელოებიან მაისურაში გამოაწყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი.

ყველაზე მოგებული კი, რა თქმა უნდა, ისევ მაყურებლები ვრჩებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია ფრანგთა ბედნიერებაა

## ევროპის თასი

მეხუთე ტური

I ჯგუფი

**ნორთჰემპტონი (ინგლისი) 32**
**ბიარიცი (საფრანგეთი) 24**

ნორთჰემპტონი: 5ლ — კოენი (3), ბილი, ტომპსონი; 2გ. და 1ს — ჰეპერი

ბიარიცი: 3ლ — კუტე, ბერნა-სალი, ბონე; 3გ. და 1ს — ბოტიკა

**ლენსტერი (ირლანდია) 34**
**ედინბურგი (შოტლანდია) 34**

ლენსტერი: 4ლ — კალენი, ჰეკენუი, ომირა, კეისი; 4გ. და 2ს — ომირა

ედინბურგი: 3ლ — პატერსონი, ოფისერი, ატერსონი; 2გ. და 5ს — ჰოდჯი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლენსტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 144:111 | 7 |
| ბიარიცი | 5 | 3 | 0 | 2 | 134:142 | 6 |
| ედინბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 131:141 | 5 |
| ნორთჰემპტონი | 5 | 1 | 0 | 4 | 123:138 | 2 |

II ჯგუფი

**აკილა (იტალია) 9**
**სტად ფრანსე (საფრანგეთი) 76**

აკილა: 3ს — კონოლი, მაზი (2)

სტად ფრანსე: 12ლ — ჟუიე, დომინისი (2), დე ვილიე, ლომბარი, კომბა (3), დომინგესი, ფრიმანი, რაფო, ლემუენი; 8გ — დომინგესი (6), კომბა (2)

**უოსპსი (ინგლისი) 28**
**სუონსი (უელსი) 16**

უოსპსი: 3ლ — შოუ, სემპსონი (2); 2გ. და 3ს — ლოგენი

სუონსი: 1ლ — რობსონი; 1გ. და 3ს — ტომასი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სუონსი | 5 | 4 | 0 | 1 | 231:81 | 8 |
| სტად ფრანსე | 5 | 4 | 0 | 1 | 255:72 | 8 |
| უოსპი | 5 | 2 | 0 | 3 | 133:151 | 4 |
| აკილა | 5 | 0 | 0 | 5 | 35:350 | 0 |

III ჯგუფი

**კარდიფი (უელსი) 42**
**ოლსტერი (ირლანდია) 16**

კარდიფი: 4ლ — რობინსონი (2), ქვინელი, ჯენკინსი; 2გ., 5ს. და 1ა — ჯენკინსი

ოლსტერი: 2ლ — ტოპინგი (2); 2ს — ჰამფრიზი

**სარასენსი (ინგლისი) 37**
**ტულუზი (საფრანგეთი) 30**

სარასენსი: 4ლ — სპარგი, სორელი, მიურეი, როში; 4გ. და 3ს — მაკრი

ტულუზი: 4ლ — პუატრენო, ილარეგუი, პენო, მარფენგი; 2გ. და 2ს — მარფენგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარდიფი | 5 | 4 | 0 | 1 | 147:102 | 8 |
| სარასენსი | 5 | 3 | 0 | 2 | 151:133 | 6 |
| ტულუზი | 5 | 1 | 1 | 3 | 133:155 | 3 |
| ოლსტერი | 5 | 1 | 1 | 3 | 133:184 | 3 |

IV ჯგუფი

**კასტრი (საფრანგეთი) 19**
**ბათი (ინგლისი) 32**

კასტრი: პლისონი, სარამეა, არტიგუსტი, დელმოტი, გარიგი, თაუნსენდი, სეგიე (ალბუი 73), ლაბრუსი, ლასისი, ტოსაკი (დიასი 69), დევიდსონი, ლალიუკი (შინარო 69), ცაბაძე (ბენაზე 55), ვინიო (ბატუ 61), რეჯიარდო

2ლ — დევიდსონი, დელმოტი; 3ს — თაუნსენდი

ბათი: 5ლ — კეტი(2), ვოისი, ჰააგი, კუპერი; 2გ. და 1ს — პერი

**ნიუპორტი (უელსი) 24**
**მანსტერი (ირლანდია) 39**

ნიუპორტი: 2ლ — პინი, მოსტინი; 1გ., 3ს. და 1ა — ჰოვარტი

მანსტერი: 3ლ — ჰორგანი, მალინსი, ოგარა; 3გ., 4ს. და 2ა — ოგარა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანსტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 133:98 | 8 |
| ბათი | 5 | 3 | 0 | 2 | 101:96 | 6 |
| ნიუპორტი | 5 | 2 | 0 | 3 | 112:145 | 4 |
| კასტრი | 5 | 1 | 0 | 4 | 124:131 | 1 |

*კასტრს დაკლებული აქვს ერთი ქულა*

V ჯგუფი

**გლოუსესტერი (ინგლისი) 28**
**ლიანელი (უელსი) 27**

გლოუსესტერი: 1ლ — საჯარიმო; 2გ. და 6ს — მანიქსი; 1ა — მონკრიფი

ლიანელი: 2ლ — მ. ჯონსი(2); 1გ. და 5ს — შ. ჯონსი

**კოლომიე (საფრანგეთი) 55**
**რომი (იტალია) 21**

კოლომიე: 7ლ — გალტიე, სიერაკი, ტომული, ჰეპერი, ლანდი, ლორანი, პედუსო; 7გ. და 2ს — მარტიკორენა

რომი: 3ლ — საჯარიმო, კაიონე, ფარნერი; 3გ — პეძი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლომიე | 5 | 3 | 1 | 1 | 127:86 | 7 |
| გლოუსესტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 148:111 | 7 |
| ლიანელი | 5 | 3 | 0 | 2 | 153:82 | 6 |
| რომი | 5 | 0 | 0 | 5 | 59:208 | 0 |

VI ჯგუფი

**გლაზგო (შოტლანდია) 25**
**პონტიპრიდი (უელსი) 23**

გლაზგო: 3ლ — ჰეიესი (2), შეპერდი; 2გ. და 2ს — ჰეიესი

პონტიპრიდი; 1ლ — პარკესი; 5ს. და 1ა — ჯარვისი

**პო (საფრანგეთი) 3**
**ლესტერი (ინგლისი) 20**

პო: 1ს — არიეტა

ლესტერი: 1ლ — ბაკი; 3ს — სტიმპსონი; 2ა — გუდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 134:79 | 8 |
| პო | 5 | 3 | 0 | 2 | 123:112 | 6 |
| პონტიპრიდი | 5 | 2 | 0 | 3 | 109:100 | 4 |
| გლაზგო | 5 | 1 | 0 | 4 | 111:186 | 2 |

დაახლოებით ორთვიანი შესვენების შემდეგ განახლდა მორაგბეთა ევროპის თასის გათამაშება. გასულ უქმეებზე მეხუთე ტურის მატჩები გაიმართა, რომელთაგან ჯერ „კასტრისა“ და „ბათის“ დაპირისპირებაზე მოგითხრობთ. ამის მიზეზი რომ გვაქვს, ფრანგული კლუბის შემადგენლობის წაკითხვისას დარწმუნდებით — ლევან ცაბაძე ჯერჯერობით ერთადერთი ქართველია, რომელიც ამ ტურნირში თამაშობს.

ქართველმა ლეგიონერმა რამდენიმე კვირის წინ საფრანგეთის ჩემპიონატის შეხვედრაში მიღებული მცირე ტრავმა მოიშუშა, მაგრამ მწვრთნელმა 55-ე წუთზე იგი მაინც შეცვალა. იმ დროისთვის სტუმრები მხოლოდ ერთი ქულით (15:14) იყვნენ წინ. პირველი ტაიმი ჩვენებურმა და მისმა თანაგუნდელებმა ჩინებულად ჩაატარეს, თუმცა არანაკლებ კარგად მოთამაშე ინგლისელებს ანგარიშში ბევრით ვერ გაასწრეს. თავიდან თავი „ბათის“ გარე ნახევარმცველმა კეტმა გამოიჩინა, როცა მე-8 წუთზე ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე დაალელოვა მეტოქე.

შემდეგ სათამაშო უპირატესობა მთლიანად მასპინძლებმა იგდეს ხელთ და მათი დამრტყმელის, გრეგორ თაუნსენდის ორ საჯარიმოს შორის მორკინალმა დევიდსონმაც გაიტანა ლელო (13). 33-ე წუთზე ისევ კეტმა იხეირა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, რასაც ხუთ წუთში ისევ თაუნსენდის ზუსტი საჯარიმო მოჰყვა. მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, დაიწყო „კასტრის“ განადგურებაც. თამაშის განახლებისთანავე კლარკმეგს-ვოისის კომბინაცია ლელოთი დასრულდა. მერე ჰააგმა გაიტანა ლელო, ბოლოს კი კუპერმა საერთოდ შეარცხვინა ფრანგული გუნდი, როცა მთელი მისი დაცვა ეულად გააბითურა და 50-მეტრიანი დრიბლინგი ლელოთი დააგვირგვინა. შეხვედრის უკანასკნელ წამებზე დელმოტის ლელომ კი მატჩის შედეგზე ვეღარ მოახდინა გავლენა.

ამ მატჩის გარდა ინგლისელები და ფრანგები კიდევ სამგან შეხვდნენ ერთმანეთს და სამივე მატჩი კუნძულელთა გამარჯვებით დასრულდა. ფრანგთა საბედნიეროდ, არსებობს იტალია, რომლის კლუბებიც ჯერჯერობით ევროპის თასის უდავო მაჩანჩალები არიან და მათ ყველა უგებს, თორემ შეიძლება ბაყაყისჭამიები ამ ტურში საერთოდ უქულოდ დარჩენილიყვნენ.

მეოთხედფინალის საგზური უკვე მოიპოვა სამმა გუნდმა, რომლებმაც თავიანთ ჯგუფებში პირველი ადგილი დაიბევეს. „მანსტერი“ (ირლანდიის ჩემპიონი), „კარდიფი“ (უელსის ჩემპიონი) და „ლესტერი“ (ინგლისის ჩემპიონი) მდევრებისთვის მიუღწეველნი არიან, რადგან პირად შეხვედრებში უკეთესი შედეგები აქვთ. კიდევ ორი გუნდი — „სუონსი“ და „სტად ფრანსე“ — თითქმის, შემდეგ ეტაპზე არიან გასულნი, რადგან ორ საუკეთესო მეორეადგილოსანს შორის ადგილი ფაქტობრივად დაბევებული აქვთ. დანარჩენი სამი ბედნიერის ვინაობას ერთ კვირაში შევიტყობთ.

საინტერესოა, რომ თასის წინა ოთხ მფლობელთაგან სამი („ტულუზი“, „ოლსტერი“, „ნორთჰემპტონი“) უკვე ჩარჩა ჯგუფში, მეოთხე კი („ბათი“) მეტად რთულ ვითარებაშია.

პირველ ჯგუფში, წაგების მიუხედავად, „ბიარიცის“ შანსები მაინც „გაიზარდა“, რადგან „ედინბურგმა“ „ლენსტერთან“ ფრეს მიაღწია. ჯგუფის ფინალი აგილერაში გაიმართება, სადაც ფრანგები ირლანდიელებს უმასპინძლებენ.

ჯგუფის და საერთოდ ამ ეტაპის საუკეთესოს სახელისთვის შეეჭიდებიან პარიზში „სტად ფრანსე“ და „სუონსი“. პირველმა აკილაში უძლიერესი შემადგენლობა ათამაშა და იტალიელები მიწასთან გაასწორა, მეორემ კი ტურნირში პირველი მარცხი იწვნია. თუმცა, როგორც უკვე გითხარით, მათ მატჩში წაგებული ორ საუკეთესო მეორეადგილოსანში უცილობლად უნდა მოხვდეს, თუ, რა თქმა უნდა, „პო“, „ლიანელი“ ან „სარასენსი“ თხუთმეტიოდე ლელოს გატანით არ მოიგებენ(!).

„კარდიფმა“ „ოლსტერს“ რომ მოუგო, თავად მეოთხედფინალისტი გახდა, „ტულუზი“ კი მეხუთე მატჩის თამაშამდე გამოთიშა ასპარეზობას. ბოლო ტურში სწორედ ისინი ხვდებიან ერთმანეთს. ნილ ჯენკინსის თანაგუნდელები საფრანგეთში უსტიმულონი მაინც არ იქნებიან, რადგან გამარჯვების შემთხვევაში ოთხ საუკეთესო პირველადგილოსანს შორის მოხვდებიან და მეოთხედფინალის ერთადერთ მატჩს შინ გამართავენ.

„კასტრის“ ჯგუფში საინტერესო ის იყო, რომ რონან ოგარას 29 ქულის წყალობით ევროპის თასზე უელსურ მიწაზე პირველად გაიმარჯვა „მანსტერმა“. არადა, ირლანდიელები 15 ქულითაც ჩამორჩებოდნენ მასპინძლებს, მაგრამ ბოლოს იძალეს და მოიგეს კიდეც.

კოლომიელებმა იტალიის ჩემპიონს ძნელი პირველი ორმოცწუთეულის შემდეგ მაინც მოუგეს და გალიდერდნენ. „გლოუსერტერმა“ კი სასწაულებრივ იმარჯვა. უელსელები 75 წუთის მანძილზე წინ იყვნენ, მიუხედავად მეტად საეჭვო საჯარიმო ლელოსი, მერე კი ერთ-ერთმა მათგანმა „გოლი საკუთარ კარში გაიტანა“. „ლიანელის“ ძელებიდან დაახლოებით 10 მეტრის დაშორებიდან მონკრიფმა არეკნი დაარტყა, მაგრამ მეტად უხეიროდ და ბურთი უეჭველად ხარიხას ქვემოდან გაძვრებოდა, თუმცა 5 მეტრის გაფრენის შემდეგ მას რომელიღაც უელსელმა ხელი აჰკრა და... 28:27 მასპინძელთა სასარგებლოდ.

მეექვსე ჯგუფში პირველობა „ლესტერმა“ გაინაღდა, მის მიერ ნაგვემ „პოს“ კი მეოთხედფინალში გასვლის მცირედი შანსი კიდევ დარჩა.

**გაგი გურული**



AFP კასტრიდან

კასტრი — ბათი. კასტრელი ისმაელ ლასისის წინააღმდეგობის მიუხედავად მაიკ კეტმა პირველი ლელო გაიტანა



ემა ინგელსტრომი

# გრძნობათა იმპერიის რეკორდი
# ემას ევროპა ეამა

**შვედმა** ემა ინგელსტრომმა 50 მეტრზე ბრასით ცურვაში ევროპის რეკორდი დაამყარა. ეს ამბავი იტალიის ქალაქ იმპერიაში მოხდა, სადაც მისმა თანამემამულემ იოანა სიობერგმა ბატერფლაისა და თავისუფალი სტილით სპრინტში დაჩაგრა კონკურენტები.

ინგელსტრომი დეკემბერში, ვალენსიაში გამართული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ავადმყოფობდა, მაგრამ გამოჯანმრთელებულმა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, საუკეთესო შედეგი აჩვენა — 31,17 წამი. წინა რეკორდიც შვედს, ლუის კარლსონს ეკუთვნოდა და 31,19 წამის ტოლი იყო.

სხვათა შორის, ძველ რეკორდზე სწრაფად გაცურა მეორე ადგილზე გასულმა ავსტრალიელმა ბრუკ ჰანსონმაც — 31,18, ხოლო ამერიკელმა მეგან ქუინმა, რომელიც ბრასში 100 მეტრზე ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ, მესამე ადგილი დაიკავა — 31,40.

ინგელსტრომის გამარჯვება ერთგვარი შურისძიება გახლდათ წინა დღეს, 100 მეტრზე ბრასში ჰანსონთან დამარცხებისთვის.

სიობერგმა კი შაბათ-კვირის დიდი გამარჯვება იზეიმა. მან აშშ-ში გადაბარგებული სლოვაკი მარტინა მორავცოვა ჩამოიტოვა. მორავცოვა, სხვათა შორის, სიდნეიში 100 მეტრზე ბატერფლაიში ვერცხლისმედალოსანი გახლავთ. სიობერგმა მას ორჯერ შაბათს აჯობა, ორჯერ კი — კვირას.

შვედმა თავიდან 100 მეტრზე ბატერფლაიში გაიმარჯვა ერთობ იოლად, შემდეგ 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც იყოჩაღა — თითქმის წამის ნახევრით აჯობა მდევარს.

ვაჟთა შორის კი გამარჯვებათა მეტი წილი რუსებმა მოიქუჩეს. ანდრეი კაპრალოვმა 200 მეტრზე თავისუფალში ივარგა, არსენ მალიაროვმა — 100 მეტრზე ბრასში, ხოლო ანატოლი პოლიაკოვმა ორივე დღეს ჩამოიტოვა კონკურენტები — 100 მეტრზე და 200 მეტრზე ბატერფლაიში.

ორჯერ იყოჩაღა ბრიტანელმა მარკ ფოსტერმა. შაბათს მან 50 მეტრზე ბატერფლაიში გაიმარჯვა, კვირას კი — 50 მეტრზე თავისუფლად ცურვაში.

# პიტერის ოქრო სხვა სინჯისაა

**1972 წლის** მიუნხენის ოლიმპიადის შვიდგზის ოქროსმედალოსანი მარკ სპიცი ჰოლანდიელ პიტერ ვან ჰოგენბანდს აქებს. ლონდონში გამართულ „მსოფლიო სპორტის ჯილდოთა“ გადაცემის ცერემონიალზე „როიალ ალბერტ ჰოლში“, წყლის სახეობათა თანამედროვე გმირები სწორედ სპიცმა დააჯილდოვა.

მოგეხსენებათ, ვან ჰოგენბანდმა სიდნეიში, 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოქროს მედლები მოიგო. ხოლო 50 მეტრზე და 4X200 ესტაფეტაში ბრინჯაო მოიპოვა. იმავ ოლიმპიადაზე ავსტრალიელმა იან ტორპმა სამი ოქროთი და ორი ვერცხლით დაიმშვენა მკერდი, ტორპის სამი ოქროდან ორი ესტაფეტისა გახლდათ.

„ამ თამაშებზე საუკეთესო შედეგი ვან ჰოგენბანდისა იყო. განსაკუთრებით მინდა გავამახვილო ყურადღება იმაზე, რომ მან ტორპს აჯობა. საქმე ის გახლავთ, რომ მე ესტაფეტაში მიღებულ ჯილდოებს სხვა კატეგორიას მივაკუთნებ. ჩემს თავზეც იგივეს ვიტყვი: მიუნხენში მოგებულ შვიდ ოქროს მითვლიან, მაგრამ საკუთარ თავს ოთხი ოქროს მფლობელად მივიჩნევ“ — განაცხადა სპიცმა, რომელსაც დღევანდელ ვარსკვლავთა საკუთარ თავთან შედარება არ სურს:

„ბედნიერი ვარ, რომ მარკ სპიცი გახლავართ, ბედნიერი ვარ, რომ ალარავის ვეჯიბრები და თუ ვინმეს ვედრები, მხოლოდ მარკ სპიცს“.

ერთი სიტყვით, ამერიკელმა ტორპსა და ვან ჰოგენბანდს შორის უპირატესობა ჰოლანდიელს მიანიჭა და ეს იმითაც დაასაბუთა, რომ სიდნეიში ანუ მშობლიურ კედლებში ტორპს დიდი ფსიქოლოგიური დახმარება გაუწიეს:

„ტორპის წაქეზება მთელი წლით ადრე დაიწყო. იცით, როდესაც საკუთარი პრესა ყოველდღე შთაგაგონებს, რომ გამარჯვება შეგიძლია და ამასთან, საკუთარ თავს ობიექტურადაც ძლიერად აღიქვამ, გამარჯვება უფრო მარტივია. მე ასეთი ფუფუნება არ განმიცდია“.

სხვათა შორის, სპიცს მხოლოდ გამარჯვებულები როდი ხიბლავს. ის სიდნეის ოლიმპიადის უცნობილეს დამარცხებულს, გვინეელ ერიკ მუსამბანის, ეგრეთ წოდებულ „კუ ერიკსაც“ აღფრთოვანებით იხსენებს.

„სულაც არ ვიზიარებ აზრს, რომ მუსამბანი ცურვის სამარცხვინო წარმომადგენელია, იგი ოლიმპიური იდეალების ერთგულია, ხომ იცით, მოგება-წაგებას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი მონაწილეობაა“.

**ტუტა სიხარულიძე**



პიტერ ვან ჰოგენბანდი

# ჟელეზნიმ ჩინეთს ავი სიტყვა სტყორცნა



იან ჟელეზნი

**იან ჟელეზნი** შუბის ტყორცნაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და იმ სპორტსმენთაგანია, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები რომ გახლავან. ერთი სიტყვით, მის ნათქვამს წონა აქვს. თქმით კი ჟელეზნიმ ასე თქვა — 2008 წლის ოლიმპიური თამაშების პეკინში ჩატარება ცოტა საფრთხილო საქმეაო.

პეკინის გარდა 2008 წლის თამაშებზე კიდევ ოთხ ქალაქს აქვს თვალი დადგმული: ტორონტოს, პარიზს, ოსაკასა და სტამბოლს, ხოლო ჟელეზნის და სხვა ბობოლებს ივლისში მოსკოვში მოუწევთ მათგან ერთის არჩევა.

„პეკინს ერთი მინუსი აქვს, ის ჩინეთის დედაქალაქია, ჩინეთში კი ევროპასთან შედარებით ცხოვრება თავისუფალი არ არის. თუ 2008 წლის ოლიმპიადას ამ ქალაქს ვანდობთ, მწამს საორგანიზაციო საკითხები ჩინებულად მოგვარდება, მაგრამ ვშიშობ, პოლიტიკურ პრობლემებს წავაწყდებით. ვგონებ, აქ, სოკ-ში შექმნილი კონკრეტული სირთულეებიც უნდა გავითვალისწინოთ და მეტი სიფრთხილე გამოვიჩინოთ" — ამბობს შუბის მტყორცნელი.

რაც შეეხება დანარჩენ კონკურენტებს, ჟელეზნის მათ შორის ფავორიტი არ ჰყავს:

„ამ ქალაქებიდან ოლიმპიადის მასპინძლობა ყველას შეუძლია. კანადის ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ ამ საქმეში დიდძალ ფულს ჩადებს, თუმცა არც ფული ნიშნავს ყველაფერს. არანაკლებ მნიშვნელოვანი საკუთრივ ორგანიზაციაა".

სიდნეიში ზედიზედ მესამე ოლიმპიური ოქროს მოგების შემდეგ ჟელეზნი 30 ჩემპიონთან ერთად ლონდონში, „მსოფლიო სპორტის ჯილდოთა" გადაცემის ყოველწლიურ ცერემონიალზე დაპატიჟეს. მსოფლიოს რეკორდსმენმა მძლეოსანთა სამოყვარულო ფედერაციისგან 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულიც მიიღო, ხოლო სამშობლოში, ჩეხეთში, ქვეყნის ყველაზე პოპულარულ ადამიანად აღიარეს. ამ გამოკითხვაში მან, ასე განსაჯეთ, თვით სახალხო გმირს, მწერალსა და პრეზიდენტს, ვაცლავ ჰაველს გაუსწრო.

ჟელეზნი ამბობს, რომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მოქმედ სპორტსმენთა შეყვანა ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ:

„ოლიმპიური კომიტეტი მექრთამეობის სკანდალებში იყო გახვეული, მაგრამ დღეს ახალგაზრდა, მოქმედი სპორტსმენების შეყვანით თავად ორგანიზაციის მენტალიტეტი იცვლება, ამ მიმართულებით პირველი დიდი ნაბიჯი ის გახლავთ, სოკ-ში რომ ამ სპორტსმენების აზრს ითვალისწინებენ".

**ტუტა სიხარულიძე**



# დიდი და სილვას აღსასრული

**ბრაზილიამ** თავის ისტორიაში საუკეთესო ოლიმპიელი დაკარგა. ადემარ ფერეირა და სილვა ერთადერთი ბრაზილიელი სპორტსმენია, რომელსაც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონობისთვის მიუღწევია. შვიდგზის მსოფლიოს რეკორდსმენი სამხტომში 73 წლისა გარდაიცვალა გულის შეტევით.

იგი 1927 წლის 29 სექტემბერს დაიბადა სან პაულოს შტატის ქალაქ კაზა ვერდეში და 1952 წელს ჰელსინკსა და 1956 წელს მელბურნში ოლიმპიური თამაშები მოიგო. ადემარ ფერეირა და სილვას საუკეთესო შედეგი 16,56 მეტრი იყო, რომელიც მან 1955 წლის 16 მარტს აჩვენა მეხიკოში. ამ მაჩვენებელმა 1968 წლამდე გაძლო ბრაზილიის რეკორდად.

ჰელსინკის ოლიმპიადა ფერეირა და სილვას კარიერაში მაინც ყველაზე ნათელ წერტილად დარჩა. ფინეთის დედაქალაქში მეტად იშვიათი რამ მოხდა სამხტომში — გამარჯვებულმა ექვსი ცდიდან ოთხჯერ თავისივე მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა.

იქიდან მოყოლებული ბრაზილიელი მძლეოსანი ოთხი წლის განმავლობაში დაუმარცხებელი გახლდათ და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონიც გახდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ მძლეოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატები არ იმართებოდა.

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ ექვსი ენის მცოდნე ფერეირა სილვამ იურისპრუდენციის, ჟურნალისტიკისა და ფიზიკური აღზრდის შესწავლა განაგრძო. 1964-67 წლებში მან დიპლომატიაშიც მოსინჯა ძალა, როცა ნიგერიაში ბრაზილიის საელჩოში კულტურულ ატაშედ მუშაობდა. ახლახან კი კინემატოგრაფიასაც გაუსინჯა გემო და ცნობილი ბრაზილიელი რეჟისორის, ორფეო ნეგროს ერთ-ერთ ფილმში მიიღო მონაწილეობა.

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ლამინ დიაკმა ადემარ ფერეირა და სილვას გარდაცვალების შეტყობისთანავე დიდი სინანული გამოთქვა ბრაზილიელთაგან ერთ-ერთი უდიდესი სპორტსმენის დაკარგვის გამო.

**გაგი გურული**



15 იანვარი

**სან ხოსე — დეტროიტი 2:3**

0:0 0:1 2:2

0:1 ლაპოინტი 16'03 (15); 0:2 ლაპოინტი 41'32 (16); 1:2 მარლო 41'42 (18); 2:2 მარლო44'00 (19); 2:3 აიზერმანი 53'18 (8)

**ფლორიდა — დალასი 2:0**

0:0 0:0 2:0

1:0 სილინჯერი 54'26 (9); 2:0 კოზლოვი 56'53 (3)

**პიტსბურგი — ანაჰაიმი 3:2**

0:1 1:2 1:0

0:1 ჰრკაჩი 7'43 (8); 1:1 კოვალიოვი 27'46 (22); 1:2 ჰრკაჩი 34'31 (9); 2:2 იუნსონი 38'32 (1); 3:2 კოვალიოვი 41'58 (23)

**კოლუმბუსი — მინესოტა 3:0**

0:0 1:0 2:0

1:0 სანდერსონი 31'12 (17); 2:0 რაიტი 41'01 (8); 3:0 სანდერსონი 59'52 (18)

**ფინიქსი — სენტ ლუისი 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 ბრირი 5'33 (3); 2:0 ბრირი 20'23 (4); 2:1 კონროი 32'38 (8); 3:1 დოუნი 56'33 (11)

# ლემიემ მაკენას ჯანი იყიდა

ერთია ტრიბუნიდან ჰოკეის ყურება, უშუალოდ ყინულზე ყოფნა კი, როცა თავად ხარ ბრძოლაში ჩაბმული, ცხადია სულ სხვა რამაა. მარიო ლემიე ლამის წელიწადნახევარია პრეზიდენტისთვის განკუთვნილ ლოჟაში, რბილ სავარძელში მოკალათებული-ყო და სულაც ვერ ამჩნევდა, რომ მისი გუნდი სერიოზულ საკადრო ცვლილებებს საჭიროებდა. „პინგვინებს" თითქოს ძლიერი კლუბის ყველა ატრიბუტი ჰქონდათ — გამორჩეული ლიდერი, თან როგორი, თავად იარომირ იაგრი, აწყობილი კონტრშეტევითი თამაში, რომელშიც გუნდის მრავალმრიცხოვანი ჩეხები თავს ჩინებულად გრძნობდნენ. საერთოდ, კლუბი ბოლო წლებში ერთ-ერთი გრანდი თუ არ იყო, საშუალო დონეს მაინც აღემატებოდა, მაგრამ როგორც კი ლემიე ყინულს დაუბრუნდა, ყველაფერი შეიცვალა, ძირფესვიან გადახალისებაზე ფიქრი მარიომ მესამე მატჩიდანვე დაიწყო. ეს მაშინ მოხდა, როცა ერთ-ერთი ვაშინგტონელი მას უდიერად მოექცა, მაგრამ პარტნიორებმა ეს აინუნშიც არ ჩააგდეს, მით უფრო მეტიუ ბარნაბის, კლუბის მთავარ პოლიციელს ეკუთვნოდა ამისთვის პასუხი ეგებინებინა მოძალადისთვის. გავიდა კიდევ ცოტა ხანი და ლემიე იმაშიც დარწმუნდა, რომ მის „ჩეხურ" გუნდს ფიზიკური ძალა და ათლეტიზმი აკლია. ლემიეს მოთმინების ფიალა პარასკევს აევსო, როცა იგივე ბარნაბი აილენდერსელ გიგანტ, ბდენო ზარასთან ჩხუბში დამარცხდა, ამიტომაც მარიომ ორ დღეში ერთბაშად ოთხი გაცვლა განახორციელა. ეს ტრეიდები სათითაოდ ეგებ მნიშვნელოვნად არც ჩაითვალოს, მაგრამ მათ ჯამში შედეგი მოიტანეს: „პინგვინთა" ჩეხური კოლონია ლამის განახევრდა (ათის ნაცვლად ექვსიღა დარჩა), თანაც გუნდი ვეტერანმა მცველმა ირჟი შლეგრმაც დატოვა, რომელიც ატლანტაში გადავიდა. სამაგიეროდ, გუნდში გიგანტი (204 სმ) სტივ მაკენა მივიდა, რომელსაც ლემიეს და გუნდის სხვა ლიდერების დაცვა დაევალა. კვირას ლემიემ კიდევ ერთი ტრეიდი განახორციელა და თავისი ძველი მეგობარი და მრავალი წლის პარტნიორი კევინ სტივენსი შეიმატა. პიტსბურგის და ლემიეს ოქროს ხანაში სტივენსი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მძიმე ტრავმა მიიღო, პიტსბურგიდან წავიდა და მხოლოდ ერთხელ შეახსენა თავი გულშემატკივრებს, ისიც მაშინ, როცა ოტელში მეძავ ქალთან ამხილეს. ლემიემ ალბათ ყველაზე უკეთ უწყის, რა შეუძლია სტივენსს. ასეა თუ ისე, გუნდის ახალბედებს ორშაბათს მიეცათ თავის გამოჩენის საშუალება. ექსმინესოტელმა მაკენამ ანაჰაიმთან მატჩის მე-13 წუთზევე აჩვენა მაყურებელს თავისი ოსტატობა და ძალა, როცა გორდ სოიერს გვარიანად გაუმკლავდა. სტივენსი კი უმალვე ლემიესა და იაგრს შეუამხანაგდა, თუმც უქულოდ დარჩა და ბევრით არაფრით გამოირჩა. სხვათა შორის, ლემიემაც ხელცარიელმა დატოვა ყინული და ეს დაბრუნების შემდეგ პირველად მოხდა. ლემიე კმაყოფილი იყო, დღესაც ჩანდა, როგორ იბრძვის კევინი კართან, ასე რომ, მომდევნო მატჩებში აუცილებლად გაგვიმართლებსო, თქვა. ორი ქულა კი გუნდს წლეულს ბრწყინვალედ მოასპარეზე ალექსი კოვალიოვის ორმა გოლმა მოუტანა, რომელმაც კარიერაში მეხუთედ მიაღწია 50-ქულიან ზღვარს და ეს მაშინ, როცა ნახევარი სეზონი ჯერ წინაა. რაც შეეხება ანაჰაიმს, მან პოლ კარიას და რუჩინის არყოფნაში მთლად ჩამოყარა ყურები, უქმეებზე ორჯერ მშრალი ანგარიშით დამარცხდა. ამჯერადაც ობლად დარჩენილი ყოველთვის თავშეკავებული ტეემუ სელიანე უფრო მსაჯებს ეკამათებოდა, უკმაყოფილებას იმით გამოხატავდა, რომ ყვანჯს ყინულზე აგდებდა.

ფლორიდამ როგორც იქნა მოიგო და ეს 22 საშინაო მატჩში მხოლოდ მეოთხედ მოახერხა. ლამის მთელი თამაშის განმავლობაში დალასი აშკარად სჯაბნიდა მეტოქეს, მაგრამ „პანტერების" მეკარე რობერტო ლუონგო იმ დღეს განსაკუთრებულად ირჯებოდა, შეხვედრის მიწურულს კი პარტნიორებმაც შეუწყვეს ხელი, ორი გოლით დაიბევეს მოგება. მატჩის შემდეგ დალასელთა ლიდერი მაიკ მოდანოც გაოცებული იყო მეტოქის მეკარის ჩინებული თამაშით და ეს არც დაუმალავს.

წლევანდელი სეზონის ორი ახალბედა გუნდის — კოლუმბუსისა და მინესოტას პირველ შეხვედრაშიც მეკარე გამოირჩა. სწორედ ამ თამაშის წინ გამოჯანმრთელებულმა კოლუმბუსელმა რონ ტაგნატმა 31 დარტყმა მოიგერია და კარიერაში მე-18 შათაუტი დაამტკიცა, რომ კლუბის პირველი მეკარის წოდება დამსახურებულად მიენიჭა. სხვათა შორის, „ცისფერი ჟაკეტების" ისტორიაში ეს მეორე შათაუტით და მაშინაც 18 დეკემბერს, მონრეალთან კარში ტაგნატი იდგა.

კვლავ დამარცხდა სენტ ლუისი, რომელიც პიერ ტარჯონისა და პავოლ დემიტრას არყოფნაში ერთობ არასტაბილური გახდა. ეს განსაკუთრებით რიცხვმრავლობაში თამაშს დაეტყო. სტუმრებმა ფინიქსთან შვიდი ცდა ვერ გამოიყენეს და გადამწყვეტი მესამე შაიბაც სწორედ რიცხვმრავლობაში გაუშვეს, რაც „ბლუზმენებისთვის" უჩვეულო შემთხვევაა.

**სამველ ლარიბიანი**



სენტლუისელთა მეკარე ბრენტ ჯონსონმა ფინიქსელი ჯერემი რენიკი კარს არ გააკარა



ტედ დონატო

## მრთხელ შემხედეთ, რა მოხდა?!

**ტამპაში** მორიგი მატჩის ჩასატარებლად ჩასულ დალასს დიდი ოფლის ღვრა დასჭირდა, იქაურთათვის 3:2 რომ მოეგო. „ვარსკვლავთა" ორი მოთამაშე — ტედ დონატო და ტაილენ ბუკი კი სულაც არ დაღლილან. პირველი საერთოდ რეზერვში დარჩა, მეორემ მხოლოდ 7 წუთი დაჰყო ყინულზე. ამიტომაც მატჩის შემდეგ ბიჭებმა გართობა მოისურვეს და სტრიპტიზ-ბარს მიაშურეს, მით უმეტეს, რომ ბუკს იმ დღეს 21 წელი შეუსრულდა და, ცხადია, უნდოდა, უფროს მეგობართან ერთად მყუდრო გარემოში გაეტარებინა დრო. მათდა საუბედუროდ, იმ დღეს ქალაქის პოლიცია ამდაგვარ ადგილებს ათვალიერებდა, ანუ რეიდზე იყო გასული. ჰოდა, კლუბში შესვლისთანავე დააფიქსირა პოლიციამ კანონის დარღვევა — იქაური წესებით ხომ კლიენტი მოცეკვავე ლამაზმანებთან 6 ფუტზე ახლოს (180 სმ) არ უნდა მივიდეს, კაცები გაშიშვლებულ ქალებს ახლოს შემოხვეოდნენ, მათ შორის ზემონახსენები ჰოკეისტებიც და ამიტომაც მათ თავი პოლიციაში ამოჰყვეს, სადაც ჯიბე 250 დოლარით შეუმსუბუქეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლეს. ასეთი შემთხვევის შემდეგ წესით კლუბმა უნდა გამოიტანოს დამატებითი სანქციები, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ეს საქციელი აპატიეს, რადგან მოთამაშეები თავად მწვრთნელმა კენ ჰიჩკოკმა დაიცვა — „შესვლაც კი ვერ მოასწრეს. მე ამას დანაშაულად არ მივიჩნევ" — ყოველთვის მკაცრი ჰიჩკოკი ამჯერად ლმობიერი გახლდათ.

## კვირის მოთამაშე

### რომან ჩეხმანეკი (ფილადელფია)

**შეიძლება** ითქვას, რომ რომან ჩეხმანეკს ლიგის საუკეთესო დებიუტანტისთვის განკუთვნილი „კოლდერ ტროფი" სერგეი მაკაროვმა დააკარგვინა. იქნებ გაიკვირვოთ, სად ჩეხი და სად 90-იანი წლების რუსი ვარსკვლავიო. საქმე ისაა, რომ 1990 წელს ნჰლ-მა ამ პრიზის მაძიებელთა ასაკი 26 წლით შემოფარგლა, იმის გამო, რომ „კოლდერის" მფლობელი პირველი საბჭოთა ჰოკეისტი, ლიგის იმწლევანდელი დებიუტანტი მაკაროვი 32-ისა გახლდათ. ჩვენი გმირიც 29 წლისაა; ამიტომაც... თუმცა კვირის ლაურეატის წოდების მოსაპოვებლად კი არანაირი ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს, ჩეხმანეკმა ეს ტიტული სავსებით დაიმსახურა. ფილადელფიის სათადარიგო გოლკიპერი სეზონის დასაწყისში ჩადგა კარში და არასტაბილურად მოთამაშე კოლეგა ბრაიან ბუშერი ჩინებულად შეცვალა. ჩეხმა მეკარემ, რომელიც ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინ ვერც კი იოცნებებდა ლიგაში თამაშზე, წინა კვირაში გუნდს სამივე მატჩი მოაგებინა, მხოლოდ 2 შაიბა გაუშვა და ტამპასთან შეხვედრაში შათაუტიც მიითვალა. 2000 წლის დრაფტის 171-ე ნომერს (!) აგერ უკვე 12 მატჩია, არ წაუგია, რის წყალობითაც მანამდე მეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფ გუნდს პლეი ოფში მოხვედრის იმედიც გაუჩნდა.

**საუკეთესო ექვსეული. 8-14 იანვარი**

*რომან ჩეხმანეკი (ფილადელფია, 1); ელ მაკინისი (სენტ ლუისი, 1) — იაროსლავ შპაჩეკი (ჩიკაგო, 1); მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი, 1) — მარიო ლემიე (პიტსბურგი, 2) — შონ მაკიჩერნი (ოტავა, 1)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქველი ჟაკი

შვეიცარიულ სამთო კურორტ ვილარში ფორმულა 1-ის მრბოლთა მიერ მოწყობილი „ოცდაოთხსაათიანი ქველმოქმედების" დღე ტარდება. იქ თხილამურებით სრიალი და სხვა რამ სანახაობანი გაიმართება. ფორმულას საქველმოქმედო ასოციაციის დამაარსებელი ჟაკ ვილნევიც ვილარშია. ამგვარი დღეების გამართვა სწორედ მისი იდეა იყო. შემოსავალი კი ხეიბარ ბავშვთა მოვლას მოხმარდება.



REUTERS ვილარიდან



REUTERS ჰიუსტონიდან

# ჭიდილი

ენბიეიში ყოველდღე თამაშია. მახვილი თვალის ფოტორეპორტიორი იქ მრავალ თვალსასეიროს აღმოაჩენს. აი, მაგალითად, როიტერის რიჩარდ კარსონმა ჰიუსტონელი მუკი ნოროსის (12) და საკრამენტოელი ვლადე დივაცის ორთაბრძოლა აღბეჭდა ფირზე. აღბეჭდა და მოარტყა.



REUTERS მოსკოვიდან

# ლუკაშენკო გასრიალდა

ეს ულვაშა კაცი ლეგენდარული ბალდერისი არ გეგონოთ, ბელარუსის დიქტატორი ალექსანდრ ლუკაშენკო გახლავთ. ქვეყანა ხომ ააშენა და მიუერთა რუსეთს, ახლა კი მოსკოვში ჩაძღოლია თავისიანებს ბელარუსის კულტურის დღეების ჩასატარებლად. კულტურის დღეები ჰოკეის ვეტერანთა და პოლიტიკოსთა მატჩით გახსნილა, რუსებს და ბელარუსებს ერთმანეთში უთამაშიათ. სხვა რა? ყველა დიქტატორს თავისი ხუშტური აქვს.



REUTERS ბასელგა დი პინედან

# მოგებული დაიქანცა

ევროპის მოციგურავეთა ჩემპიონატზე, ბასელგა დი პინეში რომ გახურებულა, საყოველთაო ჩემპიონი რუსი დმიტრი შეპელი გამხდარა. ათი ათას მეტრზე სრიალის შემდეგ შეპელი ისე მოქანცულა, რომ მსაჯებს შეუშველებიათ ხელი.

# კოსტიას მზადება

სიდნეიში ვარჯიშობაში ოფლს ღვრის საბჭოს (ვბკ) რუს-კორეელ-ავსტრალიელი ჩემპიონი კოსტია ძიუ. 21 იანვარს ძიუ ასოციაციის (ვბა) ამერიკელ ჩემპიონ შამბა მიჩელს უნდა შეხვდეს ქამართა გამაერთიანებელ ბრძოლაში და სპარინგისთვის ამერიკელი, ვინმე გარი სენ კლერი აურჩევია.



REUTERS სიდნეიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge